პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო.

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76, მდივნის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი № 10—49
ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კაპ., დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მან., ქალაქს გარეშე—1 მ. და 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ნირაოდენს" და „მეცნიერება და ტეხნიკას". განცხადებები: ნონპარელის სტრიქ.—40 კ., ტექსტში ორჯერ მეტი. სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა 1 მ., განცხადებების მიღება 3 ს.
ექსპედიციის ტელეფ. 5-43, სტამბის ტელ. 13—80.

დღეს

- ბაქოში ჩავიდა გერმანიის და ჩეხო-სლოვაკიის მუშა-ახალგაზრდობის დელეგაცია.
- შანხაიში (ჩინეთი) გაუქმებულია სამხედრო წესები.
- ბესარაბიელ გლეხების „გასამართლებას" დაესწრება ცნობილი ფრანგი მწერალი ანრი ბარბიუსი.
- აჯანყებული დრუზები განაგრძობენ ბრძოლას საფრანგეთის წინააღმდეგ.
- გრძელდება ინგლისელ კომუნისტების პროცესი.

ხუთშაბათი, 26 ნოემბერი 1925 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 272 (1427)

ორშაბათს, 30 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე

სახელმწიფო საოპერო თეატრის დარბაზში

გაიხსნება

საქართველოს კომუნისტური პარტიის

მე-4 ყრილობა

დღის წესრიგი:

1) ცეკას ანგარიში,
2) სარევიზიო კომისიის ანგარიში,
3) საკონტროლო კომისიის ანგარიში,
4) პროფკავშირების ამოცანები,
5) საქართველოს მრეწველობა და მისი პერსპექტივები,
6) სოფლად მუშაობა და ძირითადი საბჭოთა აპარატის გაუმჯობესება,
7) არჩევნები უმაღლეს პარტიულ ორგანოებში და დელეგატების არჩევნები ა/კ. პარტ-ყრილობაზე და რ. კ. პ. XIV ყრილობაზე.

ცეკას მდივანი: ქართველიშვილი.

თბილისის პარტორგანიზაციის საყურადღებოდ.

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტი

წინადადებას იძლევა, რომ პარასკევს, 27 ნოემბერს მოწვეულ იქნეს

უჯრედების საგანგებო სხდომა

დღის წესრიგში დასმულია ორი საკითხი:

1. მრეწველობის და
2. პროფკავშირების შესახებ.

თბილისის კომიტეტის მდივანი: მიხ. კახიანი.

ლითონის მრეწველობის საკითხი

როგორც დღევანდელი დეპეშიდან გაიგებს მკითხველი, საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში განხილულ იქნა ლითონის ნაწარმოებით ქვეყნის მომარაგების საკითხი. აღნიშნულ იქნა, რომ, მიუხედავად ლითონის მრეწველობის მიერ შენელოვანი გაფართოვებისა, იგი ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებებს. ლითონის პროდუქციაზე მოთხოვნების ზრდა ქმნის პანიკას ლითონის ბაზარზე და იწვევს მოთხოვნების დამატებითი გადიდებას.

მძიმე ინდუსტრია, კერძოდ ლითონის მრეწველობა საფუძველია მთელი სახალხო ეკონომიკის. იგი ამზადებს წარმოების საშუალებებს და წარმოადგენს ტეხნიკურ ბაზას ჩვენი მეურნეობის გადახალისებისათვის. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში, როცა ფართოდ მოსახმარ საგნების მწვავე ნაკლებობას განვიცდიდით, იძულებული ვიყავით უმთავრესი ყურადღება მიგვექცია მსუბუქი ინდუსტრიის აღორძინებისათვის. ამასთან მძიმე მრეწველობის აღდგენა მოითხოვდა დიდძალ თანხებს, რაც მაშინ არ მოგვეპოვებოდა.

ბოლო ხანებში კი, ჩვენი მეურნეობის საერთო ზრდასა და მტკიცე ვალუტის შემოღებასთან დაკავშირებით, მთელი თავისი სიგრძე სიგანით წამოიჭრა მძიმე მრეწველობის გაფართოების ამოცანა. ლითონის მრეწველობის საკითხს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მე XIV პარტკონფერენციამ, რომელმაც გამოიტანა დადგენილება ამ დარგში პროგრამის 26 პროცენტით გადიდების შესახებ, შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით, ამასთან აუცილებლად სცნო ნაწარმოების თვითღირებულების დაწევა.

ლითონის მრეწველობამ 1924—25 წ. საერთოდ შეასრულა მასზე დაკისრებული დავალება. პროდუქციის გამოშვება გადიდებულ იქნა 100 პროც. 1923—24 წელთან შედარებით და მისმა თვითღირებულებამ დაიკლო 174 პროცენტიდან 1923—24 წ. (ომის წინა დროსთან შედარებით) 137 პროცენტამდე 1924—25 წ. პროგრამა სასოფლო-სამეურნეო მანქანების დამზადების დარგში სავსებით იქნა განხორციელებული,—გამოშვებულ იქნა 41,5 მილიონ ომის წინანდელ მანეთის საქონელი. ფართე გლეხურ ბაზრის მომარაგება გაძლიერებულ იქნა უფრო მეტად, ვინემ ორჯერ 1923—24 წლის წინააღმდეგ, და ბაზარზე იქნა გატანილი 80 მილიონ ჩერ. მან. ლითონი, მაშინ როცა წინა წელში მხოლოდ 32 მილ. მან. ღირებულების იქნა გამოშვებული. პროგრამა ტრანსპორტის დარგში განხორციელებულ იქნა 75 პროცენტით.

მაგრამ მიღწეული შედეგები ოდნავადაც არ არის საკმარისი. ლითონის პროდუქციაზე, როგორც ვთქვით, მოთხოვნილება სულ უფრო იზრდება. ბაზარი ამ მხრივ დამშეულია და ჩვენ აუცილებლად უნდა გამოვნახოთ ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად. ჩვენ უნდა მივაწოდოთ გლეხობას საკმაო რაოდენობით სასოფლო-სამეურნეო იარაღები და ლითონის სხვა უფრო წვრილი ნაწარმოებნი. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ ქვეყნის ეკონომიკის განვითარება იწვევს სატრანსპორტო მშენებლობის ფართოდ გაშლას, ახალი გზების გაყვანის, ახალი ორთქმავლების დამზადების აუცილებლობას და სხ.

ლითონის მრეწველობამ უნდა შესძლოს ტრანსპორტის საჭიროებათა დაკმაყოფილება. ლითონის მრეწველობა ამზადებს ნივთებს მრავალი სხვა დარგის წარმოებისათვისაც, მათი ძირითადი კაპიტალის აღსადგენად.

დიდი გეგმებია დასახული ლითონის მრეწველობის განვითარებისათვის 1925—26 სამეურნეო წლის განმავლობაში. ნაწილი ამ გეგმების უკვე გატარებულია. 1925 წ. პირველი ოქტომბრიდან ამუშავებულია 26 ქარხანა, რომელნიც წინად უქმად იდგნენ. ამოძრავებულ იქნება კიდევ რამდენიმე ქარხანა დონეცის რაიონში. პროგრამის გადიდებამ 1925—26 წელში უნდა მოგვცეს წინანდელ წლის პროდუქციის 170 პრ., რომლის ღირებულობა მიაღწევს 922 მილ. ჩერ. მანეთამდე. 1913 წ. შედარებით უნდა მივიღოთ 80 პროც. პროდუქტი. მუშაობა ტრანსპორტისთვის გადიდდება ორჯერ და მიაღწევს 180 მილიონ ჩერ. მან. სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოშვება გადაჭარბებს შარშანდელისას ორჯერ და მოგვცემს 42 მილიონ ომის წინანდელ მანეთს, ე. ი. 30 პრ. მეტს, ვინემ დამზადებული იყო 1913 წ.

ასეთია პროგრამა. მაგრამ, პურის რეალიზაციის საქმეში შექმნილ დაბრკოლებებთან დაკავშირებით, განზრახულია საერთოდ სამრეწველო გეგმების რამოდენიმეთ შეკვეცა და სამრეწველო მშენებლობისათვის ფინანსიური დახმარების რაოდენობის შემცირება, აგრეთვე იმპორტის გეგმის გადასინჯვა. საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო სამართლიანად აღნიშნავს, რომ ეს შემცირება ყველაზე ნაკლებად უნდა შეეხოს ლითონის მრეწველობას; მისი საწარმოო პროგრამა შეძლების დაგვარად სავსებით უნდა იქნას განხორციელებული.

ამავე დროს ყურადღება უნდა მიექცეს ლითონის ძველი მასალის მიზანშეწონილად გამოყენებას. კერძოდ დიდი მნიშვნელობა აქვს ლითონის ბაზრის მოწესრიგებას, რათა აცილებულ იქნეს სპეკულიაცია. უნდა იქნას სისწორით აღნუსხული ლითონის ნაწარმოებზე არსებული გადაუდებელი მოთხოვნილებანი თვითეულ რაიონში და ამის მიხედვით მოხდეს მისი განაწილება. ლითონის ნაწარმოები უნდა მივაწოდოთ მომხმარებელს სათანადო ორგანიზაციების საშუალებით და კერძო ბაზარი მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში უნდა იქნეს გამოყენებული.

ლითონის მრეწველობის აღორძინების დარგში ჩვენ გვაქვს უდიდესი მიღწევები. მაგრამ ჩვენი ეკონომიკის ზრდამ, მოსახლეობის სყიდვითი უნარის გადიდებამ წინ გაუსწრო მათ. ყველა არსებული ქარხნების ამუშავება, მათი მაქსიმალური დატვირთვა, წარმოების რაციონალიზაცია, ახალი ქარხნების აგება, უცხოეთიდან საჭირო საგნების შემოზიდვა, სასტიკი ეკონომია და ნაწარმოების გეგმაშეწონილი განაწილება და მიწოდება, როგორც მოსახლეობისათვის, ისე სათანადო სამრეწველო დაწესებულებებისათვის, მათი საჭიროებათა უტყუარი აღნუსხვის ნიადაგზე,—ამ გზით ჩვენ ავიცდენთ ეხლანდელ კრიზისს და მკვიდრ ნიადაგს შევუქმნით სოციალისტურ მეურნეობის განვითარებას.

პოლიტიკური კრიზისი საფრანგეთში

მთავრობის შედგენა მიენდო პოლ დუმერს

მემარცხენე ბლოკი ვერ ახერხებს მთავრობის შედგენას

სოციალისტებს ჯერ-ჯერობით არ მიუღიათ არავითარი გადაწყვეტილება

ფრანკის კურსი დღითიდღე კატასტროფიულად ეცემა

როგორ ესმის საფრანგეთს განიარაღება

ბრიანის მარცხი

პარიზი, 24 ნოემ. ბრიანმა განუცხადა დუმერგს, რომ მან ვერ მოახერხა შეთანხმების მიღწევა, რომელიც საჭირო იყო რესპუბლიკანურ გაერთიანების ფართო კაბინეტის შესადგენათ. ამ კაბინეტში უნდა შესულიყვნენ მემარცხენეთა ყველა ფრაქციები. ამის გამო ბრიანი შეუძლებლათ სთვლის კაბინეტის შედგენას.

დუმერგმა გამოიწვია დუმერი

პარიზი, 24 ნოემბ. პრეზიდენტმა დუმერგმა გამოიწვია მოსალაპარაკებლად პალატის საფინანსო კომისიის თავმჯდომარე დუმერი.

მდგომარეობა კრიტიკულია

პარიზი, 24 ნოემბ. მემარცხენე ბლოკის მთავრობის შედგენა შეუძლებელი ხდება იმის გამო, რომ მემარცხენე ბლოკის და რადიკალურ პარტიის (ლუშერის ჯგუფი) უმრავლესობა დაადგა ორჭოფულ პოზიციას, თუმცა თვით ლუშერი მხარს უჭერს მემარცხენე ბლოკის პროგრამას. მემარჯვენეებზე და ცენტრზე დაყრდნობილ მთავრობას დიდხანს არსებობა არ შეუძლია, ვინაიდან მის წინააღმდეგ იქნება მემარცხენე ბლოკის 3 მთავარი პარტია (სოციალისტები, რადიკალ-სოციალისტები, მემარცხენე რადიკალები) და კომუნისტები.

პოლ დუმერი—პრემიერი

პარიზი, 24 ნოემბერი. პოლ დუმერი დასთანხმდა ახალი კაბინეტის შედგენაზე.

სანამ მოლაპარაკებას დაიწყებდა, დუმერმა მიიღო ბრიანის თანხმობა იმაში, რომ ის დაიკავებს გარეშე საქმეთა მინისტრის თანამდებობას.

პოლ დუმერის ბიოგრაფია

პოლ დუმერი 1896 წელს იყო ფინანსთა მინისტრი. 1906 წელს—დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე. რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების დროს 1906 წელს დუმერის კანდიდატურა წამოყენებული იქნა ფალიერის კანდიდატურასთან ერთად. უკანასკნელად არჩეული იყო 419 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 351 ხმისა, რომელიც დუმერმა მიიღო. 1917 წელს დუმერი იყო მინისტრი უპორტფელოთ პენლევეს კაბინეტში. ბრიანის კაბინეტში 1911 წელს დუმერი იყო ფინანსთა მინისტრი. 1925 წ. ნოემბერში დუმერი წამოყენებული იყო კანდიდატად უმაღლეს კომისრის თანამდებობაზე სირიაში.

სოციალისტები დაიბნენ.

პარიზი, 24 ნოემ. რადიკალ-სოციალისტებმა სენატში და რადიკალ-სოციალისტების პარტიის პრეზიდიუმმა წინადადება მისცეს სოციალისტებს შევიდნენ მთავრობის შემადგენლობაში. სოციალისტებს დღესდღეობით არ მიუღიათ არავითარი გადაწყვეტილება,

საფრანგეთის „განიარაღება".

პარიზი, 24 ნოემბერი. ავიაციის სამინისტრომ შეიმუშავა სამხედრო თავდაცვისათვის შორსმსროლელი ზარბაზნის ახალი ტიპი. სწარმოებს ცდები ტანკების წინააღმდეგ გამოგონებული ზარბაზნების გასაუმჯობესებლად.

ფრანკის კურსი.

ნიუ-იორკი, 14 ნოემბ. მიმდინარე წელს ნიუ-იორკის ბირჟაზედ ფრანკი ძლიერ დაეცა 100 ფრანკში იძლევიან 1 დოლარს და 82 ცენტს.

ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან.

მოსკოვი, 25 ნოემბ. საფრანგეთის რესპუბლიკის ელჩმა საბჭოთა კავშირში ერბეტმა მიმართა გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატს განცხადებით შესახებ იმისა, რომ სასურველია მოწვეულ იქნენ საფრანგეთის რკინისგზების წარმომადგენლები საბჭოთა კავშირის და იაპონიის სარკინისგზო კონფერენციაზე მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად იმ მიზნით, რომ მოწყობილი იქნეს პირდაპირი მიმოსვლა საფრანგეთსა და შორეულ აღმოსავლეთის ქვეყნებ შორის. საგარეო და გზათა სახალხო კომისარიატები დასთანხმდნენ ამ წინადადებაზე.

პოლიტიკური კრიზისი

„პრავდა"ს წერილი

მოსკოვი, 25 ნოემბერი. „პრავდა" მოწინავე წერილში „პოლიტიკური კრიზისი საფრანგეთში" სწერს:

„პენლევემ, ისე როგორც მისი წინამოადგილეებმა ფეხი წაიკრა საფინანსო პრობლემაზე. ამის გამო ის იძულებული შეიქნა გადამდგარიყო. პენლევეს დაცემა არ არის, ასე თუ ისე, ჩვეულებრივი ეპიზოდი საფრანგეთის პოლიტიკური ცხოვრების მატიანეში. სახელმწიფო მეურნეობის, საფინანსო პოლიტიკის, ინფლიაციის, ფრანკის კურსის ბიუჯეტის და საგადასახადო კანონმდებლობის საკითხები მეტის მეტად ნათლად წარმოიდგენენ იმ სოციალურ შეხლა-შემოხლას, ინტერესთა და „გავლენათა" ბრძოლას, რომელსაც ომის შემდეგ საფრანგეთში აქვს ადგილი. შეიძლება ითქვას, დღევანდელი საფრანგეთის ყველა ძირითადი წინააღმდეგობანი წარმოადგენენ რაღაც თავისებურ ფინანსიურ კვანძს, ფინანსიურ სფეროში ერთმანეთს ეჯახება არა მარტო საფრანგეთის ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის ინტერესები—მასში გადახლართულია მსხვილი კაპიტალისა და წვრილი ბურჟუაზიის ტენდენციები, და აგრეთვე თვით მფლობელთა ბანაკში არსებული სხვა და სხვა ჯგუფების ბრძოლა.

საფრანგეთში არ არის ისეთი ძალა, რომელიც შესძლებს მსხვილი კაპიტალის და წვრილ-ბურჟუაზიულ ფენების ინტერესთა შეურიგებლობის მოსპობას.

საფრანგეთის ბურჟუაზიის წრეებში არ არსებობს ერთი აზრი, აგრეთვე ახალი ქაღალდის ფულების გამოშვების საკითხში. საფინანსო კაპიტალი და საფრანგეთში ფაქტიურად გაბატონებული მსხვილი ბანკები ატარებენ ინფლიაციის პოლიტიკას. პირიქით მსხვილი მრეწველები, რომლებიც შინაურ ბაზრისათვის მუშაობენ და რომლებიც პოლიტიკურად მემარჯვენე ბლოკის წარმომადგენლებთან არიან დაკავშირებული, „ინფლიაციას" ეწინააღმდეგებიან. როგორც არ უნდა იყოს შედგენილი ახალი კაბინეტი, ერთი შეიძლება ითქვას: ახალი მთავრობა აუცილებლად იძულებული იქნება განაგრძოს პენლევეს „ტრადიციები" და მისცეს თავი ქაღალდის ფულის მორევს. ეს კი აძლიერებს ისედაც გაუთავებელ სოციალურ უთანხმოებებს საფრანგეთში. ახალი მთავრობის შექმნით ამ წინააღმდეგობათა გადაჭრა გადაიდება მხოლოდ, გადაჭრით კი ისინი ვერ გადაიჭრებიან.

საბჭოთა კავშირი და ჩინეთი

მოლაპარაკება ჩინეთის რკინისგზების წარმომადგენლებთან შეწყვეტილია

მოსკოვი, 25 ნოემბ. 23 ნოემბერს გაიმართა იაპონია ჩინეთ-საბჭოთა კავშირის სარკინისგზო კონფერენციის მესამე პლენარული სხდომა.

მორიგ საკითხებზე გადასვლამდე, საბჭოთა დელეგაციის თავმჯდომარის მოადგილემ გზათა სახ. კომისარიატის რწმუნებულმა სვერჩკოვმა რიგს გარეშე განაცხადა შემდეგი:

„ჩინეთის დელეგაციის თავმჯდომარემ მაცნობა მე, რომ მან მიიღო ჩინეთის მთავრობისაგან დეპეშა, რომელიც უკრძალავს მას საბჭოთა კავშირთან შეთანხმებას პირდაპირ სამგზავრო მიმოსვლის შესახებ. საბჭოთა კავშირის დელეგაცია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ამ აკრძალვის მიხედვით ის საკითხები, რომლებიც უნდა იქნან განხილული საბჭოთა კავშირის და ჩინეთის რესპუბლიკის მთავრობების მიერ და რომლებიც არ შეიძლება გაშუქებული იქნან ჩვენს სარკინისგზო კონფერენციაზე. ამის გამო საბჭოთა კავშირის დელეგაცია უარს ამბობს რაიმე ხელშეკრულების დადებაზე ჩინეთის სახელმწიფო რკინისგზებთან და აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზასთან, და წინადადებას იძლევა შეწყვეტილი იქნას ამ კონფერენციის სხდომა და გაიმართოს სარკინისგზო კონფერენცია საბჭოთა კავშირსა და იაპონიას შორის.

ჩინეთის და აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზების წარმომადგენლებმა მოითხოვეს კონფერენციის გაგრძელება, ვინაიდან შესაძლებელია შეთანხმების მიღწევა ჩინეთის და აღმოსავლეთ ჩინეთის რკინისგზებს შორის იმ მხრივ, რომ შემოღებული იქნება მიმოსვლა გადაჯდომით, პირდაპირი მიმოსვლა კი წარმოადგენს მიმოსვლის ტეხნიკურ პირობას

ამის საპასუხოდ სვერჩკოვმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის დელეგაცია ჩინეთის მთავრობის მიერ მისი დელეგაციისათვის პირდაპირი მიმოსვლის შესახებ შეთანხმებაზე ხელის მოწერის აკრძალვას სთვლის ისეთ მოთხოვნილებად, რომელიც არ არის გამოწვეული სარკინისგზო პირობებით. საბჭოთა დელეგაციას არ შეუძლია უპასუხოს ამ ცნობაზე სხვანაირად, თუ არა უარის თქმით ყოველგვარ შეთანხმებაზე.

კონფერენციის სხდომები შეწყვეტილი იქნა განუსაზღვრელ ვადამდე.

ამ კვირაში დაიწყებს მუშაობას იაპონია-საბჭოთა კომისია, რომელიც განიხილავს საკითხს საბჭოთა კავშირსა და იაპონიას შორის საზარგო მატარებლების მიმოსვლის შესახებ.

კომუნისტები ჩეხო-სლოვაკიის პარლამენტში

პრაგა, 24 ნოემბ. პალატაში და სენატში არჩეულ 41 კომუნისტ-დეპუტატიდან 8 მუშაა და 2 გლეხი.

კომუნისტებმა მიიღეს 933.711 ხმა პალატაში, და 774.450 ხმა სენატში არჩევნების დროს. ხმების დიდი უმრავლესობა კომუნისტებმა მიიღეს იმ რაიონებში, სადაც ჯარის ნაწილები იყვნენ დაბანაკებული.

ამხ. კლარა ცეტკინა ბერლინში

ბერლინი, 24 ნოემბ. ჩამოვიდა კლარა ცეტკინა, რომელსაც რამდენიმე ათასი მუშა შეხვდა. მისასალმებელი სიტყვით მას შეხვდნენ გერმანიის კომპარტიის ბელადები პიკი და რებელი. კლარა ცეტკინამ საპასუხო სიტყვაში აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი უნდა იყოს მაგალითი გერმანელ მუშებისათვის.

აჯანყება სირიაში

ლონდონი, 24 ნოემბ. ქ. იაფას გაზეთში „პალესტინის უწყებები" დაბეჭდილია დრუზების ბელადის ელ ატრაშას წერილი, რომელშიაც უკანასკნელი უარყოფს ხმებს თითქოს დრუზებს გადაწყვეტილი ჰქონდეთ საზავო მოლაპარაკების დაწყება საფრანგეთის უმაღლეს კომისარ დე ჟუვენელთან.

მდგომარეობა ჩინეთში

პეკინი, 24 ნოემბ. სამხედრო წესები შანხაიში გაუქმებულია. სტუდენტების ორგანიზაციებს მიტინგების მოწყობის ნება მიეცა. შანხაიში გამართულმა მიტინგმა დაადგინა მიმართოს თხოვნით მთავრობას, რათა დაკანონებული იქნეს მუშათა ორგანიზაციების არსებობა და მოღვაწეობა.

საგლეხო სესხის გამარჯვება

მეორე საგლეხო სესხის ობლიგაციებზე ხელის მოწერამ ყოველივე მოლოდინს გადააჭარბა. ობლიგაციების შეძენის მსურველები იმდენი აღმოჩნდა, რომ მოთხოვნილებას ვეღარ აუვიდა სახელმწიფოს მიერ ბაზარზე გამოსაშვებათ ნავარაუდევი ობლიგაციები და საჭირო დარჩა ხელის მოწერის სამი დღით ვადაზე ადრე შეწყვეტა.

ფინანსთა სახალხო კომისარის სოკოლნიკოვის ცნობით, რომელზედაც მოგვითხრობს დეპეშათა სააგენტოს დღევანდელი ცნობა, საგლეხო სესხის ხელის მოწერამ გადააჭარბა 71 მილიონ მანეთს, მაშინ, როდესაც სახელმწიფოს განზრახული ჰქონდა 20 მილიონ მანეთის ობლიგაციების გამოშვება.

რას გვეუბნება ჩვენ მეორე საგლეხო სესხის ისეთი არაჩვეულებრივი გამარჯვება? ერთის მხრივ, ის ერთხელ კიდევ მოწმობს ჩვენს საერთო ეკონომიურ ზრდას, რასაც შედეგათ მოჰყვა მოსახლეობის ხელში წვრილ თავისუფალ თანხების დაგროვება. მეორეს მხრივ, ეს ფაქტი საბჭოთა ხელისუფლების უდიდესი პოლიტიკურ გამარჯვების მაჩვენებელია. მოსახლეობა და, კერძოთ, წვრილ მესაკუთრეთა ფართე მასები, რომელთა ხელშიც უმთავრესად მოიპოვება თავისუფალი მცირე თანხები, საბოლოოთ დარწმუნდნენ საბჭოთა ხელისუფლების ეკონომიურ და პოლიტიკურ სიმტკიცეში. უკანასკნელ წლების მნიშვნელოვან მიღწევებმა სამეურნეო ფრონტზე და ფინანსიურ რეფორმის წარმატებით ჩატარებამ ერთიათად გაზარდა ხელისუფლების ავტორიტეტი მოსახლეობის თვალში და მისი ეკონომიური ურყეობის ფაქტი საყოველთაოდ ცხადჰყო.

ჩვენ ვიცით მაგალითები კაპიტალისტურ ქვეყნების ცხოვრებიდან, სადაც შინაურ სესხის ცდამ სრული დამარცხება იგემა. ასე მოხდა, მაგალითად, ამ უკანასკნელ ხანებში საფრანგეთში, სადაც მოსახლეობა ჩუმი ბოიკოტით შეხვდა მთავრობის მოწოდებას შინაურ სესხის განაღდების შესახებ.

საფრანგეთი კი, მიუხედავათ იმისა, რომ გამარჯვებული გამოვიდა იმპერიალისტურ ომიდან, ფინანსიურ ციებ-ცხელების სენით დაავადებულია და მუდმივ პოლიტიკურ კრიზისის ქვეყანას წარმოადგენს დღეს მთელს ევროპაში.

საგლეხო სესხი იგივე შინაური სესხია, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ გამოაცხადა ერთის მხრივ ფულის ტრიალის ნორმალურ პირობებში ჩასაყენებლათ და მეორე მხრივ, თვით ფართო მოსახლეობის ეკონომიურ სარგებლიანობის თვალსაზრისით. ქვეყნად დაბანდებული წვრილი ფულის თანხები, თუ ის უძრავად დარჩა მოსახლეობის ხელში, ართულებს საერთო ფულის ნაკლებობას, რაც თავის დაღს აჩენს აღებ-მიცემობის ნორმალურ განვითარებაზე.

ამ შემთხვევაში სახელმწიფოს მიზანს წარმოადგენს მოსახლეობაში დაქსაქსულ წვრილი თავისუფალ თანხების ერთ სალაროში დაგროვება და მისი ბაზრის გაჯანსაღებისათვის გამოყენება. ეს ერთი იმ საშუალებათაგანია, რომელიც ხელს შეუწყობს ჩვენს შემდეგ ეკონომიურ წინმსვლელობას და საბჭოთა მანეთის კიდევ უფრო განმტკიცებას.

მაგრამ, ამასთან ერთად, ასეთ დახმარებას უსასყიდლოთ სრულიადაც არ მოითხოვს ხელისუფლება მოსახლეობისაგან. პირიქით, საგლეხო სესხის შემძენი, გარდა იმისა, რომ ის ამით იხდის თავის მოქალაქეობრივ მოვალეობას სახელმწიფოს წინაშე, მრავალგვარ სარგებელსაც პოულობს სესხის მიცემაში. ჩვენ ვიცით, რომ საგლეხო ობლიგაციები საღდება მნიშვნელოვნათ უფრო დაკლებულ ფასებში ნომინალურ ღირებულებასთან შედარებით. ამ ობლიგაციების საშუალებით შესაძლებელია სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შეტანა, რომლის დროსაც მას ითვლის სახელმწიფო იმ ფასების მიხედვით, რაც ობლიგაციას აწერია.

გარდა ამისა ობლიგაციები საშვალებას აძლევს გლეხს აწარმოოს ხელისუფლებასთან სხვადასხვა სახის ანგარიშ ვალდებულიანობის გასწორება. ყველა ეს შეღავათები უკვე საკმაოთ შეიგნო მოსახლეობის ერთმა ნაწილმა და სხვათა მორის, ამით აიხსნება რომ საგლეხო სესხს ასეთი ფართე გასავალი აქვს დღეს ჩვენში მაგრამ ამასთანავე, აღსანიშნავია ერთი საყურადღებო მოვლენა, რომელიც თან სდევს საგლეხო სესხის გასაღებას.

მისი მნიშვნელოვანი ნაწილი პირველყოვლისა ქალაქის მოსახლეობაში საღდება. ეს იმას მოწმობს რომ სოფლის მოსახლეობა ჯერ კიდევ საკმაოდ კარგათ არ იცნობს ამ სესხის მნიშვნელობას და ჩვენი საფინანსო ორგანოები ვერ არიან იმდენათ მოქნილი და ჩამოყალიბებული, რომ სესხის ხელის-მოწერის კამპანია უმთავრესად ქალაქ გარეთ გადაიტანონ, რომ ამით გლეხთა ფართო მასას საშუალება მისცენ უშუალოდ გამოიყენონ ყველა ის შეღავათები, რომელსაც ამ სესხის გამომგებით აძლევს საბჭოთა ხელისუფლება სოფლის მოსახლეობას.

ამიტომ საგლეხო სესხის რეალიზაციის მანამდი ვერ ჩავთვლით ჩვენ გამარჯვებით დამთავრებულად, სანამ სესხის ობლიგაციები არ შეიჭრება სოფლის მიყრუებულ კუთხეებშიაც კი და არ გაუწევს გლეხის მეურნეობას იმ დახმარებას, რომლისთვისაც გამოშვებულია ის სახელმწიფოს მიერ. ამისათვის საჭიროა ერთის მხრივ ფართო აგიტაცია-პროპაგანდა საგლეხო სესხის მნიშვნელობის შესახებ და მეორეს მხრივ ჩვენი საფინანსო ორგანოების ამოძრავება, რომელიც დღემდი ბევრ შემთხვევაში ქალაქის მოთხოვნილების დაკმაყოფილებით ფარგლავდა თავის მუშაობას საგლეხო სესხის გასაღების საქმეში.

ლოკარნოს ხელშეკრულების გარშემო

რეიხსტაგში.

ბერლინი, 24 ნოემბერი. განიხილეს რა რეიხსტაგის კომფრაქციის წინადადება, რომელიც შეეხებოდა აგვისტოში გამორიცხულ 7 კომუნისტ-დეპუტატისათვის ლოკარნოს ხელშეკრულების განხილვაში მონაწილეობის უფლების მინიჭებას, რეიხსტაგის ყველა ფრაქციები შეთანხმდნენ იმაში, რომ შეცვლილი იქნას რეიხსტაგის რეგლამენტი იმ მიზნით, რათა გამორიცხულ დეპუტატები ხელ-ახლა იქნან დაშვებული რეიხსტაგში 3 თვის გასვლის შემდეგ. ამგვარად გამორიცხულ კომუნისტებს საშუალება ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ კამათში ლოკარნოს ხელშეკრულების გარშემო.

ხელშეკრულების შედეგები გერმანიისათვის.

ბერლინი, 24 ნოემბერი. რეიხსტაგის გარეშე საქმეთა კომისია იხილავდა საკითხს, რომელიც ეხებოდა განიარაღებას ლოკარნოს ხელშეკრულების თანახმად და იმ შედეგებს, რომელიც შეიძლება მოჰყვეს ხელშეკრულებას დაპყრობილ ოლქებისათვის.

სხდომის ბოლოს გამოვიდა შტრეზემანი, რომელმაც განაცხადა, რომ მთავრობა წარმოადგენს თავის დასკვნას—შეიტანს თუ არა ლოკარნოს ხელშეკრულება ცვლილებებს გერმანიის კონსტიტუციაში. როგორც ცნობილია, საკითხები, რომელსაც შეაქვთ ცვლილებები გერმანიის კონსტიტუციაში, უნდა იყოს მიღებული ან უარყოფილი რეიხსტაგის ხმების ორი მესამედის უმრავლესობით.

უნდობლობის რეზოლუცია.

ბერლინი, 24 ნოემბერი. რეიხსტაგის ნაციონალისტების ფრაქციამ, მოისმინა რა მთავრობის განმარტება ლოკარნოს შეთანხმების და ერთა ლიგაში გერმანიის შესვლის საკითხი, შეიტანა მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების რეზოლუცია. გარდა ამისა ნაციონალისტების ფრაქცია მოითხოვს, რათა ლოკარნოს ხელშეკრულების და ერთა ლიგაში გერმანიის შესვლის კანონპროექტში შეტანილ იქნეს შემდეგი დამატება: „ერთა ლიგაში გერმანიის შესასვლელად საჭიროა სპეციალური კანონის გამოცემა".

ლონდონი, 24 ნოემბერი. მთავრობამ წინადადება მისცა საფრანგეთს, გადასდოს გარეშე საქმეთა მინისტრების მოწვევა ლონდონში ლოკარნოს ხელშეკრულებაზე ხელის მოსაწერად, ედუარდ მე-7 ქვრივის—ალექსანდრას გარდაცვალების გამო.

კამათი გერმანიის რეიხსტაგში ლოკარნოს ხელშეკრულების შესახებ

ბერლინი, 24 ნოემბერი. რეიხსტაგში დაიწყო კამათი ლოკარნოს შეთანხმებათა მიღების შესახებ.

სოციალ-დემოკრატი ორატორი ველსი აღნიშნავს, რომ ლოკარნოს ხელშეკრულების უარყოფა გამოიწვევდა მძიმე ეკონომიურ შედეგებს გერმანიის მუშათა კლასის და წვრილი ბურჟუაზიისათვის. ველსი ეკამათება კომუნისტებს გერმანიის დასავლეთის ორიენტაციის საკითხის შესახებ. ორატორის აზრით, ლაპარაკი არ არის არჩევანზე: შევიდეს გერმანია ერთა ლიგაში თუ დასდოს კავშირი საბჭოთა მთავრობასთან. საჭიროა ხელშეკრულებათა სისტემაში ჩაბმული იქნეს არა მარტო დასავლეთი, არამედ აღმოსავლეთიც.

გერმანელ ნაციონალისტების სახელით გამოდის ვესტარპი.

„ინგლისს—აცხადებს ვესტარპი—სურს ლოკარნოს შეთანხმებებით დაუკავშიროს გერმანია დასავლეთის სახელმწიფოებს, რითაც მიზნათ ისახავს საერთო ბრძოლას ბოლშევიზმის წინააღმდეგ. ჩვენც ვიბრძოლებთ იმისათვის, რომ ბოლშევიზმი არ შემოიჭრეს გერმანიაში, მაგრამ ჩვენ ვიცით აგრეთვე, რომ ბოლშევიზმი და რუსეთი მუდამ ერთი და იგივე არ იქნება. ჩვენი პოლიტიკური ინტერესები და ეკონომიური აუცილებლობა ჩვენ გვიკარნახებს ავირჩიოთ გზა აღმოსავლეთის კენ".

ვესტარპი აცხადებს, რომ გერმანიის ნაციონალისტები, უნდობლობის ვოტუმს გარდა, შეიტანენ აგრეთვე წინადადებას, რომ კანონი ლოკარნოს ხელშეკრულების დამტკიცების შესახებ ჩაითვალოს ისეთ კანონად, რომელიც სცვლის კონსტიტუციას, ე. ი. მის მისაღებად საჭიროა რეიხსტაგის ხმების ორი მესამედის შეკრება.

ცენტრის პარტიის ბელადი ფერენბახი და სახალხო პარტიის ბელადი შოლცი აცხადებენ, რომ მათი პარტიები იწონებენ ლოკარნოს შეთანხმებებს.

შემდეგ კომუნისტების სახელით გამოვიდა ტელმანი, რომელმაც განმარტა გერმანიის კომპარტიის უარყოფითი დამოკიდებულება ლოკარნოს ხელშეკრულებას მიმართ. ტელმანი მთელ რიგ მაგალითებით ამტკიცებს, რომ ერთა ლიგა წარმოადგენს მხოლოდ იარაღს ვერსალის გამარჯვებულთა ხელში. სოციალ-დემოკრატია, რომელმაც იცის, რომ ერთა ლიგა წარმოადგენს ბრძოლის იარაღს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, მიუხედავად ამისა მაინც მონაწილეობას ღებულობს ამ პოლიტიკაში. ლოკარნო—ეს არის ცდა ჩაითრიონ გერმანია ევროპის ანტისაბჭოთა კოალიციაში, რომელსაც ხელმძღვანელობს ინგლისი. ტელმანი უარყოფს „ფორვერტს"-ის ჭორებს, თითქოს საბჭოთა კავშირს განზრახული ჰქონდეს ერთა ლიგაში შესვლა.

შემდეგ ტელმანი აცხადებს, რომ 27 ნოემბერს გაიმართება მუშათა მასების დემონსტრაცია მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ.

დასასრულ, ორატორი აღნიშნავს, რომ კაპიტალისტური გერმანია უნდა დაიღუპოს, რათა ადგილი დაუცალოს სოციალისტურ გერმანიას.

„ამიტომ, აცხადებს ტელმანი,—ძირს ლოკარნო და ერთა ლიგა!"

ინგლისელ კომუნისტების პროცესი

ლონდონი, 24 ნოემბ. ვექილმა პრინგლმა, რომელიც იცავდა კომუნისტების პროცესზე კომკავშირის მდივანს რესტას და ბელლას, თავის სიტყვაში სასამართლოს მიუთითა შინაგან საქმეთა მინისტრის—ხიქსის გამოსვლაზე. ხიქსმა ერთ მიტინგზე განაცხადა, რომ დააპატიმრეს კომპარტიის ბელადები, რითაც „შეურაცხყოფა მიაყენა" სასამართლოს.

მოსამართლემ სიტყვა შეაწყვეტინა დამცველს. დამცველსა და მოსამართლეს შორის მოხდა შელაპარაკება იმ ნიადაგზე, რომ დამცველმა მოიყვანა მაგალითი, თუ რამდენათ სამიშია ტექსტიდან სიტყვის ცალკე ადგილების ამოღება, როგორც ეს ჩაიდინა პროკურორმა.

დამცველის საპასუხოდ, პროკურორმა ხოგმა განაცხადა, რომ ბრალდება პოლიტიკური მოტივებით არ ხელმძღვანელობს. ხოგის აზრით დამცველი თავის აზრს ამყარებს იმ მოსაზრებებზე, რომ კომუნისტებს არ უნდათ სამოქალაქო ომი. ეს კი ხოგის აზრით სიმართლეს არ შეესაბამება, ვინაიდან თვით კომუნისტები აცხადებენ, რომ სისულელეა ელოდო რევოლუციონური ბრძოლის გადაწყვეტას მშვიდობიან გზით და რომ მათი ნამდვილი მიზანია მასსების შეიარაღება ბრძოლისათვის ძალაუფლების ხელში ჩასაგდებათ.

ბესარაბიელ გლეხების გასამართლება

ბესარაბიელ გლეხთა პროცესი

ვენა, 24 ნოემბ. პროცესზე ბარბიუსის და გონებრივ შრომის მუშაკთა საერთაშორისო ასოციაციის 160 დელეგატების დასწრების გამო, კიშინევის სამხედრო სასამართლო სცდილობს შექმნას ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ბესარაბიელ გლეხთა დამცველები სარგებლობენ მოქმედების სრული თავისუფლებით. სხდომის დარბაზი სპეციალურად იქნა გასუფთავებული; საზოგადოებისათვის მოწყობილ ადგილებზე ჩამწკრივდნენ „ოხრანკის" მრავალრიცხოვანი აგენტები.

თავმჯდომარე დიდ თავაზიანობას იჩენდა დამცველთა მიმართ.

გლეხთა დამცველების სიტყვა

ვენა, 24 ნოემბერი. დამცველმა კოსტაფორუმ, ცნობილმა პუბლიცისტმა და ადამიანის უფლებათა დაცვის ლიგის რუმინეთის განყოფილების თავმჯდომარემ, თავის სიტყვაში განაცხადა, რომ ბესარაბიელ გლეხთა აჯანყება მოხდა არა საბჭოების წყალობით, არამედ იგი შედეგათ მოჰყვა მასების აღშფოთებას. კოსტაფორუ მოითხოვდა ბრალდებულთა გამართლებას. კოსტაფორუს არგუმენტების ზეგავლენით, სამხედრო პროკურორმა უარი სთქვა ერთ-ერთ ბრალდებულისათვის წაყენებულ ბრალდებაზე.

ანრი ბარბიუსი პროცესზე

ვენა, 24 ნოემბ. ამ ჟამად რუმინეთში მყოფი გონებრივი შრომის მუშაკთა საერთაშორისო გაერთიანების დელეგატები ანრი ბარბიუსი, ვენიშე და ლაპი ჩავიდნენ კიშინევში და დაესწრნენ ბესარაბიელ აჯანყებულ გლეხების პროცესს.

სიმშილი ჩრდილოეთ მოლდავიაში.

ვენა, 24 ნოემბ. რუმინეთის გაზეთები იტყობინებიან, რომ მოლდავიის ჩრდილოეთ ნაწილში მაღალ დონეზეა სიმშილი. სურსათ-სანოვაგის მარაგი სრულებით გამოილია. გლეხები საჭმელად ხმარობენ სათეს მასალას.

უკანასკნელი ცნობები

შეღავათები ინგლის-საბჭოთა ვაჭრობისათვის

ლონდონი, 24 ნოემბერი. მუშათა პარტიის წარმომადგენელი ტეილორი თემთა პალატაში გამოსვლის დროს შეეხო საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის ხელშეკრულებას გერმანულ ფირმებთან სასოფლო-სამეურნეო იარაღების მიწოდების შესახებ. ტეილორმა აღნიშნა, რომ ამ ფირმებს კრედიტს აძლევენ გერმანული ბანკები 3 წლის ვადით. შემდეგ ტეილორმა შეკითხვა მისცა, მთავრობას აქვს თუ არა განზრახვა გაავრცელოს ინგლის-საბჭოთა ვაჭრობაზე კანონი შეღავათების შესახებ.

შეკითხვაზე ფინანსთა მინისტრის ამხანაგმა მაკ ვიილმა უპასუხა, რომ ინგლისის ხაზინის მიერ დღემდე უზრუნველყოფილია საზღვარგარეთ მომხდარ 58.897.000 გირვანქა სტერლინგის გარიგებანი.

სოციალისტები ვაჭრობენ

პარიზი, 24 ნოემბ. ბრიანმა შესთავაზა სოციალისტებს 3 ადგილი მთავრობაში, მაგრამ, როგორც იტყვიან, სოციალისტების ლიდერმა ბლიუმმა უპასუხა ბრიანს, რომ პოლიტიკური კომისიის აზრით, ყოველ შემთხვევაში მთავრობის პორტფელების ნახევარი უნდა გადაეცეს სოციალისტებს.

ქარახანის შეხვედრა ჩინეთში.

ხარბინი, 24 ნოემბერი. კარახანი ჩამოვიდა ხარბინში. ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინისგზის მთელ ხაზზე მუშებმა, მოსამსახურეებმა და საბჭოთა კავშირის მოქალაქეებმა საზეიმო შეხვედრა გაუმართეს საბჭოთა ელჩს. კარახანის საპატივსაცემლოდ ჩინეთის ხელისუფლებამ გამართა ნადიმი.

ჩან-ძო-ლინის თხოვნა

ხარბინი, 24 ნოემბერი. ჩან ძოლინმა მუკდენიდან კარახანს გამოუგზავნა მიპატიჟება და სთხოვა, რომ ის (კარახანი) შესულიყო მუკდენში.

ჩან-ძო-ლინს უნდა კარახანის საპატივცემლოდ გამართოს ნადიმი.

ჩან-ძო-ლინის წინააღმდეგ

ხარბინი, 24 ნოემბერი. იაპონიის დეპეშათა სააგენტოს ცნობით, შანდუნის პროვინციის მაზრის უფროსებმა განაცხადეს, რომ ისინი არ შეასრულებენ ჩან-ძო-ჩანის (ჩან-ძოლინის მომხრეა) განკარგულებებს. მათ უარი სთქვეს გენერლისათვის დახმარების გაწევაზე.

ორმა მაზრამ ავტონომია გამოაცხადა.

გლეხების აჯანყება მანჯურიაში

ვლადივოსტოკი, 24 ნოემბერი. ხარბინიდან მიღებული ცნობით, ხედანის მაზრაში, მირინას პროვინციის სამხრეთ ნაწილში (მანჯურია) დაიწყო გლეხების აჯანყება. აჯანყება გამოიწვია აუტანელი გადასახადების გაწერამ გლეხებზე.

მანჯურიის ხელისუფლებამ აღუთქვა გლეხებს მაზრის უფროსის დათხოვნა და მუკდენში ადგილობრივი თვითმართველობის გაუმჯობესება.

აღმოსავლეთში

აბდ-ელ-ქერიმი ზავის შესახებ

ამერიკულ გაზეთში „ბალტიმორ სენ“ მოთავსებულია ამ გაზეთის სპეციალური კორესპონდენტის საუბარი რიფების ბელადთან—აბდ-ელ-ქერიმთან, რომელმაც სხვათა შორის შემდეგი განაცხადა საზავო მოლაპარაკების შესახებ ერთის მხრივ რიფებსა და მეორე მხრივ ესპანეთ-საფრანგეთს შორის.

„ორჯერ სცადეს ჩემთან საზავო მოლაპარაკების დაწყება. პირველათ ჩემთან მოვიდა ესპანეთის ერთი-ერთი უდიდესი სანაოსნო საზოგადოების პატრონი, მეფე ალფონს მეცამეტეს პირადი მეგობარი ენჩევარიეტა. ის ჩემთან მოვიდა ამ ოთხი თვის წინათ და მე მასთან გულღიათ ვილაპარაკე ყველაფერზე. მაგრამ ამ მოლაპარაკებას არავითარი შედეგები არ მოჰყოლია. ესპანეთის მთავრობამ, როგორც სჩანს, არავითარი ყურადღება არ მიაქცია ჩემი თანამოსაუბრის რჩევა-დარიგებებს.

მეორეჯერ ესპანეთმა სცადა ზავისათვის ნიადაგის მოსინჯვა ორი თვის წინათ“.

ალხუსუმასის სამხედრო გუბერნატორმა გამომიგზავნა მე წერილი, რომელშიც მეკითხებოდა: თანახმა ვარ თუ არა მივიღო ესპანეთისა და საფრანგეთის მთავრობის რწმუნებულები ზავის პირობების შესახებ მოსალაპარაკებლად. მაგრამ წერილი შედგენილი იყო ისეთი თავხედური და ბუნდოვანი კილოთი, თითქო გუბერნატორს მიზნად ჰქონდა მხოლოდ ჩემი შეურაცყოფა. მე მაინც უპასუხე, რომ ყოველ წუთს მზად ვარ მივიღო ესპანეთისა და საფრანგეთის მთავრობის რწმუნებულები, თუ ისინი იცნობენ ჩემი ქვეყნის სრულ დამოუკიდებლობას. საპასუხო წერილის დასასრულს ვიმეორებდი, რომ შეხვედრა დაკავშირებულია ამ ზემოხსენებული პირობის უდაოთ მიღებასთან.

გარდა ამ ორი ცდისა, საფრანგეთ-ესპანეთის მთავრობის სხვა მშვიდობიანი ნაბიჯების შესახებ მე არა ვიცი რა“.

შემდეგ, საუბრის დროს, აბდ-ელ-ქერიმმა გაკვირვება გამოსთქვა იმის გამო, რომ ესპანეთი მონაწილეობას იღებს ომში რიფების წინააღმდეგ, რიფების დამარცხება ხელსაყრელია მხოლოდ საფრანგეთის იმპერიალიზმისთვის, ესპანეთს კი იგი არავითარ სარგებლობას არ მოუტანს.

რაც შეეხება საფრანგეთის პოლიტიკას მაროკოში, აბდ-ელ-ქერიმმა მის შესახებ სთქვა:

„მე მშვენივრად მესმის საფრანგეთის მთავრობის თვალსაზრისი. საფრანგეთს ამოქმედებს იმპერიალისტური ზრახვები. მის განკარგულებაში დიდი სამხედრო ძალაა. საფრანგეთს ფართე კოლონიალური მიზნები აქვს დასახული. მას აშინებს რიფების დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობა, ვინაიდან ფრანგთა მბრძანებლობა მაროკოს დანარჩენ ნაწილებში—ალჟირსა და ტუნისში შერყეულია. საფრანგეთს აშინებს, რომ რიფების დამოუკიდებელი რესპუბლიკა გახდება მუსლიმანური აფრიკის განთავისუფლებისათვის ბრძოლის მედროშე“.

საუბრის დასასრულ აბდ-ელ-ქერიმმა განაცხადა:

„თქვენ შეგიძლიათ ჩემი სახელით განაცხადოთ, რომ ჩვენი დამარცხება შეუძლებელია. ჩვენ შეურყეველ ძალას წარმოვადგენთ. თუმცა ერთის შეხედვით ვინმე იფიქრებს, რომ საფრანგეთი უფრო ძლიერია მაგრამ იგი ჩვენ მაინც ვერ დაგვამარცხებს. თუ საფრანგეთი კეთილგონიერებას არ არის მოკლებული, ის ამ ზამთარში ზავს ჩამოაგდებს ჩვენთან. თუ ამას არ იზამს, ის დაკარგავს ყველა თავის სამფლობელოებს ჩრდილოეთ აფრიკაში“.

მუშათა საერთაშორისო მოძრაობა

მუშების მდგომარეობა ლატვიაში

მიუხედავათ იმისა, რომ უკვე რვა წელია არსებობს ლატვიის „დამოუკიდებელი“ „დემოკრატიული“ რესპუბლიკა, ჯერ კიდევ მოუწესრიგებელია საკითხი პროფკავშირების თავისუფლების შესახებ. გაფიცვის მოწყობისათვის მუშებს სდევნიან. არაპირდაპირი გადასახადები მძიმე ტვირთად აწვებიან მოსახლეობის მშრომელ ფენებს, უმთავრესად კი მუშებს. კანონი სამუშაო დღის ხანგრძლივობის შესახებ არ ვრცელდება 200,000 დაქირავებულ მუშაზე (სასოფლო-მეურნეობის მუშებზე, მეზღვაურებზე, ტრანსპორტის მუშებზე, საავადმყოფოების მუშა-მოსამსახურეებზე და სხვ.). ის შეკვეცილი შრომის კანონებიც კი, რომლებიც არსებობენ, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ირღვევა, ფეხქვეშ ითელება. სასოფლო-მეურნეობის მუშები და მეზღვაურები დაზღვეული არ არიან. მუშათა დაზღვევას უბედურ შემთხვევებისგან არადამაკმაყოფილებლად სთვლიან თვით პროფკავშირების ხელმძღვანელ ორგანოებში მოკალათებული ბიუროკრატებიც კი. არ არსებობს დაზღვევა პროფესიონალურ ავადმყოფობათაგან, უმუშევრობის და მოხუცებულობის გამო. შრომის ხელფასის მხრივ, სამრეწველო მუშების უმრავლესობა, განსაკუთრებით ქალები პირდაპირ უმწეო მდგომარეობაში იმყოფებიან.

მრეწველები სარგებლობენ უმუშევართა დიდი არმიის არსებობით, რომ ისედაც მცირე შრომის ხელფასი კიდევ უფრო დაუკლონ. არსებობენ ისეთი დაწესებულებები, სადაც ქალების დღიური ხელფასი არ აღემატება ერთ ლატს (37 ნახ. კაპეიკს).

არ არსებობს კანონი შრომის ხელფასის მინიმუმის შესახებ.

წლიდან წლამდი იზრდება დაავადმყოფებულ, დასახიჩრებულ მუშების რიცხვი, რომელთაც სახელმწიფო არავითარ დახმარებას არ უწევს.

არ არსებობს შრომის ინსპექცია. არ არსებობს კანონი კოლექტიურ ხელშეკრულებათა შესახებ.

მუშების საბინაო პირობები საშინელია.

ასე ცხოვრობენ მუშები „დემოკრატიულ“ ლატვიაში.

სამხრეთ-სლავიის მბეჭდავების სიმტკიცე

სამხრეთ-სლავიის მბეჭდავთა კავშირს ნოემბერში მეწარმეებელთა დიდი იერიშის მოგერიება მოუხდა.

ოქტომბრის დამლევს გაუთავდა ვადა წინა წლის დადებულ კოლექტიურ ხელშეკრულებას და სტამბების მეპატრონეებმა უარი სთქვეს ახალი კოლექტიური ხელშეკრულების დადებაზე.

მოლაპარაკება ახალი კოლექტიური ხელშეკრულების გარშემო დაიწყო ოქტომბრის პირველ დღეებში. მეწარმეებლები მოითხოვდენ, რომ დადებული ყოფილიყო არა საერთო ხელშეკრულება, არამედ ცალკე წარმოებათა მუშებთან. ამ მოთხოვნის მიზანი იყო: მუშების დაქსაქსვა, 8 საათის სამუშაო დღის გაუქმება და შრომის ხელფასის შემცირება. მაგრამ მათ ვერ შესძლეს შეკავშირებულ მბეჭდავების მოტეხა. ბელგრადის სტამბების მეპატრონეები ბოლოსდაბოლოს იძულებული შეიქნენ ხელი მოეწერათ კოლექტიური ხელშეკრულებისათვის, დანარჩენ სტამბებში კი მბეჭდავები იძულებული შეიქნენ გამოეცხადებიათ გაფიცვა, რომელიც დღემდი გრძელდება.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

ნახშირის მეცნიერულად გამომკვლევი ინსტიტუტი

მოსკოვი, 25 ნოემბ. საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სამეცნიერო ტეხნიკურ განყოფილებასთან არსებულმა თათბირმა საჭიროდ სცნო მოსკოვში ნახშირის გამომკვლევი ცენტრალური სამეცნიერო ინსტიტუტის დაარსება დონის ნახშირის მრეწველობასთან და ნახშირის სხვა რაიონებში ლაბორატორიების დატოვებაში.

ეროვნულ უმცირესობათა საბჭოები.

მოსკოვი, 25 ნოემბ. ბელორუსიაში ეროვნულ უმცირესობათა საბჭოების რაოდენობა შესამჩნევად გაიზარდა. ამ ჟამად ითვლება 21 საბჭო სასოფლო ეროვნულ საბჭოების მუშაობის გაცხოველების მიზნით ბელორუსიის შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატი იწვევს სასოფლო ეროვნულ საბჭოების ყრილობას.

მუშათა უნივერსიტეტი

დონის როსტოვი, 25 ნოემბ. სამეცნიერო მუშაკთა სექციის ბიურომ დაარსა როსტოვში მუშათა უნივერსიტეტი, რომელშიაც ასწავლიან 190 ქარხნის მუშას.

ანტრაციტის მაღაროები

დონის როსტოვი, 25 ნოემბერი. გრუშევის რაიონში აღმოჩნდა ანტრაციტის 3 მაღანი მთავარი ფენის სიღრმე უდრის ერთ კილომეტრს.

ამხ. ძერჟინსკის და ავანესოვის დანიშვნა

მოსკოვი, 25 ნოემბ. სრულიად რუსეთის ცაკ-ს დადგენილებით ამხ. ძერჟინსკი დამტკიცებულია რ. ს. ფ. ს. რ-ს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის დროებით აღმასრულებლად.

საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით ამხ. ავანესოვი დაინიშნა საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის წევრად.

მასწავლებელთა დელეგაციის წერილი

კიევი, 25 ნოემბერი. სექტემბერში კიევში ნამყოფი უცხოეთის მასწავლებელთა დელეგაციის წევრებმა გამოუგზავნეს გერმანიიდან ლენინის სახელობის საბავშვო ქალაქის ბავშვებს წერილი.

„ჩვენი ახალგაზრდა სპარტაკელები—ნათქვამია წერილში,—გიამბობენ თქვენ თავიანთი ბრძოლის შესახებ გერმანიაში, სადაც ლენინური საბავშვო ქალაქები არ არსებობს, სადაც ჯერ კიდევ ბატონობენ კაპიტალისტები და ვილჰელმის გენერლები. ამხანაგი ლენინი, რომლის სახელიც თქვენს პატარა ქალაქს ეწოდება, ჩვენი ბელადია. თქვენს მისალმებაზე „მზად იყავ“ ჩვენ გიპასუხებთ მტკიცე ნებით და ცხოველი გულით: „მუდამ მზად ვართ“.

წერილზე მოწერილი აქვთ ხელი აუსლენდერს, ბერტა ლასს და [illegible]

ლითონის მრეწველობის მდგომარეობა

მოსკოვი, 25 ნოემბ. საბჭოთა კავშირის სახ. მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე ძერჟინსკის თავმჯდომარეობით მოსმენილ იქნა მექლაუკის მოხსენება ლითონის მომარაგების აღრიცხვისა და მოწესრიგების შესახებ.

მექლაუკმა აღნიშნა, რომ, მიუხედავათ შავი ლითონის მრეწველობის შესამჩნევად გაფართოებისა, თუჯის, ფოლადის და სხვა შავი ლითონის რაოდენობა ვერ აკმაყოფილებს არსებულ მოთხოვნილებას, რომელიც თანდათან იზრდება. ლითონზე მოთხოვნილების გადიდება პანიკას ქმნის ლითონის ბაზარზე და იწვევს ერთგვარ დაბნევას. ლითონის საკითხის გამწვავება შეიძლება თავიდან ავიცილოთ, თუ თავის დროზე იქნება მიღებული ზომები.

იმ ზომებს შორის, რომელთაც შეუძლიათ შეანელონ ლითონის ბაზარზე არსებული ნერვიულობა, მექლაუკი აღნიშნავს: ლითონის მომხმარებელთა საჭიროების სწორ აღრიცხვას, ლითონის ეკონომიურად ხარჯვას და სადაც ეს შესაძლებელია მისი ნატეხი ლითონით შეცვლას სათანადო გადამუშავების საშუალებით. ამასთანავე ერთად საჭიროა სასწრაფოდ შემუშავებულ იქნეს საკითხი ქარხნების წარმოების გადიდების შესახებ. საჭიროა ზომების მიღება, რათა გადიდებულ იქნეს ღუმელების რიცხვი 10 მილიონი ფუთი თუჯის გადასადნობათ. მუშაობაში ჩაბმულ უნდა იქნეს ლიპეცის ქარხანა ერთ ნახევარი მილიონი ფუთი თუჯის დასამზადებლათ. ურალზე საჭიროა ამუშავება ყველა ღუმელების, რომლებსაც კი ექნებათ ნედლი მასალა.

მომავალ წლისათვის ლითონის მთავარი სამართველო ფიქრობს ლითონის მრეწველობის შესამჩნევად გაფართოებას წარმოებათა გადახალისების საშუალებით.

ძერჟინსკიმ აღნიშნა, რომ სახალხო მეურნეობისათვის ლითონით მომარაგების საკითხის დიდი მნიშვნელობის გამო, საჭიროა სასტიკათ განსაზღვრული გეგმის მიხედვით ეძლეოდეთ ლითონი მომხმარებელთ. საჭიროა ლითონის მოხმარების საკითხში გატარებულ იქნეს უდიდესი ეკონომია და სასტიკი გეგმიანობა. ეს მით უმეტეს ადვილია, რომ 161 მილიონ ფუთ თუჯიდან, ეგრედ წოდებულ კერძო ბაზრის მოსამარაგებლად, მიდის მხოლოდ 13 პროც.

მექლაუკის მოხსენების თანახმად მიღებულ იქნა დადგენილება, რომელშიაც აღნიშნულია, რომ სახ. მეურნ. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი საჭიროდ სთვლის ლითონის ამოღების და დამუშავების შესაძლებლობის მაქსიმალური პროგრამის შესრულებას, სცნობს რა ამასთანავე ერთად შეუძლებლად საიმპორტო გეგმის შემცირებას იმ ნაწილში, რომელიც ეხება ლითონის მრეწველობისათვის საჭირო მოწყობილობის შემოტანას, პრეზიდიუმი წინადადებას აძლევს ლითონის გადამმუშავებელ ყველა წარმოებებს განაგრძონ მუშაობა ნედლი და სათბობი მასალით უზრუნველყოფის მიხედვით და იმავე დროს მიიღონ ყოველივე ზომები ამ უზრუნველყოფის რაც შეიძლება გასადიდებლათ დასახულ საწარმოო პროგრამის შესრულების მიზნით.

ნედლი ლითონის ხარჯვის მხრივ ლითონის მთავარ სამართველოს წინადადება მიეცა დაავალოს ყველა ლითონის გადამმუშავებელ წარმოებებს მინიმალურ რაოდენობამდე დაიყვანონ საჭირო ნედლი ლითონის დაკვეთა. დადგენილ იქნა სახალხო მეურნ. უმაღლეს საბჭოს და მოკავშირე რესპუბლიკების ყველა ტრესტებს გაეგზავნოთ მიმართვა ლითონის ხარჯვაში უდიდესი ეკონომიის საჭიროების შესახებ.

ლითონის მთავარ სამართველოს წინადადება მიეცა ორი კვირის ვადაში წარმოადგინოს პრეზიდიუმში სრულიად საკავშირო ლითონის სინდიკატის წესდების პროექტი.

საგლეხო სესხის მნიშვნელობა

ამხ. სოკოლნიკოვის მოხსენება

მოსკოვი, 25 ნოემბ. დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს სოკოლნიკოვმა განაცხადა, რომ ამჟამად გამოშვებულ მეორე საგლეხო სესხზე ხელის მოწერამ მოგვცა 71 მილიონ მანეთზე მეტი მაშინ, როდესაც ბაზარზე გასანაწილებლად დანიშნული იყო სესხის მხოლოდ ორი სერია 20 მილიონი მანეთის.

სესხის წარმატება გვიჩვენებს, რომ ჩვენს ქვეყანაში ყალიბდება ფულის ბაზარი, ესე იგი, რომ ხალხს აქვს შენახული ფული. სახელმწიფო კრედიტების სფეროში მუშაობის მოწესრიგებას უწინარეს ყოვლისა სახელმწიფო ბიუჯეტისთვის აქვს მნიშვნელობა. სესხის საშუალებით საბიუჯეტო დეფიციტის დაფარვის შესაძლებლობა სრულიად აშკარა ხდება.

მაგრამ მაინც მეორე საგლეხო სესხის რეალიზაციის წარმატება არ შეიძლება საკმაოდ ჩაითვალოს მანამდე, ვიდრე სესხის ობლიგაციები უფრო მეტი რაოდენობით არ შეიჭრება სოფლებში. სახელმწიფო კრედიტის პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს იქით, რომ ამ სფეროში განხორციელებულ იქნეს მეტი პოლიტიკური და ეკონომიური თანამშრომლობა მუშური სახელმწიფოსი გლეხებთან.

მოჭადრაკეთა საერთაშორისო შეჯიბრება

მოსკოვი, 25 ნოემბერი. მოჭადრაკეთა საერთაშორისო შეჯიბრებაზე 24 ნოემბერს გათამაშებულ იქნა დაუმთავრებელი პარტიები.

ვერლინსკიმ მოუგო კაპაბლანკას. ლასკერის და გრიუნფელდის პარტია ხანგრძლივი თამაშის შემდეგ უშედეგოთ დამთავრდა. რუბინშტეინმა წააგო ეიტსთან რომანოვსკიმ მოუგო ვერლინსკის. მარშალმა წააგო ზემიშთან. ვერლინსკიმ დაამთავრა პარტია გოტგილფთან: თამაში უშედეგოთ დამთავრდა. დუზ-ხოტიმირსკიმ წააგო ზემიშთან.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

არჩევნების წინ.

ლიუქსემბურგი, 24 ნოემბერი. სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმმა მოაწყო სამაზრო საარჩევნო კომისია სამ. აღმასკომის თავმჯდომარის თავმჯდომარეობით.

ორგანიზაციების წარმომადგენლების გარდა კომისიის შემადგენლობაში შედიან ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები. კომისია შედგება 11 კაცისაგან.

იუსტიციის ორგანოების გამოკვლევა

ლიუქსემბურგი, 24 ნოემბ. ბორჩალოს მაზრაში ჩამოვიდა იუსტიციის სახალხო კომისარი ვარძიელი ადგილობრივი სასამართლო ორგანოების გამოკვლევის მიზნით.

საბჭოთა და სავაჭრო დაწესებულებათა მოსამსახურეების სამაზრო კონფერენცია.

ახალქალაქი, 24 ნოემბ. დაამთავრა თავისი მუშაობა საბჭოთა და სავაჭრო დაწესებულებების მოსამსახურეების მეხუთე სამაზრო კონფერენციამ.

კონფერენცია საკმაოდ ცოცხლად ჩატარდა. დელეგატები ადგილებიდან აქტიურ მონაწილეობას იღებდენ კითხვების გარჩევაში.

არჩეული არიან დელეგატები ახალქალაქის მაზრის პროფკავშირთა კონფერენციაზე და სრულიად საქართველოს ყრილობაზე გასაგზავნად.

სასოფლო-ს მეურნეო გადასახადის შემოსვლა.

ახალქალაქი, 24 ნოემბერი. 1—15 ნოემბრამდე შემოვიდა სასოფლო-სამეურნეო გადასახადი—3.270 მან. 73 კაპ.

1-ლ მთელი კამპანიის განმავლობაში შემოვიდა 22.472 მან. 88 კაპ. სასოფლო-სამეურნეო გადასახადი. გასული წლის ნარჩენი შემოვიდა 891 მან. 19 კ. რაოდენობით, საურავი გასული და მიმდინარე წლის—312 მან. 80 კ. რაოდენობით.

ხანძარი ტყეში.

ცაგერი, 24 ნოემბ. ლეჩხუმის მაზრაში აგერ უკვე თითქმის 2 კვირაა ხანძარი მძვინვარებს ზოგიერთ სატყეო აგარაკებში. მდგომარეობა ძრიად სერიოზულია.

განსაკუთრებით ძლიერი ხანძარია ქვედა სვანეთის ტყეში.

ხანძრის მიზეზია ხანგრძლივი გვალვა და გაუფრთხილებელი მოპყრობა ცეცხლთან.

საარჩევნო კამპანია.

ცაგერი, 24 ნოემბ. საბჭოების ხელახალი არჩევნების კამპანია ენერგიულად ტარდება. სამაზრო კომიტეტი ზომებს იღებს, რომ თავიდან აცილებული იქნეს გასულ წელს დაშვებული შეცდომები. გლეხები დიდ ინტერესს იჩენენ არჩევნებისადმი.

აზერბეიჯანი.

აზნავთის მუშათა ხელფასი.

ბაქო, 25 ნოემბერი მოსკოვში მოწვეული იყო სამედიატორო სასამართლო აზნავთის მუშათა ხელფასის საკითხის გამოსარკვევათ. სასამართლოს თავმჯდომარეობდა საბჭოთა კავშირის შრომის სახ. კომისარი შმიდტი. სასამართლოს სხდომების დასრულების შემდეგ ბაქოში დაბრუნდენ „აზნავთის“ თავმჯდომარე სერებროვსკი და აზერბეიჯანის სამთომადნო მუშათა კავშირის ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარე—გუტტი.

სამედიატორო სასამართლოს დადგენილების თანახმად მოლაპარაკების შემდეგ „აზნავთსა“ და სამთო-მადნო მუშათა კავშირის შორის მიღწეული იქნა შეთანხმება. ამ შეთანხმებით „აზნავთის“ ხელფასის მინიმუმზე დაწესებულია 18 მანეთი 1 ოქტომბრიდან, წინააღმდეგ 16 მანეთისა სექტემბერში.

სამთო-მადნო მუშათა კავშირის აზერბეიჯანის განყოფილების ცენტრალური გამგეობის პლენუმმა დაადასტურა მიღწეული შეთანხმება ხელფასის 12,5 პროცენტით გადიდების შესახებ. ამ დღეებში მოხდება კოლექტიურ ხელშეკრულების ხელის მოწერა.

უცხოეთის მუშათა დელეგაციები ბაქოში

ბაქო, 25 ნოემ. დღეს ნაშუადღევის 4 საათზე ჩამოვიდა გერმანიის და ჩეხო-სლოვაკიის მუშა ახალგაზრდობის დელეგაცია.

სადგურზე საზღვარ-გარეთელ პროლეტარულ ახალგაზრდობის წარმომადგენლებს შეხვდენ აზერბეიჯანის ახალგ. ლენინურ კომკავშირის ცეკას და ბაქოს კომიტეტის წარმომადგენლები, რაიონების მუშათა ახალგაზრდობა და პიონერები, რომლებიც გამოცხადდენ ორკესტრით და დროშებით.

სადგურის ბაქანზე თავმოყრილი ახალგაზრდობა ერთსულოვნად მიესალმა სტუმრებს. სადგურიდან დელეგაციები გაემგზავრენ საბჭოთა პირველ სახლში.

საღამოს დელეგატები ინახულებენ აზერბეიჯანის პოლიტიკურ ინსტიტუტის მუშათა ფაკულტეტს.

დელეგაციების შემადგენლობა.

ბაქო, 25 ნოემ. ბაქოში ჩამოსულ გერმანიის მუშათა ახალგაზრდობის დელეგაციის შემადგენლობაში შედის 5 კომუნისტი, 8 სოციალ დემოკრატი, 2 დამოუკიდებელი სოციალისტი და 2 უპარტიო. დელეგაციის თავმჯდომარეებია: კარლ ზეიუნკს და ფელიქს გაუნშტეინი, ორივე სოციალ-დემოკრატები, მდივნად—კომკავშირელი მანა კრუგერი. ჩეხო-სლოვაკიის დელეგაციის შემადგენლობაში შედის 8 კომკავშირელი და 3 სოციალ-დემოკრატი.

დელეგაციის თავმჯდომარეა—სოციალ-დემოკრატი ანტონი ჩერპი, მდივანი—კომკავშირელი ბლახცა კაკკენი.

ორივე დელეგაციის დიდი უმრავლესობა თავის სოციალურ მდგომარეობით წარმოადგენენ მუშათა ახალგაზრდობას: დელეგატები არჩეულ იქნენ მუშათა ახალგაზრდობის სპეციალურ კონფერენციებზე გერმანიის და ჩეხო სლოვაკიის სამრეწველო ოლქებში.

დელეგაციის ჩამოსვლის მიზანია საბჭოთა კავშირის მუშა „ახალგაზრდობის შრომის, ყოფა-ცხოვრების და აგრეთვე მუშათა ახალგაზრდობის ერთიანი ფრონტის შექმნის საკითხის შესწავლა.

საბჭოთა კავშირში გამომგზავრებამდე დელეგატების წინააღმდეგ მიმართული იყო რეპრესიული ზომები; თითქმის ყველანი დაითხოვეს ფაბრიკა-ქარხნებიდან, სოციალ-დემოკრატების დიდი უმრავლესობა გამორიცხული იქნა პარტიიდან.

ჩვენი გზა*)

იმპერიალისტური ომის უსაშინელესი ნგრევის შემდეგ მუშათა კლასის პარტიები მეტის სიაშკარავით ვინემ წინათ. დაირაზმენ ორ მტრულ ბანაკში: ერთის მეთაურია მეორე ინტერნაციონალი, მეორესი კი—კომინტერნი. პირველმა თავის უახლოეს პოლიტიკურ მიზნად დაისახა „დემოკრატიული რესპუბლიკის“ აღდგენა და განმტკიცება, მეორემ კი ახალი სახელმწიფოებრივი ფორმა წამოაყენა: საბჭოთა სისტემა. უკანასკნელის მაგალითია საბჭოთა კავშირი, პირველის ცდას კი ხსენებული ტიპის რესპუბლიკა წარმოადგენდა. ერთის საფუძველს შეადგენს მშრომელი კლასები პროლეტარიატის ხელმძღვანელობით, პროლეტარიატის დიქტატურა, მეორე კი ემყარება ეგრეთ წოდებულ დემოკრატიას, მოწინააღმდეგე კლასთა შეთანხმებას და შეგუებას, რის გამო მის აღმშენებლობაში ბურჟუაზიაც იღებს მონაწილეობას. თებერვლის (1917) შემდეგ ჩვენ საშუალება მოგვეცა ორივე სისტემა გვეცსინჯა, გაეცნობოდით მათ გზებს და მათ მიღწევებს.

და რა დავინახეთ ჩვენ?

სრულიად რუსეთის მთავრობამ, რომელსაც ესერები და მენშევიკები მეთაურობდენ, ისე გაატარა რამოდენიმე თვე, რომ არც ერთი მნიშვნელოვანი სოციალური საკითხი არ გადაუჭრია. აგრარული რეფორმა, მუშათა საკითხი, დამფუძნებელი კრების მოწვევა, ზავის ჩამოგდება—ლამაზ სიტყვებათ გადაიქცა და ძნელი წარმოსადგენი იყო როდის შეუდგებოდა მათ პრაქტიკულ განხორციელებას. ნაციონალური საკითხი კი—ეს უდიდესი პრობლემა ყოფილი იმპერიის ფარგლებში მცხოვრებ ერებისათვის, კიდევ მეტის ბუნდოვანებითა და გაუგებრობით იყო მოცული. ამიერ-კავკასიის და კერძოთ საქართველოს ფართო დემოკრატია მეტს მოითხოვდა, მეტის მოლოდინში იყო და ცხადია კერენსკი-ტერეშჩენკოს ნასუფრალით ვერ კმაყოფილდებოდა. პოლიტიკური გეგემონია იმ ჟამად მენშევიკების ხელში იყო და ამიტომ სრულიად გასაგებია ჩვენი პოლიტიკური გზის ორჭოფობა. მაშინ, როდესაც კომუნისტური პარტია აშკარა ბრძოლას აწარმოებდა დროებითი მთავრობის წინააღმდეგ, ჩვენ არც უკანასკნელთან ვწყვეტდით კავშირს და კომუნისტურ ოპოზიციასაც ჩვენკენ ვეპატიჟებოდით (მოიგონეთ ივლისის ამბების შემდეგ ამიერ-კავკასიის ხელისუფლების მიმართვა კომპარტიისადმი კოალიციის შედგენის შესახებ). ჩვენი გზა „საშუალო“ იყო და იმ გზამ დაგვაყენა დემოკრატიული რესპუბლიკის პლატფორმაზე. როდესაც ოქტომბრის გადატრიალება მოხდა, ჩვენ დრო ვიხელთეთ და ჯერ მთელი ამიერ-კავკასია, შემდეგ კი საქართველო რევოლიუციონურ რუსეთს ჩამოვაშორეთ და „დემოკრატიული რესპუბლიკა“ დავაარსეთ. ასე ვამბობდით: რუსეთმა ვერ წამოაყენა დროის შესაფერისი დემოკრატიული ძალები, ძალა-უფლება ანარქიულმა ჯგუფმა იგდო ხელში, რუსეთი აშკარად მიექანება მონარქიისაკენ. ჩვენი ქვეყნის რევოლიუციონური დემოკრატია არ დათმობს რევოლიუციის არც ერთ მონაპოვარს და მთელ ძალ-ღონეს იხმარს თვით დემოკრატიული რუსეთის გადასარჩენადო. და მართლაც, სამოქალაქო ომის მსვლელობამ ისეთი ხასიათი მიიღო, რომ ერთ დროს სასწორი იხრებოდა კონტრ-რევოლიუციის ძალებისაკენ. მონარქიის რესტავრაცია დღის საკითხათ იყო დასმული. ამ გარემოებამ კიდევ უფრო განამტკიცა დემოკრატიული რესპუბლიკის საფუძველი და მას ერთ დროს ჩვენში თითქმის ყველა ძალები მიემხრნენ. ამას მოემატა ნაციონალური მომენტი. საქართველოს დამოუკიდებლად გამოცხადება ნაციონალისტურმა პარტიებმა და მათმა მიმდევარმა ჯგუფებმა თვითმიზნად აღიარეს, ვითომდა მიიწყეს კლასიური ინტერესები და მენშევიკური პარტიის გეგემონიას ფორმალურათ დაემორჩილენ. შეიქმნა ერთი მთლიანი მემარჯვენე ფრონტი. ყველა ერთსულოვნად ლაღადებდა: საბჭოების საშიშროება და მათი დამღუპველი გავლენა თავიდან მოვიშოროთ და შინაურ ანგარიშებს შემდეგ გავასწორებთო.

ასეთი იყო ლაღადი, მაგრამ სულ სხვანი იყვნენ საქმენი.

ჯერ კიდევ ადრე, გერმანიის ჯარების საქართველოში შემოსვლის დროს ნაციონალისტურმა პარტიებმა დაიწყეს ოცნება ძველ „მამა-პაპურ“ საქართველოზე. „საკუთარი“ მეფენი აღარსად იყვნენ, მაგრამ გერმანიის პრინცს კი გზას უკაფავდენ საქართველოსკენ. არ ყოფილა არც ერთი თუ გინდ უმნიშვნელო სოციალური რეფორმა, რომელსაც ისინი დიდი გულისწყრომითა და საშინელი წინააღმდეგობით არ შეხვედროდენ. მაგრამ ყოველივე ეს როგორღაც იჩქმალებოდა საბჭოთა წინააღმდეგ საერთო ფრონტში.

რა მდგომარეობაში იყო ამ დროს „საქართველოს დამოუკიდებლობა“?

მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენში ადგილი არ ჰქონებია ხანგრძლივ სამოქალაქო ომს, ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა მაინც უფსკრულისაკენ მიექანებოდა. მთელ რესპუბლიკაში ერთი თვალსაჩინო საწარმოვო დაწესებულებაც არ არსებობდა. შავი ქვის მრეწველობა სიღრმის ძილს განიცდიდა, სოფლის მეურნეობა წელში გაწყვეტილი იყო.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიური მდგომარეობა პროგრესიული მინუსებით ხასიათდებოდა.

სად იყო ხსნა? შეეძლო თუ არა საქართველოს თავისი საკუთარი საშუალებით გამოესწორებია ეკონომიური მდგომარეობა?

არა, არ შეეძლო.

[illegible]

ლებელი იყო. და კიდევაც რომ ყოფილიყო შესაძლებელი—ეს მოხდებოდა ისეთ პირობებში, რომ უცხოელები სისწრაფით და უკვე მაშინ სავსებით ჩაიგდებდენ ხელში, როგორც ეკონომიურ, ისე პოლიტიკურ გეგემონიას. ჩვენი დამოუკიდებლობა უფრო „ნორმალური“ გზით გახდებოდა იმპერიალიზმის იარაღად. ე. ი. მოხდებოდა უფრო ადრე იგივე, რაც ისედაც მოხდა: როგორც ვიცით რესპუბლიკის ტერიტორია თან და თან შეიქნა რევოლიუციონური რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლ იმპერიალისტების დასაყრდენ ბაზათ. რა მსხვერპლი უნდა გაგველო ამისთვის? მოწყვეტილი რევოლიუციონური რუსეთისაგან საკუთარი განვითარების ლოღიკით ისე წავედით, როს სოციალურ საკითხებში რეფორმიზმის გზას დავადექით, ეკონომიური ურთიერთობა კერძო საკუთრების პრინციპზე დავამყარეთ. საინტერესოა, რომ ჩვენი დამფუძნებელი კრების მიერ მიღებულ ერთ კანონსაც, რომელიც შეეხებოდა კერძო საკუთრების საზოგადოებრივი საჭიროებისათვის იძულებითი ჩამორთმევას თვითმმართველობების დადგენილებებით,—აზის „ვიღაცასაგან“ დამოკიდებულების დაღი: ჩამორთმევა უნდა მომხდარიყო... „სამართლიან“ ფასებში. გულახდილად უნდა ვაღიაროთ, რომ თვით ასეთი კანონიც მხოლოდ ქაღალდზე დარჩა. მისი ცხოვრებაში გატარება მეტად შეკვეცილი იყო, უმეტესად პროვინციებში. მისი განხორციელების ჯინიანობისათვის საზოგადოებისაგან არჩეულ არა ერთსა და ორ პასუხისმგებელ პირთ უგემიათ პილპილი ცხვირში. (გაიხსენეთ სურამის თვითმართველობის ისტორია). რა იყო ამის მიზეზი? ერთად ერთი ის, რომ საქართველოს „დემოკრატიულ რესპუბლიკას“ ხელს არ აძლევდა, არ შეეძლო იმპერიალისტური ქვეყნების განაწყენება და ეს სრულიად ეგუებოდა ჩვენ სამოქმედო პროგრამასაც, რომელიც ვერ სცილდებოდა არსებული ბურჟუაზიული ურთიერთობის ფარგლებს.

იქნებ სამაგიეროთ შინაურ ნაციონალური ურთიერთობის მოგვარებაში ვეხმარებოდენ ეს სახელმწიფონი? აქაც პირდაპირ უნდა ვაღიაროთ: დღიდან ამიერ-კავკასიაში შემოსვლისა იმპერიალისტური სახელმწიფოები ყოველ ღონისძიებას ხმარობდენ გაეღრმავებიათ ნაციონალური შუღლი, გადაეკიდებიათ ერთი მეორისათვის ადგილობრივი ერები, გამოეწვიათ მათ შორის მუდმივი ომიანობა და მით გაემართლებიათ ამიერ-კავკასიის ოკუპაცია. „დემოკრატიულ საქართველოს“ ფარგლებში მეტად მოიკოჭლებდა ნაციონალურ საკითხის გადაჭრის საქმე. ჩვენით უკმაყოფილო იყვენ სომხები, ოსები, აჭარლებს თვალები ოსმალეთისაკენ ეჭირათ, აფხაზებს მოსკოვისაკენ. ასეთი იყო საერთოდ ჩვენი მდგომარეობა.

რა ხდება ამავე დროს რუსეთში?

სამოქალაქო ომის მსვლელობა იცვლება და საქმე საბჭოთა სისტემის სასარგებლოთ სწყდება. ამას ხელს ვერ უშლის ვერც გარეშე ინტერვენცია, ვერც პოლონეთის ომი და ვერც უსაშინელესი სიმშილი. საბჭოთა რუსეთი გამარჯვებული გამოდის, ის სამუდამოთ ამარცხებს კონტრ-რევოლიუციას. მაგრამ ყოველივე ამ უბედურების გამო ეკონომიურად დაქვეითდა ქვეყანა. მაგიერათ მტრები დამარცხებულნი მიდიან, თან მიყავთ აუარებელი ჯარი, რადგან დარწმუნებულნი იყვნენ, რომ სულ მცირე დროში ისევ შემობრუნდებოდენ. იმათი აზრით მისუსტებული საბჭოთა სახელმწიფო თავის თავად უნდა მომკვდარიყო. მაგრამ მათდა საუბედუროთ კომუნისტური პარტია ახალ სტრატეგიულ შემოვლას ახდენს ეკონომიურ ფრონტზე: ცხადდება ახალი ეკონომიური პოლიტიკა, მას ერთვის შემდეგი წლის კარგი მოსავალი და საბჭოთა სახელმწიფოც სწრაფად დგება ფეხზე. იწყება ჩქარი ეკონომიური აღდგენა, სასწაულებრივი სიჩქარით გამოსწორდა ტრანსპორტი, ამუშავდა ფაბრიკა-ქარხნები, გაბუტულმა სოფელმა პირი იბრუნა ქალაქისაკენ და მიაწოდა მას თავისი პროდუქცია. ამას მოყვა არანაკლებ სასწაულებრივი ფულის რეფორმა და გუშინ დანგრეულ-განადგურებული ქვეყანა კვლავ იწყებს ჯანსაღ ცხოვრებას. აშკარა ბრძოლაში დამარცხებული ევროპა ეკონომიურ ბლოკადას უცხადებს რუსეთს, მაგრამ ის ამაშიაც მარცხდება. შეკავშირებული საბჭოთა სახელმწიფოები თავისივე ძალ-ღონით აწარმოებენ ამაღორძინებელ ეკონომიურ მუშაობას და სულ ცოტა ხანში აღწევენ დიდ შედეგებს. ის, რაც ჩვენი პატარა ქვეყნისათვის შეუძლებელი იყო, ადვილად შესძლო დიდმა კავშირმა. თანაც არავითარი კომპრომისი მტრებისადმი, არავითარი დათმობა მუშათა კლასის ინტერესების ზარალით არ მომხდარა. სახელმწიფოს მესაჭეობა კვლავ მუშათა კლასის ხელში დარჩა. მუშათა კლასი სოფლის გლეხობასთან ერთად სულ უფრო და უფრო მეტს მონაწილეობას იღებს სახელმწიფოს აღმშენებლობაში. მუშათა კლასი და სოფლის მშრომელი გლეხობა თანამოძმე საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცებაში—მათი ხელმძღვანელი კი მხოლოდ კომუნისტური პარტიაა. ბრძოლის პროცესმა შექმნა მუშებისა და გლეხების მთლიანი ფრონტი, ყველა ერთად ემსახურებიან ოქტომბრის რევოლიუციის განმტკიცებას, ყველა ერთად ებრძვიან მონარქიულ-ბურჟუაზიულ საშიშროებას, თუ ის კიდევ თავს იჩენს სადმე.

ჩვენი რწმენების წინააღმდეგ ოქტომბრის რევოლიუციამ არამც თუ მონარქიის რესტავრაცია არ გამოიწვია, არამედ სამუდამოდ გასრისა ის, სათავეშივე ჩაჰკლა მისი შესაძლებლობაც. დაარსდა წმინდა მუშურ-გლეხური სახელმწიფო, შემდგარი ჭეშმარიტ სოციალისტურ ლიანდაგზე.

ყველასათვის ცხადია, რომ ვინც ასეთი სახელმწიფოს წინააღმდეგ აწარმოებდა და აწარმოებს ბრძოლას, ის კონტრ-რევოლიუციის წისქვილის ბორბლებს ასხამს წყალს, ის მუშათა კლასის წინააღმდეგ იბრძვის, მისი მტერია. ასეთები არიან ანტისაბჭოთა პარტიები და ძალები, იმპერიალისტური სახელმწიფოების უკან ამოფარებულნი და მათ უმშვენებს მხარს მენშევიკური პარტიაც.

საქართველოს მენშევიკების მდგომარეობა მით განსხვავდება რუსეთის მენშევიკების მდგომარეობიდან, რომ მათ ბრძოლაში კომუნისტების წინააღმდეგ მუდამ სჭარბობდა ნაციონალისტური მომენტი. ამ გარემოებამ მენშევიკებს დაუძმობილა ნაციონალ-დემოკრატიული პარტიაი. მათ შორის მოსპო ყოველივე შინაგანი ბრძოლა და შეიქმნა გაერთიანებული ფრონტი საბჭოთა საქართველოს წინააღმდეგ. ქართველი მუშა-გლეხების „განთავისუფლება“ თავს იდვა მენშევიკებთან ერთად იმ ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ, რომელიც სამშობლოს „დამოუკიდებლობის“ დროს, ებრძოდა ყოველგვარ მცირე რეფორმებსაც კი მუშებისა და გლეხების სასარგებლოდ და იარაღებით გზას ფენდა უცხოელ პრინცის შემოსასვლელათ საქართველოში.

ცხადია, პარტიების ასეთი კოალიციიდან ხეირი არა გამოვიდოდა რა და კიდეც მივიღეთ იმის შედეგად აგვისტოს უსაშინელესი დღეები. დღესაც კი, მიუხედავათ სიწყნარისა, კვლავ სურთ ზოგიერთებს ჩვენი ქვეყნის ჰაერი გაჟღინთონ უკმაყოფილებით და მტრობით საბჭოთა ხელისუფლებისადმი.

რა ნიადაგი აქვს ამ უკმაყოფილებას? რითი იკვებება ეს მტრობა? მისი ნიადაგი კონტრ-რევოლიუციაა, საბჭოთა სისტემისადმი კლასიური სიძულვილი. მისი მკვებავი არის საზღვარგარეთელი ემიგრაცია, იქ „საქართველოს მთავრობის“ თამაში, „ელჩობია“ და სხვა. რაც გინდ უნიადაგო და სუსტი უნდა იყოს ასეთ სისტემით ბრძოლა, ის მაინც ბადებს ერთგვარ ილიუზიებს მცონარეთა შორის, ის მუდამ აღფრთოვანებს უკმაყოფილებს. გარდა ამისა ის საუცხოვო იარაღია ყოველგვარი ავანტიურისტების ხელში. იმპე-

---

*) ჩვენ ვაქვეყნებთ როგორც დოკუმენტს, მენშევიკური ყოფილი პარტიისა და მთავრობის ერთ-ერთი თვალსაჩინო მუშაკის განცხადებას.

რედ.

პარტიული ცხოვრება

საბჭოთა უჯრედების მუშაობა

თბილისის ორგანიზაციაში საბჭოთა უჯრედებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ: 146 უჯრედიდან საბჭოთა უჯრედები შეადგენენ 28,7 პროცენტს, ე. ი. ამ უჯრედთა წევრების რაოდენობა 1313 კაცს უდრის.

პარტკონფერენციამ საჭიროდ სცნო დიდი ყურადღების მიქცევა საბჭოთა უჯრედების მუშაობისთვის.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს ამოცანა თითქმის სავსებით შეასრულა თბილისის კომიტეტმა. თუ წინად საბჭოთა უჯრედებში ადგილი ჰქონდა მთელ რიგ არა საღ მოვლენებს, როგორიც არის: საწარმოო უჯრედში გადასვლის ცდა, დაუდევრობა, პასიურობა, უარყოფითი დამოკიდებულება უპარტიო მასასთან, საბჭოთა უჯრედების წინაშე მდგარ ამოცანების უცოდინარობა და სხვ., ეხლა კი თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს მოვლენები უმეტესად აღმოფხვრილია. თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებამ მარტში მოიწვია დაწესებულებათა უჯრედების ბიუროთა კონფერენცია. ამ კონფერენციას დაესწრნენ აგრეთვე კომკავშირის საბჭოთა უჯრედების მდივნები, დაწესებულებათა ადმინისტრატორები და ადგილკომების მდივნები (პარტიის წევრები). ამ კონფერენციამ მოისმინა მოხსენებები ადგილებიდან; კონფერენციამ მოისმინა აგრეთვე მოხსენება დაწესებულებათა უჯრედების ამოცანების შესახებ, ჯამი გაუკეთა განვლილ მუშაობას, აღნიშნა მუშაობაში შემჩნეული დეფექტები და შეიმუშავა მთელი რიგი წინადადებებისა, რომლებიც საფუძვლად დაედო საბჭოთა უჯრედების შემდეგ მუშაობას. ამ წინადადებათა მიხედვით, თბილისის კომიტეტმა შეიმუშავა ვრცელი დებულება საბჭოთა უჯრედების მუშაობის შესახებ.

საბჭოთა უჯრედების მთავარი ამოცანები, რომლებიც დასახა კონფერენციამ, თითქმის სავსებით გატარებულია ცხოვრებაში: 1) პარტიის ყველა წევრები, რომლებიც მუშაობდენ დაწესებულებებში და მიმაგრებული იყვნენ სხვა უჯრედებზე (ზოგიერთის გამოკლებით) მოხსნილი და გაგზავნილ იქნენ უჯრედებში სამუშაოზე; 2) შემოღებულ იქნა წესათ, რომ დაწესებულებათა ყველა ხელმძღვანელები დატოვებული იქნენ უჯრედებში თავისი უშუალო მუშაობის ადგილას, 3) დაწესებულებათა უჯრედების მეტი ნაწილი თავს იყრის ერთ (ქალაქის) რაიონში. ამას წინად დაწესებულებათა რამოდენიმე უჯრედი მესამე და პირველ რაიონებიდან გადარიცხულ იქნა მე-4-ე რაიონში; 4) უჯრედთა ღია სხდომები სისტემად იქცა დაწესებულებათა უჯრედების მუშაობაში უპარტიო მოსამსახურეებს შორის, 5) გაუმჯობესდა საბჭოთა აპარატის ხელმძღვანელობა.

ქალაქის რაიონის მიერ, რომელიც უმთავრესად მუშაობას აწარმოებს საბჭოთა უჯრედების უმრავლესობას შორის, მრავალჯერ იყო მოწვეული უჯრედთა თათბირები და საბჭოთა უჯრედების ბიუროების კონფერენცია.

ერთ-ერთ დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს საქმიან კლუბის უქონლობა. მიუხედავად ამისა, რომ დაწესებულებათა უჯრედების ბიუროების საერთო-საქალაქო კონფერენციამ დაადგინა მოწყობილი ყოფილიყო ასეთი საქმიანი კლუბი, შენობის უქონლობის გამო არ მოხერხდა ამის განხორციელება.

ადგილობრივი.

პიონერთა შორის მომუშავეთა თათბირი

მე-2 დღე, (20 ნოემბერი)

გორის მაზრიდან მოხსენებას აკეთებს ამხ. აბულაძე, რომელიც აღნიშნავს, რომ მუშაობა ზოგიერთ დეფექტების გამოკლებით კარგად მიმდინარეობს. ჩვენს მაზრაში 5000-დე პიონერი ითვლება. ქალაქებთან შედარებით სოფლებში მუშაობა მოისუსტებს კომკავშირულ აქტივის უყოლობის გამო, მასწავლებლობასთან დამოკიდებულება კარგია.

სიღნაღის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ პიონერთა მოძრაობის მხრივ სიღნაღი ჩამორჩენილია. კომკავშირული აქტივი მცირეა და მუშაობაც მოისუსტებს.

ლეჩხუმიც ჩამორჩენილია ამ მხრივ —ამბობს ლეჩხუმის წარმომადგენელი. მხოლოდ 1925 წლის დასაწყისში ჩაისახა ამ მაზრაში პიონერული ორგანიზაცია, რომელშიც დღეს 2000-დე პიონერი ითვლება. კომკავშირული უჯრედები მხოლოდ ეხლა ეცნობიან პიონერთა მოძრაობას. იმედია ახლო მომავალში ეს მუშაობა გაცხოველდება.

ადგილებიდან მოხსენებების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც 15-დე ამხანაგმა მიიღო მონაწილეობა. ეს ამხანაგები აღნიშნავდნენ ამ მუშაობის უმთავრეს დეფექტებს, როგორიცაა შტატის სიმცირე, საჭირო ლიტერატურის უქონლობა და სხ. და მიუთითებენ ამ დეფექტების გამოსწორების აუცილებლობაზე.

ს. ჩ კ. ორგ. ცენტრის ბიუროს თავმჯდომარე ამხ. შ. ტაბიძე აღნიშნავს ყველა იმ დეფექტებს, რომელიც აქვს ამა თუ იმ ბიუროს და მიუთითებს მათ, რომ მალე გამოასწორონ ეს შეცდომები. მომხსენებელი წინადადებას იძლევა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ნაციონალურ უმცირესობათა კოლექტივების მდგომარეობას, როგორიცაა, ახალციხის, აჭარისტანის და სხ. ის აგრეთვე ხაზს უსვამს იმას, რომ ადგილობრივ ჟურნალ გაზეთებში ფართოდ შუქდებოდეს პიონერული მოძრაობა.

დაბოლოს გამოვიდა კარპოვიჩი, რომელიც ამბობს, რომ აუცილებელია ყურადღება მიექცეს ბავშვთა აღმზრდელობის სისტემას; იქ მუშაობა იმ ხაზით არ უნდა სწარმოებდეს, როგორც კომკავშირულ უჯრედებში, რადგან ბავშვის ფსიქოლოგია მოითხოვს გონებრივ საზრდოსთან ერთად სულიერ დაკმაყოფილებას (თამაშობა, გასართობები და სხ.) და აგრეთვე მის გაჯანსაღებისათვის ზესაფერ ტანვარჯიშობას, ვინაიდან ადგილი აქვს ზოგიერთ მაზრებში ამ მხრივ არანორმალურ გადახრას, ამიტომ საჭიროა მისი გამოსწორება.

კამათის დამთავრების შემდეგ სხდომა დაიხურა.

წერილები ადგილებიდან

პარტწრეების მუშაობა.

ამიერ-კავკასიის კომ. უნივერსიტეტის უჯრედი მეტად მრავალრიცხოვანია. ეს გარემოება ხშირად შეუძლებლადაც კი ხდის უჯრედის კრებების მოწვევას შესაფერ დარბაზის უქონლობის გამო. თვეში ერთჯერ თუ გაიმართა კრება, რომელზედაც კეთდება მოხსენება მომენტზე, ირჩევა საკითხი წევრების პარტიაში მიღების შესახებ და სხვ.

სხვადასხვა საკითხების დასამუშავებლად უჯრედთან გამოყოფილია პარტიული წრეები. წრეების სხდომები იმართება თვეში ორჯელ.

სულ უჯრედთან ჩამოყალიბებულია 24 პ | წრე. თვითეულში ითვლება 20—25 წევრი.

არის წრეები: ქართული, რუსული, თათრული და სომხური. წრეებში მეცადინეობა დაიწყება დეკემბრის პირველ რიცხვებში.

ალიონი.

საზ. უნივ. სტუდ. ალმასბიუროს არჩევანი.

21 ნოემბერს შესდგა სახ. უნივერსიტეტის სტუდენტთა გაერთიანებული კრება, რომელსაც დაესწრო უპარტიო და პარტიული სტუდენტთა საგრძნობი ნაწილი.

კრებას თავმჯდომარეობდა ამხ. კ. ცინცაძე.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები:

1. მოხსენება ალმასბიუროს მუშაობის შესახებ.
2. მოხსენება სარევიზიო კომისიისა.
3. ალმასბიუროს არჩევნები.

დელეგატების არჩევა პროლეტ. სტუდ. საქალაქო კონფერენციაზე.

ალმასბიუროს მუშაობაზე მოხსენება გააკეთა სტუდ. ალმასბიუროს თავმჯდომარემ ამხ. გ. ხუსლაძემ. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ალმასბიუროს მთელი ყურადღება მიმართული იყო უმთავრესად სტუდენტობის და პროფესურას შორის აკადემიურ საქმეების მოგვარებისკენ ერთის მხრივ, და სტუდენტობის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ მეორეს მხრივ. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ულარიბეს სტუდენტობაზე დახმარების სახით, გაცემულია დაახლოვებით 700 მან. ამასთანავე ალმასბიურო კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას აწარმოებს სტუდენტთა ფართო წრეებში. გარდა ამისა ალმასბიურო უძღვებოდა სტუდენტთა გამომცემლობას.

ალმასბიუროს საქმიანობა კრებამ დამაკმაყოფილებლად სცნო.

სარევიზიო კომისიის მოხსენება გააკეთა ამხანაგ კაკაბაძემ. ამის შემდეგ კრებამ აირჩია ახალი ალმასბიურო. ალმასბიუროში არჩეულ იქნა 10 წევრი და 5 კანდ.

დასასრულ მოხდა პროლეტ. სტუდ. საქალაქო კონფერენციაზე დელეგატების არჩევა 50 კაცისაგან.

ა. ნუცუბიძე.

ნაგომრის ა. ლ. კ. კ. რაიკომის მუშაობა (ოზ. მაზრა).

სამი თვეა რაც ნაგომრის რაიკომი მუშაობას აწარმოებს. ამ სამი თვის განმავლობაში მან შესძლო მრავალი დაბრკოლებების გადალახვა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ორგანიზაციაში

ნიგომრის რაიკომი აერთიანებს 15 უჯრედს, რომელშიც 326 წევრი ითვლება 4 უჯრედში მოწაფეები არიან.

ამ 15 უჯრედებში არც ერთში შესაფერი მუშაობა არ იყო. არ არსებობდა რემედასის უჯრედები, არ იყო ახკორთა წრე, კედლის გაზეთი 5 თემში მხოლოდ ორი ნომერი გამოდიოდა. არ იყო პოლიტწრეები და სხვა. ეხლა მდგომარეობა შეიცვალა.

გვაქვს 6 რემედასის უჯრედი რომელშიც ყველა კომკავშირელი ჩაეწერა. გამოდის 4 კედლის გაზეთი რაიონში, ჩამოყალიბებულია ახკორთა წრეები.

ხდება უპარტიოებთან გაერთიანებული კრებები და ჩვენი რიგები თანდათან იზრდება.

ასე რომ ჩვენი მუშაობა დღითი დღე უმჯობესდება.

ახკორი „ასე ვნახე“.

ს. კ. პ. (ბ) ჩოხატაურის რაიონული კონფერენცია

(გ უ რ ი ა)

12 ნოემბერს ჩოხატაურში შესდგა რაიონის მე-8 პარტ. კონფერენცია. კონფერენციას დაესწრო ორასამდე პარტიის წევრები და კანდიდატები. პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ გურიის კომიტეტის მუშაობაზე მოხსენებას აკეთებს გურკომის პ/მ. მდივანი ამხ. გერმანე კვაჭაძე. ის ვრცლად ახასიათებს სამაზრო კომიტეტის ერთი წლის მუშაობას ყოველ დარგში და აღნიშნავს ყველა მიღწევებს როგორიცაა სოფლისადმი მიდგომის საკითხი, შინაპარტიული მუშაობა, პარტიული დისციპლინის განმტკიცება, პარტიის ზრდა, გლეხების საბჭოთა ხელისუფლებასთან დაახლოება, საბჭოების მუშაობა, კომკავშირთა მუშაობა და მათზე ხელმძღვანელობა, ქალთა შორის მუშაობის შესახებ და სხვ.

მრავალი შეკითხვებისა და კამათის შემდეგ კონფერენციამ გურიის სამაზრო კომიტეტის მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო.

რაიკომის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ს. ცინცაძემ.

შემდეგ მოხსენებით გამოვიდა ამხ. კ. ცინცაძე ჩოხატ. თემის საბჭოს კომ. ფრაქციის მუშაობაზე.

კოოპერაციის და მისი მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ერასტი ჩიგოგიძე, რომლიდანაც გამოირკვა, რომ რაიონული კოოპერატიული კავშირის ბრუნვა ამ წელ/წ-დში 50 პროც.-ით წინ წაიწია, როგორიცაა საქონლის ბლომათ შემოტანა, ბაზრის ფასებზე შედარებით დიდი გავლენა, სოფლის ნაწარმოების შეძენა და გასაღება, და რაც უმთავრესია ზაფხულზე შიმშილობის დროს ხალხისთვის იაფ ფასებში სიმინდის მიწოდება და სხვ.

დასასრულ კონფერენციამ აირჩია ს. კ. პ. (ბ) გურიის სამაზრო კონფერენციაზე დასასწრებლად ათი დელეგატი, რის შემდეგ კონფერენცია დაიხურა.

ხეფე ცინცაძე.

ეკონომიური ცხოვრება

სპეკულიანტები ინვალიდთა არტელების ქურქში

თუ გადავხედავთ ბაზარს, დავრწმუნდებით, რომ საქონლის არც ისეთი ნაკლებობაა, როგორც ეს პირველი შეხედვით ემჩნევა; მაგრამ საქონლის უმეტესი ნაწილი გაბნეულია კერძო ვაჭრების ხელში, კოოპერატივები კი საქონლის სიმშილს განიცდიან.

მისი მიზეზი არის როგორც საქონლის განმანაწილებელი ორგანოები, ისე ზოგიერთი ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოები, რომლებიც აპარატის მოუწყობლობით და მუშაობის სისუსტით ხელს უწყობენ კერძო პირების სპეკულიაციას.

აღვნიშნავთ ერთ მოვლენას.

უკანასკნელ ხანებში მეტად გამრავლდა ომისა და შრომის ინვალიდთა არტელები. სოციალურ უზრუნველყოფის სახ. კომისარიატი მიზნათ ისახავს შრომის უნარმოკლებული პირები გააერთიანოს სავაჭრო არტელებში და მით საარსებო სახსარი გაუჩინოს მათ. იდეა ძალიან კარგია, რომ თავის მიზანს აღწევდეს და მხოლოდ ინვალიდთა დახმარების სახეს ღებულობდეს, მაგრამ სინამდვილეში აქ სულ სხვაგვარ სურათს ვხედავთ.

არსებულ დებულების ძალით რამდენიმე ინვალიდს შეუძლია ამხანაგათ შეიყვანონ არტელში ერთი კერძო ვაჭარი იმ პირობით, რომ სავაჭროს მოსამსახურე თანხა იქნება კერძო ვაჭარის, მოგება კი თანასწორად განაწილდება არტელის ყველა წევრთა შორის. ასეთ არტელებს ძალიან ბევრი შეღავათები ეძლევა, როგორიც არის უფასოდ პატენტის მიცემა, სახელმწიფო და ადგილობრივ გადასახადებში მაქსიმალური შეღავათები და სხ. ასეთი შემთხვევით სარგებლობენ კერძო ვაჭრები, რომელთაც თავის სავაჭროში ფორმალურად შეჰყავთ 2—3 ინვალიდი, ადგენენ წესდებას, ტარდებიან რეგისტრაციაში და თითქოს ინვალიდთა არტელი დაარსეს. ნამდვილად კი ეს ისევ კერძო სავაჭროთ რჩება.

ასეთიც ხდება: რამდენიმე კერძო ვაჭარს, თავის საკუთარ სავაჭროში შეჰყავთ მოხუცებულნი და შრომის უნარშესუსტებულნი, ერთიანდებიან ასეთ არტელში და თავს შრომის ინვალიდთა არტელს უწოდებენ, რაზედაც სათანადო მოწმობასაც ღებულობენ.

ზემოთხსენებულის დასამტკიცებლად მოვიყვან ერთ მაგალითს: ქალ. ზესტაფონში არსებობს ინვალიდთა შენაერთი „შეჯიბრება“, დაარსებული მიმდინარე წლის 11 ოქტომბერს. აღნიშნული არტელის წევრებმა განცხადება შეიტანეს სახელმწიფო ბანკის ქუთაისის განყოფილებაში კრედიტის გახსნის შესახებ. საბუთების განხილვის დროს გამოირკვა, რომ არტელში წევრებში შედიან შემდეგი პირები: აბრამ გაბრიელისძე მეგრელიშვილი, ელიკო აბრამისძე მეგრელიშვილი და არონ აბრამისძე მეგრელიშვილი, ე. ი. მამა და ორი შვილი, რომელთაც არც სამხედრო სამსახურთან და არც დაქირავებულ შრომასთან არასდროს საერთო არაფერი ჰქონდათ, ამიტომ კერძო ვაჭრები არიან. აი ასეთი არტელი გატარებულია რეგისტრაციაში, წესდება დამტკიცებულია შორაპნის სამაზრო აღმასკომის მიერ და მიღებული აქვთ შორაპნის მაზრის სოც. უზრ. ინსპექციიდან მოწმობა მიმდინარე წლის 20 ოქტომბრის თარიღით № 105. არტელს სრულიად უფასოდ მიუღია ზესტაფონის შემოსავალ-გასავლის სალაროდან სავაჭრო პატენტი. სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის განყოფილება ა | წ. 17 ნოემბერს 3313 ნომრით ოფიციალურათ აცნობებს საფეიქრო სინდიკატის ა | კ. განყოფილებას, რომ შრომის ინვალიდთა არტელი „შეჯიბრება“ გატარებულია რეგისტრაციაში და შუამდგომლობს მიეცეს ნაღდ ანგარიშზე 3.000 მანეთის ფართალი.

ამ მაგალითის მიხედვით ადვილი წარმოსადგენია, თუ რანაირად და ვისი დახმარებით ახერხებენ კერძო ვაჭრები საქონლის პირველ რიგში მიღებას. აშკარაა, რომ ზოგიერთი ჩვენი დაწესებულებები ასეთ შემთხვევებში ვერ იჩენენ წინდახედულობას და არ ითვალისწინებენ, თუ რა შედეგი მოჰყვება მათ მიერ გაცემულ მოწმობებს.

ასეთი არტელის წყალობით სახელმწიფო და ადგილობრივი სალაროები ჰკარგავენ საგრძნობ შემოსავალს პატენტების და სხვადასხვა გადასახადების სახით, მომხმარებელთა მასები საქონელში ორმაგ ფასებს იხდიან და ყოველივე ამით ჯიბეს ისქელებენ და ძლიერდებიან კერძო ვაჭრები.

მეტისმეტი სიფრთხილით უნდა ხდებოდეს ინვალიდთა არტელების შედგენა.

ამავე დროს საჭიროა ამჟამად მოქმედი ყველა არტელები საფუძვლიანად გადასინჯული და გაწმენდილი იქნან.

ი—ლი.

რა უწყობდა ხელს ფართლეულობაზე სპეკულიაციას

(საუბარი ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისართან ამხ. ერქომაიშვილთან)

ამიერ-კავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარმა ამხ. **ერქომაიშვილმა** ჩვენს თანამშრომელს აცნობა საინტერესო ცნობები ფართლეულობის ბაზრის მდგომარეობისა და ზოგიერთ კოოპერატიულ, სახელმწიფო და სხვა სავაჭრო ორგანიზაციების სპეკულიაციის შესახებ.

— უკანასკნელ ხანებში ბამბეული მანუფაქტურის საბაზრო ფასების გადიდების გამო, შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა მოახდინა კოოპერატიული ორგანიზაციების და სახელმწიფო ვაჭრობის ორგანოების გამოკვლევა, რომლის მიზანი იყო მანუფაქტურით ვაჭრობის საქმის და ფასების გადიდების მიზეზების გამოკვლევა.

გამოკვლევის დროს დამტკიცდა, რომ მანუფაქტურის მოთხოვნილებისა და მიწოდების შორის არ იყო თანამშრომლობა.

ამავე დროს ზოგიერთი კოოპერატიული ორგანიზაციები, სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოები და განსაკუთრებით ინვალიდთა არტელები, რომლებიც შეკვეთას აძლევდენ ბამბეულ მანუფაქტურაზე საკავშირო საფეიქრო სინდიკატის თბილისის განყოფილებას, აქვე ყიდდენ ფაქტურას (საქონლის მიღების საბუთი) კერძო პირებზე და უკანონო ზედმეტ პროცენტებს უმატებდენ ამ მანუფაქტურას.

ზოგიერთი კოოპერატიული ორგანიზაციები და სახელმწიფო ვაჭრობის ორგანოები კი მიმართავდნენ ბამბეული მანუფაქტურის კერძო ბაზარზე ბითუმათ და ნახევრათ ბითუმათ გაყიდვას. ისინიც დიდ პროცენტებს უმატებდენ, გასასყიდ ფართალს.

ამასთანავე ეს ორგანიზაციები მიმართავდენ სხვადასხვა საშუალებებს: ერთი პარტიის დაყოფა რამოდენიმე ჩეკათ, გაყიდული მანუფაქტურის ფაქტიურათ გატარება პროვინციალური განყოფილებების საანგარიშო წიგნებში და სხვა.

ასეთი სპეკულიანტური კომბინაცია ხელს უწყობდა ფართლეულობის ნაკლებობას და იწვევდა საფეიქრო საქონლის ფასების გადიდებას თავისუფალ ბაზარზე.

შეიძლება აღინიშნოს შემდეგი შემთხვევები, როდესაც კოოპერატიული და სახელმწიფო ორგანიზაციები მანუფაქტურას ბითუმად და ნახევრად ბითუმად ყიდდენ თავისუფალ ბაზარზე.

„გრუზგოსტორგ“-მა კერძო პირებს მიჰყიდა 6.525 მანეთის ფართალი; „ვსეგრუზკომპოძ“-მა—5.576 მანეთის; „ბოეც ქ.კ.ა.“—2.150 მან.; „გლეხის ოჯახმა“—20.000 მანეთის (მთელი ვაგონი).

აზერბეიჯანში თავი ისახელეს: „აზერიტიფაკ“-მა, რომელმაც გაჰყიდა 43.188 მანეთის ფართალი, „ბაკსოიუზ“-მა გასცა კერძო პირებზე—167.478 მან. ფართალი, „გორნიაკ“-მა—12.000 მან.; სამხედრო კოოპერატივმა—2.580 მან.; ინვალიდთა არტელებმა („აზიკო“ და „ახალი გზა“)—13.407 მან. და „წითელ აზერბეიჯანმა“—79.680 მან.

ფასების აყოლებას აღმოფხვრისა და მანუფაქტურის ბაზრის მოწესრიგების მიზნით, ა. | კ. [illegible] შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა თავის დროზე წინადადება მისცა ყველა კოოპერატიულ ორგანიზაციებს სრულებით შეეწყვიტათ ფართალის რეალიზაცია თავისუფალ ბაზარზე.

შეიძლება ითქვას, რომ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ მიღებულმა ზომებმა საგრძნობლად შეამსუბუქა მდგომარეობა ფართლეულობის ბაზარზე. მაგრამ იმისათვის, რომ ფართლეულობით სპეკულიაციის შემთხვევები არ განმეორდეს შინა-ვაჭრობის კომისარიატმა 23 ნოემბერს ცირკულიარულათ წინადადება მისცა რწმუნებულებს თვალყური ადევნონ იმ კოოპერატიულ და სახელმწიფო ვაჭრობის ორგანოებს, რომლებიც იღებენ პირველი საჭიროების საქონელს; ეს ორგანოები ვალდებული არიან წარადგინონ რწმუნებულის სამმართველოში ცნობები ფართლეულობის რეალიზაციის შესახებ.

სათანადო საბითუმო ორგანიზაციებს, რომლებიც საქონელს ყიდიან გეგმის მიხედვით, აეკრძალა საქონელი მიჰყიდონ იმ კოოპერატივებს და სახელმწიფო ვაჭრობის ორგანოებს, რომლებმაც დაუშვეს საქონლის გაყიდვა თავისუფალ ბაზარზე.

ვინაიდან მანუფაქტურით სპეკულიაციაში განსაკუთრებით „თავი ისახელეს“ ინვალიდთა არტელებმა და გაერთიანებებმა, შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარის განკარგულებით ამ არტელებს, და აგრეთვე ორგანიზაციებს, რომელთა წესდება არ ითვალისწინებს ვაჭრობას, როგორც მათ ძირითად მოღვაწეობას, საქონელი მიეცემათ საერთო საფუძველზე კერძო ვაჭრებთან ერთად.

ბოროტმოქმედების ყველა შემთხვევები გამოქვეყნებული იქნება პრესაში. ადგილებზე კი, იუსტიციის სახ. კომისარიატის ორგანოებთან მეთანხმებით ჩატარებული იქნება მთელი რიგი საჩვენებელი პროცესები „სახელმწიფო-კოოპერატიულ სპეკულიანტებზე“.

შენიშნული იყო შემთხვევები, როდესაც მანუფაქტურა ამიერ-კავკასიის ფარგლებიდან გაჰქონდათ საბჭოთა კავშირის სხვა რაიონებში, რომლებიც უფრო საჭიროებენ ფართალს. ა | კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა შეიმუშავა პროექტი ა. კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა ამიერ-კავკასიის ფარგლებიდან ფართლეულობის გატანის აკრძალვის შესახებ; ეს პროექტი წარდგენილია დასამტკიცებლად.

მაგრამ ფართლეულობის ბაზრის სრულ გასაჯანსაღებლათ, გარდა აღნიშნული ღონისძიებებისა; საჭიროა კიდევ მთელი რიგი ზომები, რომლებიც უკვე შემუშავებულია და გადაცემულია დასამტკიცებლად უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში.

ამ ღონისძიებათა პროექტის მიხედვით გამიჯნულია სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციების ფუნქციები და ამასთანავე განსაზღვრულია ფართლეულობის შემოტანის და რეალიზაციის წესები.

მ—ნი.

რიალისტური სახელმწიფოები ხომ ამაზე ემყარებიან საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლაში არც ერთ მათგანს საქართველოს ბედისათვის არა ცხელა, ბევრს მათგანს სწორი გეოგრაფიული წარმოდგენაც არა აქვს საქართველოს მდებარეობაზე. ხშირად ეს „პირისუფალნი“ ჩვენ ქვეყანას ამერიკაში ეძებენ, რაღაც პატარა ქალაქის სახელის მიმსგავსების გამო.

იქნებ გვითხრან, რომ მენშევიკები სრულებითაც არ მიმართავენ იმპერიალისტურ სახელმწიფოებს თავიანთ ბატონობის აღსადგენათ, მათ საქმე მხოლოდ მუშათა პარტიებთან აქვთო. მე არ ვეთანხმები ასეთ შეხედულებას, მაგრამ დავუშვათ თუ გინდ ასეთი აზრიც. განა ამ „მუშათა პარტიის“ მეთაურთა ხელში არ იყო ინგლისის სვე-ბედი ცხრა თვის განმავლობაში? განა ინგლისის „მუშათა მთავრობის“ მეთაური არ იყო მენშევიკების მეგობარი მაკდონალდი? ის მაკდონალდი, რომელიც მეორე ინტერნაციონალის ერთი ხელმძღვანელთაგანია? მერე რითი დაუმტკიცა მან თავის ერთგულება ყოფილ მენშევიკურ მთავრობას? არაფრით, პირიქით, მან სცნო საბჭოთა კავშირი ყოველივე პირობების გარეშე და მით მახვილი ჩასცა თავის თანამოაზრეთ—საქართველოს მენშევიკური მთავრობის წევრებს. ამ მხრივ რეაქციონერი კერზონი უფრო კარგ სამსახურს უწევდა საქართველოს ყოფილ მთავრობას. თუ რატომ ხდებოდა ეს, ყველასათვის ადვილი მისახვედრია: იმიტომ რომ მენშევიკები ებრძვიან იმ საბჭოთა მთავრობას, რომელსაც კერზონიც ებრძოდა.

ვიცით აგრეთვე, რომ საფრანგეთის ცხოვრებაში დღეს გავლენა აქვს „სოციალისტურ“ პარტიას, ბელგიის მთავრობას საგარეო მინისტრად მენშევიკების მეგობარი ვანდერველდე იმყოფება. იქნებ იგინი უწევენ რაიმე სამსახურს საქართველოს ყოფილ მთავრობას? სრულებითაც არა. ცოტა განსხვავებით ისინიც მაკდონალდის გზას ადგიან. რატომ მოდით ეს მაკდონალდ-რენოდელს და მათ პარტიებს—ქართველი მენშევიკების სიძულვილით და საბჭოთა სისტემის ტრფიალით? სულაც არა. მათი საქციელი მხოლოდ საბჭოთა კავშირის სიძლიერითა და სიმტკიცით არის გამოწვეული, მათ არ ძალუძთ მუშურ-გლეხური სახელმწიფოს წინააღმდეგ მტრული სიტყვის დაძვრაც, არამც თუ მოქმედების დაწყება; ამის ნებას მათ არ აძლევენ თვით მათივე ქვეყნის მუშები.

ასეც, რომ არ იყოს, რისთვისაა საჭირო დღეს ეს პოლიტიკური ბალღობა? ნუ თუ დღეს მაინც აშკარა არაა, რომ ის „სოციალისტები“, რომლებიც ვერ იჩენენ უნარს და გამბედაობას ხელი შეუშალონ ომს მაროკოში და სირიაში, იბრძოლონ აუარებელი კოლონიების ჩაგვრა-გაყვლეფის წინააღმდეგ, აკმარონ ამდენი სისხლი ჩინეთ-ინდოეთს, ვიმეორებ, ნუ თუ აშკარა არაა, რომ ეს „სოციალისტები“ ვერ მიეშველებიან ჩვენ ერს, რომ ის მართლაც გაჭირვებაში იყოს დღეს?

იქნებ გვითხრან: რად გავიწყდებათ, რომ იქ მთავრობა იმათ ხელში არ არისო. ჯერ ერთი რომ მთავრობა იმათ ხელში იყო (ინგლისი) და ზოგან მთავრობაში შედიან (ბელგია). საფრანგეთის პარლამენტში კი სოციალისტები იმდენად ძლიერი არიან, რომ საკმარისია მათი პარლამენტარული გალაშქრებაც კი მთავრობის წინააღმდეგ, რომ მეორე დღეს ის ჩამოგდებული იქნეს. საკმარისია „სოციალისტურმა“ დეპუტატებმა რომელიმე კანონპროექტის წინააღმდეგ მისცენ ხმა, რომ ამ კანონმა ნათელი ვერ იხილოს, [illegible]. წინააღმდეგ ამისა, ალბად ყველას ახსოვს, რომ „სოციალისტურმა“ დეპუტატებმა მაროკოს ომის საწარმოებლად გაითხოვილ კრედიტებს ხმა მისცეს და მთავრობის მტაცებლური პოლიტიკა დაადასტურეს. როგორც ვთქვით, ინგლისში უკანასკნელ დრომდე მთავრობა იყო. მთავრობა „მუშათა პარტიის“ ხელში იყო ცხრა თვის განმავლობაში. მაგრამ ეს „მუშათა მთავრობა“ ხომ იმავე წესით აწარმოებდა საგარეო პოლიტიკას, როგორითაც კერზონი. ეგვიპტე—ინდოეთს იგივე მუქარები ეგზავნებოდა, როგორც კერზონის დროს. საბჭოთა კავშირი სცნო ამ მთავრობამ, მაგრამ მიუხედავათ ამისა უმრისხანესი ნოტით მიმართა მას ზინოვიევის ყალბ წერილის შინაარსზე დამყარებული მოტივების გამო, რისი მსხვერპლი თითონვე გახდა, რამოდენიმე თვის შემდეგ კი მთავრობის თავმჯდომარე მაკდონალდმა თვითონ აღიარა წერილის სიყალბე.

მეორე ინტერნაციონალის ხელმძღვანელმა ვანდერველდემ საგარეო სამინისტროს მიღებისთანავე გამოაცხადა, რომ ჩემი გეზი საგარეო საქმეში ძველივე დარჩებაო. ნუ თუ ეს არის მუშათა კლასის სამსახური, ნუ თუ ასეთი „სოციალისტების“ იმედით უნდა ვიყოთ, რომ მართლაც გაჭირვებაში იყოს ჩავარდნილი საქართველო და მისი მშრომელი ხალხი? ეს ხომ აშკარა მატყუარობა, დემაგოგია, ავანტიურა და მართლა ღალატი იქნებოდა მთელი ერის! ხოლო სწორედ ამ ავანტიურაშია გახვეული, ამ დემაგოგიას აწარმოებს და ამ ღალატს სჩადის დღემდის საზღვარგარეთელი მენშევიკური ემიგრაცია და არ ვიცით, როდის მოისურვებს ის ამაზე ხელის აღებას. (მხედველობაში მყავს ემიგრაციის ოფიციალური წარმომადგენლები, ყოფილი მთავრობის წევრები და არა მასა, რომლის უმრავლესობა უკვე სამშობლოსაკენ იცქირება და ზოგი კიდეც დაბრუნდა და კიდევ მოდიან).

აშკარაა მენშევიკური პარტია, დაწყებული ოქტომბრის დღეებიდან, კონტრ-რევოლიუციის სასარგებლოთ მუშაობს. თუ მისი ორჭოფული მდგომარეობა კიდევ როგორმე გასაგები იყო ბრძოლის პირველ ხანაში და სამხედრო კომუნიზმის დროს, 21 წლიდან მისი მოქმედება ყოვლად შეუწყნარებელია და დასაგმობი.

პირველ ხანებში ბევრ ჩვენგანს გულწრფელად გვწამდა, რომ ბრძოლა საბჭოთა სისტემის წინააღმდეგ მონარქიული რესტავრაციის წინააღმდეგ ბრძოლას ნიშნავდა. ამ გარემოებამ ყველაფერი მიგვავიწყებინა, ერთ დროს ინტერნაციონალურ მუშაობას მიჩვეულნი, ნაციონალურ ჩიხში მოგვაქცია. ჩვენ თითქოს მეტად ძვირათ დაგვიჯდა თვითმპყრობელობასთან ბრძოლა, რომ ადვილად შევრიგებოდით რესტავრაციის და ძველი რეჟიმის დაბრუნებას, როგორც ჩვენ გვეგონა. მაგრამ გამოაშკარავდა ხომ ამ [illegible] სიყალბე! ამის შემდეგ ჩვენ იძულებული უნდა შევენანიყავით შეცდომა გაგვესწორებია და მებრძოლ მუშურ ბანაკს დავბრუნებოდით. ვაშა იმათ, ვინც დროზე მოიმოქმედა ეს და ვაი მათ პოლიტიკურ ვაჟკაცობას, რომლებიც ამას დღესაც ვერ ბედავენ.

დღეს აშკარად სჩანს, რომ მთელი მსოფლიო ორ ბანაკად არის გაყოფილი: ერთის მეთაურია—კომინტერნი, მეორესი—კაპიტალისტი იმპერიალისტები. შემათანხმებელ სოციალისტურ პარტიებს ან არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ, ან მხარს უმაგრებენ რეაქციის მესვეურთ. ვის მხარეზე უნდა ვიყოთ ჩვენ? ეს კითხვა დღეს აღარ უნდა არსებობდეს. აღარ არსებობს ის შიდა რუსეთისა და უკრაინის მუშასა და მუშური ინტელიგენციისათვის, სადაც მე ვცხოვრობდი უკანასკნელ წლებში. არ უნდა არსებობდეს ის ჩვენთვისაც, რომ მენშევიზმის ხანგრძლივ ბატონობას არ დაემახინჯებია ქართველი მშრომელი მასის აზროვნება.

ჩვენ ველარ გავყვებით ჩვენ ყოფილ ამხანაგებს. ჩვენი გზა მუშათა კლასის მებრძოლი რაზმისკენაა და ჩვენც დაუყოვნებლივ უნდა გავსწიოთ იქით. ტყუილი არის მტკიცება, რომ დღევანდელ პირობებში სადმე არსებობდეს თვით იმავე ნაციონალური საკითხის უფრო სამართლიანად გადაწყვეტის უკეთესი საშუალება, გარეშე საბჭოთა კავშირისა.

ყველა ამ მოსაზრების გამო ჩვენ ერთხელ და სამუდამოთ უნდა დავგმოთ ძველი გზა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის და მთელ ქართველ ხალხთან ერთად, მისი მთავრობის ხელმძღვანელობით, ვიმუშავოთ ქვეყნის აღორძინებისა და აყვავებისათვის.

კოტე ბუაჩიძე.

თბილისის ბირჟის სექციებში

პურის პროდუქტების სექცია

თბილისის საქონლის და საფონდო ბირჟის, პურის პროდუქტების სექციის უკანასკნელ კრებაზე მოსმენილ იქნა სომხეთის და საქართველოს კოოპერაციის წარმომადგენლების მოხსენებები რესპუბლიკების ხორბლით და პურის ფქვილით მომარაგების შესახებ.

სომხეთის სამომხმარებლო კოოპერატივის და სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ სომხეთისათვის ხორბლის მიწოდება, ყოველთვიურად გამოიხატება 20 ვაგონში, რაც ცხადია ვერ აკმაყოფილებს მთელ მოთხოვნილებას. ამასთანავე მოხსენებიდან გამოირკვა, რომ სომხეთი ამჟამად განიცდის სათესლე ხორბალის ნაკლებობას. ხორბლის ნაკლებობა გავლენას ახდენს და აბრკოლებს ბამბის დამზადების კამპანიასაც.

ცეკავშირის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აღმოსავლეთი საქართველო განიცდის ხორბლისა და პურის ფქვილის ნაკლებობას. ნაწილობრივ, კახეთი ძალზე საჭიროებს სათესლე ხორბალს, რომლის უქონლობა საგრძნობ გავლენას ახდენს შემოდგომის თესვის კამპანიაზე. ამ მიზნისთვის გამოყოფილი ყოფილა 10 ვაგონი გომის ხორბალი, მაგრამ იგი თავისი ხარისხით, კახეთის ნიადაგისათვის გამოუსადეგარია.

რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, იგი ბათომით და ფოთით საკმაოდ მარაგდება ფქვილით.

სხდომაზე გამოვიდა შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატის წარმომადგენელი. იგი აღნიშნავს ფქვილის მიწოდებაში დაყოვნებებს. ამავე დროს კი პურის გეგმიანი შემოტანა სექტემბერ-ოქტომბერში 100 პროცენტზე მეტად არის შესრულებული.

სექციამ მიიღო მხედველობაში ზემო აღნიშნული გარემოება და დაადგინა სთხოვოს ა. | კ. შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატს,—საბირჟო კომიტეტის საშუალებით, რათა მან მიიღოს საჩქარო ზომები ა. | კავკასიაში და კერძოთ აღმოსავლეთ საქართველოში პურის ფქვილის და ხორბლის გეგმიანი წესით შემოტანისათვის. ამასთანავე მან საჭიროდ სცნო ჩრდილო კავკასიაში პურის კერძო დამმზადებლებისთვის [illegible] მიწოდება, ფქვილისა და ხორბლის შემოსატანად გეგმის გარეშე.

საქარხნო საფაბრიკო სექციაში

მეორე სხდომა შესდგა საქარხნო-საფაბრიკო სექციაში, რომელმაც აღნიშნა რა ბაზრის მდგომარეობის და სავაჭრო ბრუნვის მოწესრიგება საზოგადოებრივ-ეკონომიური მეთოდებით, დაადგინა,—გააფართოვოს სექციის მუშაობა და მიზანშეწონილად სცნო, რათა სექცია დაყოფილი იქნეს შემდეგ ქვე-სექციებათ: 1) ფართო მოთხოვნილების, საქარხნო-საფაბრიკო საქონლის, 2) სამშენებლო და ლითონის მასალების და 3) ნედლეულის.

აღნიშნულ თითოეულ ქვე-სექციას უფლება აქვს მოიწვიოს კრებები ცალკე და დამოუკიდებლად განიხილოს შესაფერი საკითხები.

ეკონომიური ქრონიკა

— **მერძევეთა ამხანაგობა.** ხულოს მაზრაში (აჭარა) შესდგა მერძევეთა კოოპერატიული ამხანაგობა.

— **სიმინდის დამზადება.** აჭარისტანში ა.-კ. სახ. ვაჭრობის სამმართველო შეუდგა 200,000 ფ. სიმინდის დამზადებას.

— **ჩქარი მოზარდი ხეები.** „აჭარტყემ“ გადასწყვიტა ამერიკაში შეიძინოს სწრაფ მოზარდი ხეების ჯიშის ნერგები ტყის მოსაშენებლად.

— **შინა-ვაჭრობის კომისარიატმა** გადასწყვიტა წელს სოხუმში მოაწყოს თევზის ჭერის საქმე. განზრახულია დამზადებული იქნეს 10,000 ფ. თევზი.

— **ყველი.** შინა-ვაჭრობის კომისარიატი წელს წარმკავშირის საშუალებით დაამზადებს 200,000 მანეთის ყველს.

— **კალოშები.** „რეზინოტრესტის“ თბილისის განყოფილებამ მიიღო 10,000 წყვილი კალოში.

— **სასოფლო-სამეურნეო იარაღები.** ა.-კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატი საქ. სას. სამ. ბანკისთვის საზღვარგარეთ იძენს 400,000 მან. მანქანა-იარაღებს.

— **კინოსათვის.** საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა საზღვარგარეთიდან მიიღო 400 ათასი მეტრი კინოს ლენტა და სხვა მასალები.

— **ნედლი ტყავეულობა.** საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა გადასწყვიტა წელს საზღვარგარეთ შეიძინოს 200,000 მან. ნედლი ტყავეულობა.

— **ტყავტრესტი.** მოკლე ხანში შეუდგება საკუთარ ქარხნების, ახალ ტეხნიკის მიხედვით მოწყობას.

საქართველოს ეკონომიურ საბჭოში

ს. მ. უ. საბჭოს შუამდგომლობა

ეკონომიური საბჭოს დადგენილებით ნება მიეცა ს. მ. უ. საბჭოს (დროებით, ვიდრე საქართველოს სხვა სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაცია დაიწყებდეს მუშაობას) ივაჭროს თურქესტანში გარდა თავისი ტრესტების პროდუქციისა, აგრეთვე საქართველოს სასოფლო მეურნეობის საგნებითაც და დაამზადოს თურქესტანის ბაზარზე თავისი ტრესტების და საქართველოს კოოპერატიულ და სავაჭრო ორგანიზაციებისათვის საჭირო ნედლეულობა.

სასოფლო-სამეურნეო ბანკის განყოფილებათა შესახებ.

საბჭომ საჭიროდ სცნო საქართველოს სას.-სამეურნეო ბანკის ქუთაისის და სიღნაღის განყოფილებათა დროებით არსებობა, ხოლო რაც შეეხება განყოფილებათა გახსნას სხვა ადგილებში უარყოფილ იქნა.

თათბირი ბაზრის მოსაწესრიგებლად

გუშინ, საღამოს 6 საათზე, ამიერ-კავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატში შესდგა თათბირი, რომელზედაც განხილული იქნა ბაზრის მოწესრიგებასთან დაკავშირებული საკითხები.

თათბირზე გამოირკვა, რომ აქამდი ბაზრის მოწესრიგება ხდებოდა კოოპერატიული და სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციების საშუალებით. ეს ორგანოები მუშაობდენ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დირექტივების თანახმად, კერძო ბაზარი კი უყურადღებოდ იყო მიტოვებული.

ამჟამად სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციების მუშაობის მოწესრიგებისთან ერთად საჭიროა კერძო ბაზრის განსაკუთრებით ფართლეულობის ბაზრის მოწესრიგებაც, მაგრამ ეს მოწესრიგება არ უნდა გამოიხატოს მაგარ ფასების დაწესებაში.

თათბირზე გამოითქვა აზრი, რომ ბამბეული ფართლეულობის ის 10 პროცენტი, რომელიც ეხლა ეძლევა კერძო ბაზარს, მას უნდა მიეცეს საურთიერთო კრედიტის საზოგადოების საშუალებით; ამ უკანასკნელს შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ავალებს, რომ მან თვალყური ადევნოს კერძო ვაჭრებს, რათა მათ საქონელი გაყიდონ შინა-ვაჭრობის მიერ შემუშავებულ ფასებში.

კერძო ბაზრის მოწესრიგების მიზნით, თათბირმა დაადგინა აგრეთვე აეკრძალოს კოოპერატიულ ორგანიზაციებს ფართალის და საერთოდ პირველი მოთხოვნილების საგნების გაყიდვა კერძო პირებზე. ამასთანაადგილობრივ სახელმწიფო სავაჭრო ორგანოებს და კოოპერატივებს ეკრძალებათ საქონლის ბითუმად შეძენა მოსკოვში.

დასასრულ თათბირმა მოისმინა შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის წარმომადგენლის მოხსენება იმის შესახებ, რომ კომისარიატს სწორი დამატებითი ფასების განსაზღვრის მიზნით განზრახული აქვს დააწესოს კოოპერატიული ორგანიზაციების ხარჯების საკონტროლო პროცენტი; ამ პროცენტის გამომუშავება მოხდება კოოპერატივების გეგმების ანალიზის და საფუძვლიანი შესწავლის შემდეგ.

შინა-ვაჭრობის კომისარიატი ამიერ-კავკასიის კოოპერატიულ კავშირთან ერთად შეისწავლის და დაამუშავებს კოოპერატიული ორგანიზაციების გეგმებს, რის შემდეგაც დააწესებს ამ ორგანიზაციების საშუალო საკონტროლო პროცენტს.

თათბირმა მიიღო შინა-ვაჭრობის კომისარიატის ეს წინადადება.

ბ.

პურის მიწოდება ამ-კავკასიისათვის

ამიერ-კავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ცნობით, მიმდინარე წლის ნოემბერში ადგილი ჰქონდა პურის შემოტანის ერთგვარ შემცირებას.

საქმე იმაშია, რომ პურის ის რაოდენობა, რომელიც საჭიროა ამიერ-კავკასიის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ, ნაწილი გეგმის მიხედვით შემოტანილი უნდა ყოფილიყო სააქციონერო საზოგადოება „ხლებოპროდუქტის“ მიერ, ხოლო დანარჩენი ნაწილი კი ადგილობრივ უნდა დაემზადებია კოოპერაციას და კერძო პირებს.

„ხლებოპროდუქტმა“ თავისი დავალება შეასრულა 100 პროცენტზე უფრო მეტათ, მაგრამ, ვინაიდან დაგვიანდა პურის მიწოდება ბამბეულობის რაიონებისთვის, რაც აგრეთვე „ხლებოპროდუქტს“ უნდა შეესრულებია ცალკე გეგმის თანახმად, ის იძულებული შეიქნა შემოტანილი პურის ნაწილი გაეგზავნა ბამბის მეურნეობის რაიონებში, რამაც ერთგვარი გავლენა იქონია პურის ბაზარზე.

მაგრამ ეს შემცირება უმთავრესათ გამოწვეულია იმით, რომ კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა მძიმეთ მიიჩნიეს კრედიტის პირობები, რომელიც მათ ეძლევათ პურის დამზადების ოპერაციებისათვის და შეამცირეს პურის დამზადება. კერძო ვაჭრებმაც შეამცირეს დამზადება, რადგან მათ კრედიტი სულ არ ეძლევათ.

ყველა ამ მიზეზებმა გამოიწვიეს პურის მარაგის შემცირება ამიერ-კავკასიაში.

იმ მიზნით, რომ ამიერ-კავკასიამ თავის დროზე მიიღოს პურის საჭირო რაოდენობა, შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა ცენტრის წინაშე, რათა პურის გეგმაშეწონილი შემოტანა ამიერ-კავკასიაში გადიდდეს 1 მილიონ 500.000 ფუთით.

„კომუნისტი"
მიიღება ხელისმოწერა
დეკემბრისათვის
ერთი თვით გაზეთი ეღირება:
მუშა-მოსამსახურეების, გლეხების, წითელ-არმიელების და მასწავლებლებისათვის 90 კაპ.
თბილისში და პროვინციაში
ყველა დანარჩენებისათვის 1 მ. 20 კ.
თბილისში და პროვინციაში
ყველა ხელისმომწერლებს დაურიგდებათ
უფასოთ შემდეგი დამატებები:
„მეცნიერება და ტეხნიკა"
თვეში ორი ნომერი
და „ჩირაღდანი"-ს მაგიერ
ჟურნალი „დროშა"
იუმორისტული განყოფილებით
თვეში ორი ნომერი

საქართველოს სახალხო მეურნეობა 1925 წლის ოქტომბერში

(კონიუნქტურული მიმოხილვა)

ოქტომბერში ჩვენი მეურნეობა საერთოდ იმავე ნიშნებით ხასიათდება, როგორც წინა თვეებში. სოფლის ნაწარმოების დამზადება—რეალიზაცია და მუშათა ხელფასის ზრდამ გამოიწვია მოსახლეობის სყიდვითი უნარიანობის გადიდება, რის ზეგავლენითაც საგრძნობლად გაიზარდა სავაჭრო და საშომხმარებლო მოთხოვნილობა.

სოფლის მეურნეობა.

აღმოსავლეთ საქართველოში შემოდგომის პურეულის თესვა დაწყებულია ყველა რაიონებში. ამინდი საერთოდ ხელსაყრელია სიღნაღის მაზრის გარდა, სადაც ზოგიერთ ადგილებში თესლეულის ნაკლებობაა შენიშნული.

სიმინდის აკრეფა ყველა რაიონებში დამთავრდა ოქტომბერში. აკრეფილი მოსავლის რაოდენობა ჯერჯერობით გამორკვეული არ არის საბოლოოდ.

თამბაქოს მოსავალი სიღნაღის მაზრაში კარგია, ერთ დესეტინაზე [illegible] მაზრაში საშუალოდ 50 ფუთ [illegible], ხოლო ლაგოდეხის რაიონში—30 ფუთი. აფხაზეთიდან ცნობები არ არის მიღებული.

ბამბის აკრეფა ნორმალურად მიმდინარეობს, ოქტომბერში აკრეფილი იქნა მთელი მოსავლის 50 პროცენტი.

უნდა აღინიშნოს, რომ ბამბის მთესავთა პურეულით და ფართლეულობით მომარაგება დამაკმაყოფილებლად არ სწარმოებს. სექტემბერ-ოქტომბერში გეგმით შემოტანილი უნდა ყოფილიყო 21.000 ფუთი ხორბალი, ამ რაოდენობიდან კი 1-ლი ნოემბრისათვის დარიგდა მხოლოდ 2 [illegible] ხორბალი.

გეგმით განზრახული იყო 115,000 მეტრში ფართლის შემოტანა, ფაქტიურად კი სექტემბერ-ოქტომბერში შემოტანილი იქნა მხოლოდ 73 ათასი მეტრი.

ხილის ბაღების და ვენახების დაკრეფა დამთავრებულია.

საქონლის ეპიზოტია არ შენელებულა, პირიქით, კიდევ უფრო გავრცელდა. დაღუპული საქონლის რაოდენობა 1.400 სულს აღემატება. ეპიზოტიის გავრცელების მიზეზები იგივეა, რაც წინა თვეებში: მცხოვრებთა მიერ საკარანტინო წესის დარღვევა, საბითლო პერსონალის სიმცირე და საჭირო შრატის ნაკლებობა.

ოქტომბრის განმავლობაში მთელს რესპუბლიკაში დამზადებულია ღვინო—113,2 ვედრო, არაყი და სპირტი—207,7 ათასი გრადუსი, დაფნის ფოთოლი—310 ფუთი, თხილი—10.000 ფუთი, თამბაქო—11,2 ათასი ფუთი, მატყლი—23.000 ფუთი.

საერთოდ, მთავარი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადება დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობდა.

მრეწველობა

ქვა-ნახშირის მრეწველობა. ნამუშევარ კაც-დღეთა რიცხვის გადიდების და ერთ კაც-დღის გამომუშავების ზრდის გამო, რომელსაც ადგილი ჰქონდა წინა თვეში, ქვა-ნახშირის ამოღება ახალ სარეკორდო ციფრს იძლევა—474,3 ათასი ფუთი.

თამბაქოს მრეწველობა (აღებულია თბილისის 4 ქარხანა). ოქტომბრის განმავლობაში დამზადებულია 118,4 მილიონი პაპიროსი და 6,5 ათასი გირვანქა თამბაქო, რაც შრომის ერთეულზე გადაყვანით ახალ სარეკორდო ციფრს იძლევა—120 ათასს, რაც 14,9 პროც. აღემატება სექტემბრის შრომის დღეების რაოდენობას.

ტყავის მრეწველობა. ტყავის მრეწველობაში საანგარიშო თვის დამლევს მუშაობდა 184 მუშა, რომელთაც ნამუშევარი აქვთ 4,3 ათასი კაც-დღე; ერთ კაც-დღის გამომუშავება საანგარიშო თვეში 1,11 მსხვილ ტყავს უდრის.

ოქტომბერში გასაღებულია 84,5 ათასი მანეთის ნაწარმოები.

საპნის ქარხნის პროდუქცია ახალ სარეკორდო ციფრს იძლევა; ოქტომბერში დამუშავებულია 17,5 ათასი ფუთი სარეცხის და 3,1 ათასი თორმეტიული ხელის საპონი, რაც წონაზე გადაყვანით 17,7 ათას ფუთს უდრის.

ქუთაისის მაუდის ქარხნის მიერ დამზადებულია 1,7 ათასი მეტრი მოთელილი მაუდი, 4,6 ათასი მეტრი მოუთელავი შალი და 230 ფუთი ნართი.

ქარხანაში მუშაობდა 144 მუშა.

პროვინციის ბაზრების მდგომარეობა

ახალქალაქი

საქონლის ჭირის გაჩენის გამო, გლეხებს საშუალება არ აქვთ თავისუფლად გადაიყვანონ მსხვილფეხა საქონელი. ფასები ხორბალზე მტკიცეა. სოფლის მეურნეობის დანარჩენი პროდუქტების ფასები იზრდება. ერთი საჟენი შეშა ღირს 120—140 მანეთი. ეს აიხსნება იმით, რომ ადგილობრივმა სამაზრო აღმასკომმა ვერ მოასწრო ბაკურიანში დამზადებულ შეშის გამოტანა, ამის გამო დუხაბორების ერთ ფურგონ შეშის ფასი 6 მანეთიდან ავიდა 12 მანეთამდი.

ბაზრაში მანუფაქტურის დიდი ნაკლებობაა. ცუდათ არის დაყენებული ნავთის მიწოდების საქმეც.

ახალციხე

მიუხედავათ საქონლის ჭირის გაჩენისა, დასაკლავი საქონლის გამოყვანა ბაზარზე არ შეწყვეტილა; ფასები მტკიცეა.

სატყეო კომიტეტმა შესწყვიტა შეშის მიწოდება არა მარტო კერძო პირებისათვის, არამედ დაწესებულებებისთვისაც: გათავდა შეშის მთელი მარაგი. ამის გამო შეშის ფასები კერძო ბაზარზე იზრდება: ურემი შეშა, რომელიც წინეთ ღირდა 7—8 მანეთი, ეხლა ღირს 12—14 მანეთი.

მოგვარებული ვერ არის ნავთის მიწოდების საქმე; ხანდახან სრულებით არ იშოვება ნავთი. საწყობთან მუდამ რიგია ნავთის მიღებაზე. განსაკუთრებით მძიმეა ეს გლეხებისათვის, რომლებიც მოდიან შორეული თემებიდან და ნავთის ნაკლებობის გამო იძულებული არიან ხელცარიელი დაბრუნდენ შინ.

დიდი მოთხოვნილებაა საექსპორტო ვაშლზე. ახალციხიდან საბჭოთა კავშირში ყოველ დღე იგზავნება რამოდენიმე ვაგონი ვაშლი.

თელავი

სიცივეების გამო სოფლის მეურნეობის პროდუქტების შემოტანა შემცირდა. დიდი მოთხოვნილებაა პურის პროდუქტებზე. ბოსტნეულობის ბაზარზე სიწყნარეა: სრულებით არ იშოვება კარტოფილი და ხახვი.

თაფლი წელს ცოტაა. ფუთი თაფლი ღირს 15 მანეთი.

ბაზარზე ცოტაა მატყლი. ადგილობრივი მეცხვარეები—თუშები მთელ მატყლს აბარებენ კოოპერატივ „მწყემსს", რომელსაც ის გააქვს თბილისში.

სიცივეების გამო თელავის მიდამოებში დაიწყო კამეჩების დაკვლა.

უკანასკნელ ხანებში თელავის ბაზარზე გაჩნდა კამეჩის ტყავი, რომლის ფასი დაეცა: წინეთ ფუთი ღირდა 14 მანეთი, ეხლა კი ღირს 12 მან. 50 კ 13 მან.; ხარის ტყავის ფასი გაიზარდა, ეხლა ფუთი ღირს 13 მან.—13 მან. 80 კაპ.

დიდი მოთხოვნილებაა თბილ ტანისამოსზე, შინელებზე, ნარმაზე, ბამბაზიაზე და ჩითზე. ამას წინათ კოოპერატივმა მიიღო მანუფაქტურის მცირე პარტია, რომელიც ერთბაშათ გაიყიდა.

კოოპერატივში არ იშოვება ნავთი.

ხაშური

გაძლიერდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების შემოტანა. გლეხები არ ყიდიან ხორბალს, რადგან უცდიან ფასების გადიდებას. დიდი მოთხოვნილებაა გლეხების მხრიდან იაფ, თბილ მანუფაქტურაზე და მაგარ ნარმაზე.

ბაზარზე შემოვიდა ღორების დიდი რაოდენობა. ფასები კლებულობს. ზემო იმერეთიდან შემოვიდა მოცვი ჩაი, რომელიც იყიდება 3 მანეთად ფუთი.

ა. | კ. ფინანსთა სახ. კომისარიატში

ახლად-აგებული შენობების გადასახადისაგან განთავისუფლება

ფინან. სახ. კომის. მიერ დამუშავებულია საგადასახადო შეღავათების პროექტი, რომელიც ანთავისუფლებს ახლად აშენებულ და აღდგენილ საცხოვრებელ სახლებს ყოველგვარ სახელმწიფო, ადგილობრივ გადასახადებისგან და გამოსაღებიდან.

ახლად აგებული და აღდგენილი შენობები და მის გარშემო მდებარე მიწის ნაკვეთი განთავისუფლებულ იქნება ყოველგვარ გადასახადისაგან 3 წლის განმავლობაში.

შემდეგ წლებში, ვიდრე ხელშეკრულების ვადა გათავდებოდეს, ასეთ შენობების გადასახადი გადახდებათ მხოლოდ სანახევროდ, იმ შემთხვევაში, თუ შენობის საცხოვრებელ-საბინაო მოედანი მთელი შენობის მოედნის 75 პროცენტს შეადგენს.

პროექტი დაკანონდება რესპუბლიკების შინაგან საქმეთა და იუსტიციის სახ. კომისარიატებთან შეთანხმების შემდეგ.

საქონლის უბაჟოდ შემოტანა უცხოეთიდან

ფინ. სახკომმა ცირკულიარით აცნობა ფინსახ. კომის რწმუნებულთ რესპუბლიკებში საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება უცხოეთიდან საძირე ტყავის—ლანჩის, იუფტის, ბამბეული მანუფაქტურის, შალეულობის და მიტკლის უბაჟოდ შემოტანის შესახებ, 1924-25 წლის დამატებითი საიმპორტო გეგმის მიხედვით.

საურავი შეუტანელ თანხებზე

მიმდინარე წლის 1-ლ ნოემბერს გათავდა ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შეტანის პირველი ვადა. ამის გამო ა | კ. ფინ სახკომმა განკარგულება დაუგზავნა ადგილებს, რომ შეუტანელი თანხა გადარიცხული იქნეს „ნედოიმკათ", რომლის საურავის აკრეფა უნდა დაიწყოს 1-ლი ნოემბრიდან ერთი მეათედი პროცენტის რაოდენობით დღეში.

რაც შეეხება საურავს წარსული წლის დარჩენილი თანხებიდან, ის აკრეფილი უნდა იქნეს მე-2 კატეგორიის გადამხდელებისაგან ა. წ. პირველი ნოემბრიდან, მე-3 კატეგორიის გადამხდელებისაგან კი წარსული წლის 1-ლი აპრილიდან.

გადარიცხვა ადგილობრივ ბიუჯეტში.

ა | კ ფინსახკომმა განუმარტა ადგილებს, რომ გადარიცხვა სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან 41,5 პროცენტის რაოდენობით ადგილობრივ (სათემო, სარაიონო) ბიუჯეტში უნდა ხდებოდეს არა მარტო მიმდინარე წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან, არამედ წარსული წლის დარჩენილი თანხიდანაც (წინანდელი 25 პროც. მაგივრათ).

მასალების შეგროვება საგლეხო მეურნეობის მდგომარეობის შესახებ.

იმ მიზნით, რომ გამოყენებული იქნეს ერთიან სასოფლო სამეურნეო გადასახადის კამპანიის ჩატარების დროს შეგროვილი მასალები სოფლის მეურნეობის მდგომარეობის შესახებ, ამიერ-კავკასიის ფინსახკომმა წინადადება მისცა ადგილებს შეადგინონ მასალები ცალკე მაზრების საგლეხო მეურნეობების მდგომარეობის შესახებ; ეს მასალები შედგენილი უნდა იქნეს სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრის ობიექტების აღრიცხვის მიხედვით.

ყველა მასალები წარდგენილი უნდა იქნეს ა | კ. ფინსახკომში 1926 წლის 1-ლ იანვრისათვის.

დამატებითი შეღავათები

ა | კ. ფინსახკომმა აცნობა ადგილებს დამატებითი შეღავათები, რომლებიც ეხება ერთიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადამხდელებს. ასე, მაგალითად, 3 წლის ვადით თავისუფლდებიან სას.-სამ. გადასახადისაგან სატყეო ნაკვეთები სახელმწიფო ტყეებში, რომელთა დანიშნულებაა ტყეების მოშენება და რომლებიც დროებით გადაცემულია სას.-სამეურნეო სარგებლობაში. 5 წლით თავისუფლდება გადასახლებულთა მეურნეობანი, რომლებსაც ასახლებს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი; ამასთანავე ამ მეურნეობებში მიწების სამი მეოთხედი უნდა საჭიროებდეს უბრალო მელიორაციას, თუ გამოუსადეგარი მიწების სივრცე ნაკლებია, მაშინ შეღავათი მათზე ვრცელდება უკვე ცალკე ნაკვეთების ხასიათის მიხედვით.

რაც შეეხება გადასახლებულთა მუშა-საქონელს, ის თავისუფლდება სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან 5 წლის ვადით.

საბჭოთა აღმშენებლობა

კონიაკის სახდელი ქარხანა წინანდალში

სახალხო მამულების ტრესტმა წინანდალის სახალხო მამულში დაამთავრა კონიაკის სახდელი ქარხნის აგება, რომელიც ამ რამოდენიმე თვის წინად დაიწყო. ამ უახლოეს ორ კვირაში ქარხანა ამუშავებული იქნება.

ბათომის ქიმიური ქარხნის გაფართოება

ვინაიდან ქიმიურ პროდუქციაზე უკანასკნელ თვეებში მოთხოვნილება დიდათ გაიზარდა, რასაც ვერ ფარავს ბათომის ქიმიური ქარხანა, ა|კ. სახელმწიფო ვაჭრობა-მრეწველობის სამმართველომ გადასწყვიტა ქარხნის გაფართოება. სამმართველო მოლაპარაკებას აწარმოებს უცხოეთის ფირმებთან ქარხნისათვის მანქანების და მოწყობილობის შეძენის შესახებ.

ხიდის აგება მდ. ჩხერიმელაზე

მოლითის თემის (შორაპნის მაზრა) გლეხებმა დაადგინეს ააგონ ახალი ხიდი მდ. ჩხერიმელაზე. თემმა შუამდგომლობა აღძრა სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე დახმარების გაწევის შესახებ.

ხე-ტყის სახერხი ქარხანა შოვში

აგარაკ შოვში დამთავრდა აგება ახალი ხე-ტყის სახერხი ქარხნისა, რომელიც დაამზადებს აგარაკ შოვის მშენებლობისათვის საჭირო ხე-ტყის მასალას.

ახალი საავადმყოფოები აფხაზეთში

რამოდენიმე დღის წინად აფხაზეთის ახალი აგარაკ „ბსირცხაში" დამთავრდა ახალი საავადმყოფოს მოწყობა; საავადმყოფოს აქვს 8 საწოლი. ამ დღეებში ქ. გალში გაიხსნება ახლად აგებული საავადმყოფო, გუდაურის საავადმყოფოსთან იხსნება საქირურგო განყოფილება. კბილის კაბინეტი მოეწყო აგრეთვე სოხუმის ნავთსადგურში.

ქაღალდის ქარხანა აფხაზეთში

ერთი კვირის წინად აფხაზეთს ეწვია სპეციალური კომისია, რომელსაც დაკისრებული აქვს გამოარკვიოს საკითხი, თუ რამდენათ შესაძლებელია აფხაზეთის ტყიან ჭალებში ქაღალდის ქარხნის აგება. კომისიის შემადგენლობაში სხვათა შორის შედიან საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. საბჭოს რწმუნებული ინჟ. გროზენსკი და ს. მ. უ. ს—თან არსებულ მრეწველობის საორგანიზაციო განყოფილების ინჟენერი მეტყევე კოტიკი.

ელექტრო სადგურის დამთავრება ოზურგეთში

ამ ორ კვირაში დამთავრდება აგება ოზურგეთის ახალი ელექტრო-სადგურის, რომელიც დამთავრებისთანავე ამუშავებული იქნება.

მუშათა სახლები ბათომში

წყალთა მეურნეობის სამმართველომ დაამთავრა არდაგანის (ბათომში) მოედნის ჭაობების დაშრობის პროექტი. ამ ჟამად მოედანზე გაშენებულია დიდი ყაზარმები, რომელიც გამოუყენებელი რჩება, რადგან დაჭაობიანებული მოედანი ციებ-ცხელების მთავარი ბუდეა, სამმართველოს ჭაობის დაშრობის შემდეგ ყაზარმები გადაკეთებული იქნება საბინაო სახლებად, სადაც ჩასახლებული იქნება მუშები.

სატყეო მეურნეობა

ტყის მეურნეობა გურიაში

ოზურგეთის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა გამოიტანა დადგენილება იმის შესახებ, რომ გლეხების საკუთრებად დარჩეს ყველა ის სატყეო უბნები, რომლებიც მათ შეძენილი აქვთ რევოლიუციის დაწყებამდე საკუთარი შრომით. რაც შეეხება სახელმწიფო სატყეო რაიონებს, აღმასკომის დადგენილებით, ისინი უნდა გადაეცეს სახალხო აღმასკომებს გლეხების სამეურნეო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად (ახალი შენობების ასაგებად, საკუთარი საჭიროებისთვის შეშის დასამზადებლად და სხვა).

ამავე დროს აღმასკომმა საქართველოს სატყეო ტრესტთან დასდო ხელშეკრულება, რომლის ძალით ტრესტს განსაზღვრული უფლება ენიჭება გურიის ტყეების ექსპლოატაციის და საზღვარგარეთ გატანის საქმეში. ტყის კერძო პირების მიერ ექსპლოატაცია აკრძალულია. სატყეო აგარაკების დაცვა დაკისრებული აქვს სატყეო ტრესტს, რომელიც მოვალეა ტყეების მოსავლელად დანიშნოს არა ნაკლები 5 ტყისმცველისა. ტყეების ექსპლოატაციას სატყეო ტრესტი უნდა შეუდგეს დაუყოვნებლივ. პირობების ძალით საჭირო მუშა ხელი მოგროვილ იქნეს მხოლოდ და მხოლოდ გურიის სოფლებში.

შეშის დამზადება 1925—26 წლისათვის

საქართველოს სატყეო მეურნეობის ტრესტი 1925—26 სამეურნეო წლისათვის ამზადებს 12.500 კუბიკურ საჟენ შეშას. აქედან შინაურ ბაზარზე გასაღებულ იქნება 800 კუბ. საჟენი. დანარჩენი 11.700 კუბიკური საჟენი გაიზიდება ზამთრისათვის (ოქტომბერ-მარტისათვის) უკვე დამზადებულია 9.650 კუბ. საჟენი. გარდა ამისა საოპერაციო წლისათვის სხვადასხვა დაწესებულებებს სატყეო ტრესტთან დადებული აქვს ხელშეკრულება, რომლის ძალით ტრესტი მოვალეა მიაწოდოს მათ შეშა საჭირო რაოდენობით. თბილისის აღმასკომის ტრესტმა უნდა დაუმზადოს და მიაწოდოს 2000 კუბიკური საჟენი შეშა, ამიერ-კავკასიის რკინის გზებს—2500 კუბ. საჟენი, საქ. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს—250 საჟენი. სახალხო კომისართა საბჭოს 150 კუბ. საჟენი.

ამ ჟამად ტრესტს ადგილებზე დამზადებული აქვს დიდძალი შეშა, მაგრამ ვაგონების სადგურებზე დროით მიუწოდებლობის გამო შეშის თბილისში შეტანა ბრკოლდება.

მუშათა ცხოვრება

ვემზადოთ მუშათა კოოპერაციის არჩევნებისათვის.

როგორც ვიცით, ამჟამად ქ. თბილისში მიმდინარეობს მუშკოოპის არჩევნები. ამ არჩევნებს ჩვენმა მუშებმა უნდა მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება. მუშკოოპის არჩევნებში მუშებმა უნდა მიიღონ აქტიური მონაწილეობა მთელი ასი პროცენტით. მუშათა სარაიონო კრებაზე უნდა იქნეს განხილული მუშკოოპის საქმიანობის ანგარიში. საჯაროდ უნდა იქნეს დადასტურებული მისი მუშაობის ყველა დადებითი და უარყოფითი მხარენი. ჩვენ მუშებს ჰმართებთ მუშკოოპის მუშაობას გაუკეთონ სასტიკი, მაგრამ ობიექტიური და საქმიანი კრიტიკა. საერთო კრებებზე უნდა აღინიშნოს საჯაროდ ყველა ის დეფექტები და არა სასურველი მოვლენები, რომლებიც აფერხებდენ მუშათა მასებში მუშკოოპის წევრობის გადიდების და გაფართოების საქმეს. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ჩვენი მუშების დიდი ნაწილი დღესაც მუშკოოპის წევრობის გარეშე სდგას. უნდა გამოირკვეს დეტალურად, თუ რა მიზეზების გამო და რატომ ეს ასე ხდება, რატომ გაურბის მუშათა მასის ნაწილი მუშკოოპის წევრობას და სხ. და სხვ.

არავის არ შეუძლია იმის უარყოფა, თუ რა დიდი დახმარება გაუწია მუშათა მასას და მათი ოჯახის წევრებს მუშკოოპმა მათთვის ფართო კრედიტის გახსნით, მუშებისათვის დაბალ ფასებში პურის, რძის და სხ. სურსათ-სანოვაგის მიწოდებით, წითელი სასადილოების მუშათა რაიონებში მოწყობით და სხ. და სხვ.

მაგრამ მარტო ეს მაინც არ კმარა. საჭიროა მუშკოოპმა უფრო გააღრმაოს და გააფართოოს თავისი კომერციული საქმიანობა,—დაიპყროს მთლიანად კერძო ბაზარი და გახდეს მისი ბატონ-პატრონი; უნდა გაფართოვდეს და გამრავლდეს წითელი სასადილოთა ქსელი, გადიდდეს და გაფართოვდეს მუშათა ნისიაობა სურსათ-სანოვაგით და სხ. საქონლით. მომავალში მუშკოოპი უნდა ცდილობდეს, და უნდა ქონდეს კიდეც, თავის მაღაზიებში საკმაოდ ყველა ის მუშურ-გლეხური საქონელი და სურსათ-სანოვაგი, რომლებზედაც მუშათა და გლეხთა მასებში დიდი მოთხოვნილებებია.

მუშკოოპის გამგეობაში და ყველა მის აპარატებში უნდა იქნეს გატარებული სრული დემოკრატიზაცია. მუშკოოპი არის წმინდა მუშური ორგანიზაცია და მასში უნდა სუფევდეს ყოველგან და ყოველთვის წმინდა მუშური, დემოკრატიული ატმოსფერა. ბიუროკრატიზმს, ძველ ჩინოვნიკურ ფორმალისტობას, თავხედობა—უხეშობას, რომელსაც ხშირად ადგილი ქონდა წარსულში მუშკოოპის აპარატებში და მაღაზიებში, უნდა მოეღოს ბოლო ერთხელ და სამუდამოთ. მუშკოოპის ყველა აპარატები და მაღაზიები ასეთ გათავხედებულ და გაბიუროკრატებულ მოხელეებისაგან აუცილებლად უნდა გაიწმინდოს დაუყოვნებლივ.

სასტიკი ყურადღება უნდა მიექცეს მუშკოოპის ფინანსიურ ოპერაციებს—მათი ეკონომიზაციის და მიზანშეწონილობის თვალსაზრისით.

უნდა შემცირდეს ზედნადები ხარჯები მუშკოოპის ტეხნიკურ აპარატთა შტატების შემცირებით და გამარტივებით.

საჭიროა მუშკოოპის საქონლის ხარისხის გაუმჯობესება და მათი ფასების სიმცირე.

როდესაც მუშა კარგ საქონელს კერძო ბაზარზე ნაკლებ ფასებში მიიღებს მუშკოოპის მაღაზიებში და მას ამ მაღაზიებშიც „ნოქრები" და სხვებიც თავაზიანად და მეგობრულად მოეპყრობიან, ის უკვე კერძო ვაჭართან აღარ წავა. ის გახდება ჩვენი მუშკოოპის ღირსეული და მუდმივი წევრი.

საჭიროა აგრეთვე მუშკოოპის გამგეობათა და მათი აპარატების ხელმძღვანელთა გადახალისება—მუშათა ახალი და ენერგიული ძალების კოოპერატიული მუშაობაში ჩაბმით.

ძველი მუშა-კოოპერატორები დაუბრუნდნენ თავიანთ დაზგებს. ისინი, როგორც კოოპერატიული მუშაობაში გამოცდილები უფრო მეტ ნაყოფს მოგვცემენ კოოპერატიული პრინციპების მუშათა მასებში გაღრმავება-განმტკიცებით.

მუშათა ახალი ძალები კი ახალი სიცხოველეს და წმინდა დემოკრატიულ ატმოსფერას შეიტანენ და განამტკიცებენ ჩვენს კოოპერატიულ საქმიანობაში.

გამ.

მთავარ სახელოსნოების მუშაკთა წლიური კრება.

წარსულ კვირეში იქნა მოწვეული მთავარ სახელოსნოს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება პლეხანოვის კლუბის დარბაზში, სადაც გაკეთდა მოხსენება მთავარ სახელოსნოს უფროსმა—ამხ. მაისურაძემ წარმოების წლიური მუშაობის შესახებ. კრებას დაესწრო 2000 კაცამდე. თავმჯდომარეობდა ადგილკომის თავმჯდომარე—ამხ. ბოლევაძე.

მომხსენებელმა თავისი ვრცელი მოხსენებაში ხაზი გაუსვა წარმოების თანდათანობით ზრდას და იმ დეფექტებსაც, რომელთაც ჰქონდა ადგილი სახელოსნოში უმასალობის გამო და შეეხო სხვათა შორის სამასალო დარგის სამსახურსაც. ეს უკანასკნელი თვალსაჩინოდ უფრო მეტ ფასებში იძლევა ზოგიერთ მასალებს ვიდრე ბაზარზე შეიძლება მათი შეძენა.

მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი. კამათში მონაწილეობა მიიღეს 6 ამხანაგმა. შეკითხველები და მოკამათენი უმთავრესად მიუთითებდენ დგმებს შეუკეთებლობაზე და სიმცირეზე: სპეცტანისამოსის მიცემის მოუწესრიგებლობაზე, საგნების ფასების გადასინჯვაზე და სხვა და სხვა.

ყველა შეკითხვებზე და საკამათო სიტყვებზე იყო გაცემული ამ. მაისურაძის მიერ სათანადო ახსნა-განმარტებით დამაკმაყოფილებელი პასუხი.

კამათში მხურვალე მონაწილეობა მიიღო აგრეთვე ლადო ქავთარაძემ (წარმომადგენელი პირველ რაიკომისა), რომელმაც კატეგორიულად განაცხადა, რომ აუცილებლად უნდა იქნეს გატარებული ცხოვრებაში მთავარ სახელოსნოების ფარგლებში გაეროვნება, რადგან ამას მოითხოვს თვით საბჭოთა ხელისუფლება და მასთან მშრომელი მასაც.

საერთო კრება მთავარ სახელოსნოს მუშაობას თავის რეზოლიუციაში სცნობს დამაკმაყოფილებლად და მომავალ მუშაობაში ავალებს მიიღოს მხედველობაში—შემდეგი:

შეძლებისდაგვარად იქნას შეძენილი როგორც ახალი დაზგები, შეკეთებულ იქნას ძველებიც.

სამჭედლო და საქვაბე საამქროებში იქნას შეკეთებული სათანადო სამუშაო ბინა შეგირდებისთვის.

მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება მთავარ სახელოსნოებში გაეროვნების გატარებას.

დაჩქარებული იქნას ფასების [illegible] და ნაჭრობრივ სამუშაოს ნორმისა გადასინჯვა,

მოწესრიგებულ იქნას სპეც-ტანისამოსის დარიგება.

გადიდებულ იქნას რიცხვით და ხარისხითაც გაუმჯობესებული ჰაერზე გაყვანილ მომუშავე ასაწევი ონკანი სახარატო საამქროში.

აგრეთვე მიექცეს ყურადღება მთავარ სახელოსნოს მოანგარიშეების მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეს, ვინაიდან ისინი არიან ჩამორჩენილი სხვა მოსამსახურეებთან შედარებით და ღებულობენ ძალიან მცირე ჯამაგირს.

ლევ. გუნია.

გამოგზავნილი წერილებიდან

— **შეაკეთეთ ეს ქუჩა.** ლენინის უბანში ბევრი ქუჩა შეკეთებული და გალამაზებული. მხოლოდ არავითარი შეკეთება არ ღირსებია ახალ პროექტის ქუჩას, სადაც ცხოვრობენ განსაკუთრებით მუშები და დაბალი ხარისხის მოსამსახურეები.

მუშკორი გოგია.

— **ნორმა თუ დატვირთვა.** ზეთსახდელი და საპნის ტრესტის ბამბის ქარხანაში მუშებსა და ადმინისტრაციას შორის დადებულია ასეთი, კოლექტიური ხელშეკრულება, რომლის მიხედვით მანქანაზე მომუშავე ყოველმა მუშამ ადმინისტრაციას უნდა ჩააბაროს დღიურათ 4 ფუთი და 10 გირვანქა ბამბა და რასაც ამაზე მეტს ვადამუშავებენ მუშები, ისინი იღებენ ზედმეტ მუშაობის პროცენტებს. მაგრამ, საუბედუროთ, თითქმის ყოველდღე ფუჭდება მანქანები და მუშები ნახევარ ნორმის შესრულებასაც ვერ ასწრებენ.

ეს კი უსიამოვნებას იწვევს მუშებში.

ფიქრელი.

— **პროფმუშაკებიც ასეთი უნდა.** [illegible] მუშაკეთა ადგილკომის ყოფ. მდივანი, ქოლო[illegible] თავისიანებს; კავშირის უმუშევარ წევრებს კი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. ამისგამო იგი მოხსნილი იქნა მდივნობიდან, მაგრამ მეორე მდივანიც იგივე ჯიშის და ტრადიციის მოქალაქე აღმოჩნდა—ესეც თავის ნათესავებს „ეხმარება".

საჭიროა ამასაც მოხდეს ერთი „პროფმათრახი".

ხურა.

— **ადგილკომში ამ კაცს რა უნდა.** სახალხო კვების მუშაკთა კავშირის მეორე რაიადგილკომში ადგილკომის წევრად ითვლება ნიკოლოზის დროის ყოფ. ოფიცერი, თავის ბნელი საქმეებით ცნობილი, მოქ. ჯავგინიანცი. ადგილკომში მოსიარულე მუშებს ეს ვაჟბატონი უყვირის და ეჩხუბება.

მუშკორი კოკათელი.

— **ნუ ხარჯავთ ელექტრონის ენერგიას ამაოთ.** მთავარ სახელოსნოების საამქროებში აგრეთვე და კონტორებშიაც მთელი დღე და ღამ იწვის ელექტრონის შუქი, რაც ძალიან საზარალოა დაწესებულებისათვის, ამისათვის უნდა იქნეს მიქცეული ჯეროვანი ყურადღება ადმინისტრაციის მიერ, რათა უსარგებლოდ და უმიზნოდ ელექტროენერგიის დახარჯვას არ ექნეს ადგილი.

მუშკორი ლიაშის.

მუშათა ქრონიკა

გზათა რწმუნებულის სამმართველოში

დაურიგეს შეშა. ამიერ კავ. სახელმწიფო გზათა რწმუნებულის სამმართველოს მუშა-მოსამსახურეებმა მიიღეს სამითვის შეშა ნისიად.

— **კეთილი განწყობილება.** ამიერ-კავკ. სახელ. გზათა რწმუნებულის სამმართველოს დაწესებულების ადმინისტრაციის და მათი მუშა-მოსამსახურეებს შორის არის კეთილი განწყობილება.

— **კომისიის არჩევა.** ამიერ-კავკ. სახელმ. გზათა რწმუნებულის სამმართველოს ადგილკომმა აირჩია კომისია. რომელსაც ევალება გამოიმუშაოს გეგმა დამატებითი სპეცტანსაცმელების შესაძენათ, რადგან შეძენილი სპეც-ტანსაცმელი ვერ აკმაყოფილებს მუშა-მოსამსახურეებს.

— **კრედიტის შესახებ.** ამიერ-კავკასიის სახელმწ. გზათა რწმუნებულის სამმართველოს გაერთიანებულ ადგილკომს აქვს მოლაპარაკება კოოპერატივის გამგესთან, მუშა-მოსამსახურეებისთვის კრედიტის გახსნის შესახებ.

— **მუშაობის გახალისება.** ამიერ-კავკ. სახელმწ. გზათა რწმუნებულის სამმართველოს ადგილკომთან არსებულმა საწარმოო კომისიამ მიიღო ზომები რათა განახლებული იქნეს როგორც კანცელიარის, ისე ყველა გზათა დისტანციის მუშაობა.

კოოპერაცია

მუშკოოპის რწმუნებულთა გადარჩევისათვის

მუშათა მთლიანი კოოპერატივის რწმუნებულთა გადარჩევის ჩამტარებელი ცენტრალური კომისია აცხადებს, რომ ხუთშაბათს, ნოემბრის 26 ს, საღამოს 5 საათზე არსრაიკომის შენობაში (პლეხ. პროსპ. 96) შესდგება ფაბრიკა-ქარხნების ადგილკომების მდივანთა თათბირი.

სავალდებულოა ყველა ქვემოდ ჩამოთვლილ ფაბრიკა-ქარხნების ადგილკომების მდივნების დასწრება დაუგვიანებლად.

1) 26 კომუნარის სახელობის ქარხანა, 2) თუჯის ქარხანა, 3) კავკასიის წითელ დროშოვან არმიის [illegible] მექანიკ. ქარხანა, 4) სტალინის ავტო-სახელოსნო, 5) კალინინის სახელობის საბჭ. ქარხანა, 6) პოლიგრაფტრესტის ასოების ჩამომსხმელი ქარხანა, 7) ამიერ-კავკ. რკინის გზათა სტამბა, 8) საარტილერიო საწყობები, 9) მექ. საარტილერიო ქარხანა, 10) მელითონეთა გაერთიანებული ადგილკომი, 11) გემო-კვების მე-5-ე ადგილკომი. 12) ელექტრონის სადგურთა სამმართველო, 13) რ. ლიუქსემბურგის თამბაქოს ფაბრიკა, 14) მუშკოოპის მე-3-ე სასადილო, 15) ამიერკავკასიის სატრანსპ. მომხმარებელ საზოგადოების სასადილო, 16) თამბ. ქარხანა „პროლეტარი", 17) გემოკვების მე-3-ე ადგილკომი, 18) კარდონის ფაბრიკა, 19) მუშკოოპის ფაბრიკა, 20) საქართველოს სახელმწიფო სპირტის სამმართველო, 21) საუბნო კომიტეტი, 22) ამიერ-კავკასიის საბაჟო, 23) კამოს სახელ. საავადმყოფო, 24) სახელმწიფო კინო მრეწველობა, 25) მტვირთავ ამხანაგობის ბიურო, 26) საქ. სატყეო მმართველობის მტვირთავთა ადგილკომი, 27) სამშობიარო ინსტიტუტი, 28) ცეკავშირი, 29) ტრამვაელები, 30) საამშენებლო მუშაკების მე-5 ადგილკომი 31) ტრამვაის სახელოსნო, 32) შინა-მრეწველობის სამმართველო, 33) მიწა-ტყის დიდუბის სარაიონო ადგილკომი, 34) კეთილმოწყობის განყოფილება, 35) ტყის სახერხი ქარხანა, 36) სახ. მეურ. უმაღლესი საბჭო, 37) სატყეო ქარხნების გაერთიანებული ადგილკომი, 38) შოფერების (ОДИНОЧЕК) ადგილკომი, 39) საზანდარზე დამკვრელების ადგილკომი, 40) წყალსადენის სახელოსნო, 41) აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა, 42) სახ. მეურ. უმაღლესი საბჭო, 43) საქართვ. სამკერვალო სამრეწველოს სამმართველო, 44) ამიერ-კავკ. საავტომობილო სამრეწვ. სავაჭრო საზოგადოების სამმართველო, 45) მუშკოოპის ტრანსპორტის სამმართველო, 46) ბარგის გადამზიდავ მუშების I ადგილკომი, 47) პროლეტკულტი, 48) პლეხანოვის რაიონის კინოების ადგილკომი, 49) ცენტრალური კლინიკური ინსტიტუტი, 50) მე-2-ე და მე-3-ე ქალაქის საავადმყოფო, 51) ფსიქიატრიული საავადმყოფო, 52) გერმანელების საავადმყოფო, 53) საქართველოს მედიკ. სავაჭრო-სამრეწველო, 54) ჯანმრთელობის სახ. კომისარიატი, 55) წითელი ჯვარი, 56) „ზაკსოიუზი", 57) სავაჭრო-სამრეწველო მოსამსახ. მეორე ადგილკომი, 58) განათლ. სახკომის მაღაზია, 59) მთავარი ფოსტა, 60) სახალხო კვების მეორე ადგილკომი, 61) სასტუმრო ნოე, 62) მუშკოოპის მეექვსე სასადილო, 63) მუშკოოპი, 64) განათლების მუშაკთა ადგილკომი, 65) ავჭალის წყალსადენი, 66) ქვემო ავჭ-ლის რაიონის წევრები, 67) მუშკომი, 68) რაიონის წევრები.

ა.-კ. სახ. კომისართა საბჭოში

ბრძოლა სიძვირის წინააღმდეგ

ა | კ. სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილების პროექტი საქონელზე არსებულ ფასების მტკიცეთ დაცვათ.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

ა | კ. სახ. კომისართა საბჭომ წინადადება მისცა ა | კ. რესპუბლიკების მთავრობებს, შექმნან სათანადო პირობები გლეხებისათვის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გასაადვილებლათ და ამავე დროს მიიღონ ზომები გადასახადის თავის დროზე ასაკრეფათ.

მეაბრეშუმეობა

ა | კ. სახკომსაბჭომ მიმართა აბრეშუმის პარკის დამამზადებელ ორგანიზაციებს, აცნობონ შინა-ვაჭრობის კომისარიატს თავიანთი მომავალი საქმიანობის გეგმის შესახებ. ა | კ. შინავაჭრობის კომისარიატს კი დაევალა შეიმუშაოს მომავალ წლისათვის საბრეშუმო ოპერაციების გეგმა.

საქ. სასოფლო-სამეურნეო ბანკში

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკმა დასდვა ა. კ. სახელმწიფო სავაჭრო ამხანაგობასთან ხელშეკრულება, რომლის ძალით უკანასკნელმა უნდა შემოიტანოს საზღვარგარეთიდან და ჩააბაროს ბანკს არა უგვიანეს მომავალი წლის 15 თებერვლისა 50.000 ფუთი ინგლისური შაბიამანი („კორონა"). ბანკი შაბიამანს დაურიგებს გლეხებს-მევენახეებს საკრედიტო ამხანაგობების საშუალებით.

ბანკისავე დაკვეთით საზღვარ-გარეთიდან უნდა შემოიტანონ ორმოცდა ხუთმეტი ტრაქტორი: 35 „ფორდზონის" სისტემისა და 20 „ხოლტისა", რომლებიც გრძელვადიანი სესხის სახით მიეცემათ კოოპერატიულ ამხანაგობებს, არტელებს და კომუნებს.

ა. წ. 1-ლ ოქტომბრიდან 20 ნოემბრამდე სასოფლო-სამეურნეო ბანკმა გასცა მიზნობრივი სესხები: მეთამბაქოებისთვის 217.000 მ., მეხილეობისთვის 150.000 მ., მეძალარეობისთვის 130.000 მ., მეღვინეობისთვის 50.000 მ., მესაქონლეობისთვის 20.000 მ. და სოფლის მეურნეობის სხვა დარგისთვის 140.000 მ., სულ 707.000 მ.

კულტურული კავშირი ა. კ. ს. ფ. ს. რ. სოფელთან

ამიერ-კავკასიის რკინისგზების მუშათა და გლეხთა ინსპექციამ გამოიკვლია საფოსტო-სატელეგრაფო კავშირი ამიერ-კავკასიის სოფელთან.

გამოკვლევამ აღმოაჩინა მთელი რიგი დეფექტებისა, რომლებიც მეტად ცუდ გავლენას ახდენენ სოფლად კორესპოდენციის და, უმთავრესად, გაზეთების თავის დროზე გაგზავნის საქმეზე.

მრავალ მიზეზთა შორის აღსანიშნავია ერთი, რომელიც ეხება იმას რომ კორესპოდენციის გაგზავნა ერთნაირათ არ ხდება ყველგან. ფოსტა ხშირათ მიაქვს შემთხვევით ხალხს: კურიერებს, მილიციონერებს, გლეხებს და სხვას.

სახალხო შეერთების ამიერ-კავკასიის ოლქის სამმართველომ აქამდი ვერ მოახერხა შეუკვრელი გაზეთების გაგზავნა ადგილებზე. საკვანძო პუნქტებში ხდება გაზეთების საჩქაროთ დახარისხება, გაზეთები გროვდება ერთ ადგილას, რაც რამოდენიმე დღით აგვიანებს გაზეთების გაგზავნას. ხშირათ კორესპოდენცია იკარგება ან და დახეული მიდის დანიშნულების ადგილას.

ყველა ეს დეფექტები ცუდ გავლენას ახდენს კულტურულ კავშირზე ქალაქსა და სოფელს შორის.

გამოკვლევის შედეგების განხილვის შემდეგ ამიერ-კავკასიის რკინისგზების მუშათა და გლეხთა ინსპექციამ შეიმუშავა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებები, რომელთა გატარება ხელს შეუწყობს შემჩნეული დეფექტების აღმოფხვრას და სოფელთან საფოსტო-სატელეგრაფო კავშირის გაუმჯობესებას.

პროფკავშირებში

მიწა-ტყის მუშაკთა მეხუთე ყრილობა

გუშინ 12 საათზე პროფსაბჭოს დიდ დარბაზში გაიხსნა მიწა-ტყის მუშაკთა მეხუთე ყრილობა. გახსნისას სიტყვა წარმოსთქვა კავშირის პასუხისმგებელმა მდივანმა ამხ. ალ. ფანცხავამ, რომელმაც ხაზი გაუსვა კავშირის ზრდას და მისი მუშაობის გაღრმავებას სოფლელ მშრომელთა მასებს შორის.

შემდეგ ყრილობამ პრეზიდიუმში აირჩია შემდეგი ამხანაგები: კაზაკოვი (კავშირის ცეკას წარმომადგენელი), ტაბიძე, გოგინაშვილი, პოლიაკოვის ქალი, ალ. გეგეჭკორი, ლ. ღუმბაძე, ალ. ფანცხავა, ხოფერია და მეხი.

მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა მიწა-ტყის კავშირის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელმა ამხ. კაზაკოვმა, რომელიც მოკლედ შეეხო კავშირის დღევანდელ მდგომარეობას და მის ამოცანებს სოფლად, ამხ. კაზაკოვმა დაახასიათა აგრეთვე მიწა-ტყის კავშირის მუშაობა განვლილ წლის განმავლობაში. ორატორის აზრით, კავშირმა შესძლო თავის გარშემო შემოეკრიბა სოფლის უღარიბესი და საშუალო გლეხობა. გაჩაღებულია მათ შორის არა მარტო პროფესიონალური, არამედ პოლიტიკურ-საზოგადოებრივი მუშაობაც. მომავალმა კავშირმა დაწყებული მუშაობა კიდევ უფრო უნდა გაღრმავოს და ერთ მთლიან ერთეულად უნდა დარაზმოს სოფლად მშრომელი გლეხობა კულაკურ ელემენტების წინააღმდეგ.

შემდეგ ყრილობა ამტკიცებს დღის წესრიგს,—რომელშიდაც შედის შემდეგი მუხლები: ცენტ. გამგეობა და სარევიზიო კომისიის მოხსენებანი, სამეურნეო დაწესებულებათა ანგარიშები (სატყეო და სახალხო მამულების ტრესტებს და წარმოკავშირის მოხსენებანი) და მოხსენება კავშირის მომავალი მუშაობის შესახებ.

საჩივრ საკითხები გადატანილი იქნენ ც.-გ. პლენუმზე. თათბირმა ეს მისაღებად სცნო. პრეზიდიუმში შევლენ 11 კაცამდე.

სამაზრო განყოფილებათა და სამაზრო ადგილკომების რეორგანიზაციის შესახებ. პროფსაბჭოს საორგანიზაციო განყოფილებასთან შემდგარმა კომისიამ მოისმინა საკითხი სამაზრო განყოფილებებისა და სამაზ. ადგილკომების რეორგანიზაციის შესახებ. თათბირმა საჭიროდ სცნო წინასწარ შეისწავლოს ეს საკითხი, დაევალა კავშირებს წარმოადგინონ საორგანიზაციო თათბირზე თავიანთი მოსაზრება ამ საკითხის შესახებ.

პროფსაბჭოს სატ. საექ განყოფილებაში

მუშკოოპის ნოქრების პასუხისმგებლობის შესახებ. პროფსაბჭოს სატარიფო-საექ. განყ. შემდგარმა კავშირების სატ. საექ. განყ. თათბირმა მოისმინა მოხსენება მუშკოოპის ნოქართა პასუხისმგებლობის შესახებ. თათბირში მონაწილეთა ზოგიერთი პირები მიზანშეწონილად სცნობდენ, რომ მუშკოოპის მაღაზიებმა პასუხისმგებლობა დაკისრებოდა საქონლის შენახვაში განყოფილებათა გამგეებს. ზოგიერთი კი ამის წინააღმდეგი იყო და საჭიროდ სცნობდენ გაყიდულ საქონელზე დაეწესებიათ კონტროლი. თათბირის ნაწილი კონტროლის დაწესების მოწინააღმდეგე იმიტომ იყო, რომ კონტროლი შექმნიდა მყიდველთა რიგებს და კონტროლის წესის შემოღება ბოროტმოქმედების თავიდან აცილებას ვერ უზრუნველყოფდა; თათბირის მეორე ნაწილი კი მომხრე იყო კონტროლის წესის შემოღების. თათბირმა დაადგინა შემოიღოს მუშათა კოოპერატივების მაღაზიებში კონტროლის წესი. ამას გარდა თათბირმა საჭიროდ სცნო საგაანტიო დაზღვევის გამოყენება კოოპერატივებში.

ეს საკითხი საბოლოოდ გადასაწყვეტად გადატანილია ს. პ. კ. ს. პრეზიდიუმში.

მუშათა სესხის შესახებ. სატარიფო თათბირმა მოისმინა მოხსენება ზოგიერთ მუშკოოპებში მუშებისათვის სესხის სახით გამოტანილ ზოგიერთ საქონლის მიუცემლობის შესახებ. როგორც გამოირკვა, მუშები იღებენ სესხად საქონელს და როდესაც მიდიან მისაღებად, მუშკოოპის ზოგიერთი ნოქრები—და გამგეობაც—მათ არ აძლევენ იმ საქონელს, რაც მუშას უნდა, მიუხედავათ იმისა, რომ საქონელი მაღაზიაში არის.

მუშკოოპის წარმომადგენელმა თათბირზე განაცხადა, რომ, თუკი სადმე შემჩნეული იქნება ასეთი მოვლენა, ნოქარი მოხსნილი იქნება თანამდებობიდანო. თათბირმა საჭიროდ სცნო დაითხოვოს სამუშაოდან ის ნოქრები, რომლებიც მუშებს სურვილს არ უსრულებენ და მართლა უნებურად სხვა საქონელს აძლევენ.

პროლეტარულ სტუდენტთა კონფერენცია

კონფერენციის დადგენილებანი

კვირას, 22 ნოემბერს, გაიხსნა და გუშინ დამთავრდა თბილისის პროლეტარული სტუდენტობის კონფერენცია, რომელსაც დაესწრენ დელეგატები სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან, სახელმწიფო კონსერვატორიიდან, სამხატვრო აკადემიიდან და მუშფაკებიდან.

კონფერენციამ მოისმინა პროლეტარულ სტუდენტობის თბილისის ბიუროს ერთი წლის საანგარიშო მოხსენება. მეორე სხდომაზე სახალხო განათლების საერთო მდგომარეობისა და კერძო უმაღლეს სასწავლებლების მდგომარეობაზე მოხსენება გააკეთა განათ. სახ. კომ. ამხ. კანდელაკმა შემდეგ მოსმენილ იქნა მოხსენება პროლეტარულ სტუდენტობის თბილისის ბიუროს მომავალ მუშაობის შესახებ ეკონომიურ და კულტურულ დარგებში.

უკანასკნელ სხდომაზე კონფერენციამ მიიღო თეზისები და რეზოლიუციები, რომლებიც ავალებენ ბიუროს გადასდგას სათანადო ნაბიჯი სტუდენტთა ნივთიერი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და აგრეთვე აკადემიური მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად.

დასასრულ მოხდა ბიუროს და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

სტუდენტთა ახალი ბიურო

კონფერენციის მიერ სტუდენტთა ახალ ბიუროში არჩეული არიან შემდეგი ამხანაგები: დ. ცხაკაია, ს. ბრეგვაძე, ნ. რონიშვილი, ტუნტუნჯიანი, კუბბურიძე, პატუხა, ხუნდაძე, ბუბაშვილი, კაკაბიძე, შელიჭვეკოვი, დეკანოსიძე, ხოფერია, ჩაჩანიძე და ესიაშვილი, კანდიდატებად: დაშიანი, მდივანი, ძიგრაშვილი და ვოლტერი.

პროფმუშაობის ქრონიკა

პროფსაბჭოს საორგ. განყოფილებაში

მუშკოპის რწმუნებულთა გადარჩევად. კავშირების საორგანიზაციო განყოფილებათა გამგეების თათბირმა მოისმინა მოხსენება მუშკოპის რწმუნებულთა გადარჩევის შესახებ. თათბირმა აუცილებლად საჭიროდ სცნო, რომ კავშირების ც. გ. ყოველმხრივი დახმარება გაუწიოს მუშკოპის რწმუნებულთა გადასარჩევ კამპანიის ჩატარებას.

კომისიები სამაზრო განყოფილებებთან და ც. გ.—პროფსაბჭოს საორგანიზ. განყ. შემდგარმა თათბირმა მოისმინა ამხ. ალ. ფანცხავას მოხსენება კავშირების ცენტ. გამ. და სამაზრო განყოფილებების სხვადასხვა კომისიების (საორგ. კულტურული, შრომის დაცვის და სხვ.) დაარსების შესახებ. ამ კომისიებს დაევალება შესაფერისი საკითხების წინასწარ დამუშავება. თათბირმა მიანდო პროფსაბჭოს საორგანიზაციო განყოფილების კომისიებისათვის შეიმუშაოს შესაფერისი დებულება.

პრეზიდიუმები კავშირების ც. გ.—მეტწილ კავშირების ც. გ. პრეზიდიუმები არ არსებობდენ და პრინციპიალურ საკითხებს სწყვეტდა კავშირების ც.-გ. ამ საკითხებზე მოხსენება გააკეთა ამხ. ალ. ფანცხავამ და საჭიროდ სცნო, რომ კავშირების ც. გამგეობებში არჩეული იქნენ პრეზიდიუმები, ხოლო ც. გ. მიერ გა-

რა გაკეთდება შრომის დაცვის დარგში

შრომის სახალხო კომისარიატის შრომის დაცვის განყოფილებამ შეიმუშავა 1925—26 წლის საორიენტაციო გეგმა.

ამ გეგმის მიხედვით 25—26 წელში შესრულებული იქნება შემდეგი სამუშაო:

შრომის დაცვის განყოფილების სანიტარულ სექციის აღრიცხვაზე ამ ჟამად 382 წარმოება-დაწესებულება 30.000 მუშა ხელით, მათ შორის ქ. თბილისში 198 წარმოება. მათი დათვალიერება იწარმოებს: მსხვილ წარმოებისა, რომელშიაც მუშახელის რიცხვი აღემატება 250 კაცს (მათი რიცხვი უდრის 10-ს) თითოჯერ კვარტალში, ე. ი. სულ 40 დათვალიერება. დანარჩენი წარმოებები დათვალიერებული უნდა იქნეს წელიწადში 2—3 ჯერ პროვინციაში კი 1—2 ჯერ, რაც საშუალოთ შეადგენს წელიწადში ორჯერ დათვალიერებას, ე. ი. სულ 764 დათვალიერება, ან თითო სანიტარულ ინსპექტორზე 16 დათვალიერება თვეში.

გარდა ამისა, 1926 წლის 1-ლ იანვრამდე შედგენილი იქნება ტეხნიკურ ინსპექციასთან ერთად 10 რუკა სანიტარულ-ტეხნიკურ გაუმჯობესებათა აღრიცხვისა, წინასწარი მეთვალყურეობის წესით, საჭირო იქნება სულ 24 დათვალიერება წელიწადში.

პროფესიონალურ მოწამვლათა შესახებ ჯერ-ჯერობით არ არის არც ერთი ცნობა. სექცია შეაგროვებს მასალებს იმ სამრეწველო შხამების შესახებ, რომლებიც იხმარება რესპუბლიკის მრეწველობაში.

სექცია ტეხნიკურ ინსპექციასთან ერთად მონაწილეობას მიიღებს უბედურ შემთხვევების გამორკვევაში, რომელთა რიცხვის წინდაწინ გათვალისწინება შეუძლებელია.

წარმოებათა ძირითად რუკების შედგენა დასრულდება 1927 წლის 1-ლ იანვრამდე, დასჭირდება 25—26 წლის განმავლობაში შეავსოს 25 ძირითადი რუკა.

დაკანონებულ სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმალურ წესების რიცხვი ჩვენი მრეწველობისათვის ძალიან მცირეა, არსებული საზოგადო საკანონმდებლო დადგენილებანიც სამრეწველო წამოწყებათა მოწყობისათვის არაა სრული და საჭიროებს გადამუშავებას.

გარდა ამისა, არსებული სპეცტანისამოსის ნორმებიც ხშირათ ვერ აკმაყოფილებენ წარმოების პირობებს და იწვევენ პრეტენზიებს. ამის გამო წელს სანიტარულ ინსპექციას დასჭირდება მუშაობის გაწევა 2 ახალი დადგენილების შესამუშავებლათ და ერთი ძველის გადასამუშავებლათ; ამასთანავე ყოველ ცალკე შემთხვევაში გადათვალიერებული იქნება სპეცტანისამოსის ნორმები.

განათლების ფრონტზე

დახმარება დამსახურებულ მასწავლებელს.

განათლების კომისარიატის კოლეგიის დადგენილებით ცაგერის ცხრაწლიან შრომის სკოლის დამსახურებულ მასწავლებელს ივანე ნიჟარაძეს ერთდროული დახმარების სახით მიეცა 100 მან.

რკინისგზის მუშათა ფაკულტეტი.

განათლების კომისარიატის კოლეგიამ დაადგინა რკინისგზის მუშათა ფაკულტეტი გამოცხადდეს სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტათ.

გეოლოგიური ინსტიტუტი.

განათლების კომისარიატმა დაადგინა თბილისში მოეწყოს გეოლოგიური ინსტიტუტი. ინსტიტუტის დირექტორად მოწვეული იქნება პროფ. ალ. ჯანელიძე.

კომისიის დაარსება.

ქართველ ებრაელთა კულტურული საჭიროების შესასწავლად განათლების კომისარიატმა გამოყო ცალკე კომისია ამხ. მ. მეძმარიაშვილის, ვ. გოგუაძის, ლ. რუხაძის და ვ. ბერიძის შემადგენლობით.

საბჭოთა სასამართლო

შეურაცხყოფილი საპატარძლო.

სერგო შარაშენიძე თავდავიწყებით ეარშიყებოდა ახალგაზრდა ა—ს, რომლის მშობლები სერგოს სიძესავით ხვდებოდენ და თავს ევლებოდენ. მშობლები თითებზე ითვლიდენ დღეებს, როდის ეღირსებოდენ ქალიშვილის „გაბედნიერებას“.

ბედნიერება მათ კარებს მიადგა კიდეც. ერთ მშვენიერ დღეს, შარაშანიძემ ოფიციალურად წინადადება მისცა ა—ს და განაცხადა სურვილი მასთან შეუღლების.

რა იქნებოდა ქალის მშობლებისთვის ამაზე უფრო სასიხარულო. დაფაცურდენ, მოაწყვეს ნიშნობა, ლხინიც დიდი გადიხადეს,

ნიშნობის შემდეგ შაარშანიძე მივლინებაზე წავიდა ქუთაისში.

ის დიდი ალერსით ეთხოვება თავის საცოლეს და აღუთქვამს წერილების ხშირ-ხშირად წერას.

დაპირება პირნათლად შეასრულა. ა—ს მოსდის წერილი საქმროდან. გულ-სფანცქალით გახსნა მან წერილი, ერთხელ კიდევ ტკბილად წამოიძახა სახელი „სერგო“ და დააშტერდა წერილს. წაიკითხა, მაგრამ რა წაიკითხა, რა გაიგონა ყურმა?

წერილს არ აკლდა არც ერთი საგინებელი სიტყვა.

„მე არ შემიძლია შენზე ჯვარის დაწერა“, სწერდა შარაშანიძე, ჩვენს შორის ყველაფერი გათავდა. შენისთანებთან (აქ წერილში ა. „შეკაზმული“ იყო რჩეულ სიტყვებით) მე არაფერი საერთო არ მაქვს“.

საცოლეც და მშობლებიც საშინლად აღშფოთდენ.

შესჩიოდენ ერთმანეთს: „ლხინი მაინც არ გადაგვეხადა! ამდენი ფული დავხარჯეთ. არაფერი რომ არ მოვაკელით: არც ღვინო, არც ხაირნაირი საჭმელები, თევზი „ლოქო“, წვადები. მეზურნეებსაც, რომ მივეცით ფული! გაძღა ის არამზადა და ეხლა არაფერი არ ახსოვს“.

ვეღარ მოითმინა ა—მ ამდენი შეურაცხყოფა და შეიტანა სასამართლოში საჩივარი. საქმროს ის ბრალს სდებდა, ჯერ ერთი, ცილისწამებაში.

თავისი სიმართლის დასამტკიცებლად მან ექიმის მოწმობაც მიაკერა განცხადებას,

ეს რაც შეეხება ფაქიზი გრძნობის შეურაცხყოფას. მაგრამ ამდენი ზარალი რომ მიაყენა ოჯახს?

დაკარგულ ტკბილ წუთებს ველარ დაიბრუნებდა, მაგრამ ლხინზე დახარჯულ ფულს ხომ დაიბრუნებს.

...და წარუდგინა საქმროს სამოქალაქო სარჩელი. ის ადგენს სასამართლოში ანგარიშს, რომელშიაც ჩამოთვლილია ყველაფერი: 4 ვედრო ღვინო, ყველი, კარაქი, მწვანილი, თევზი „ლოქო, მეზურნეების ფული და სხვა. სულ დახარჯულა 150 მანეთი.

შეურაცხყოფილმა ქალიშვილმა დიდხანს უცადა დაკმაყოფილებას.

დიდხანს იყო ეს საქმე გაურჩევლად ქუთაისის სასამართლოში, საიდანაც შემდეგ გადმოგზავნილ იქნა თბილისში.

სასამართლომ დამნაშავედ სცნო შარაშანიძე, დააჯარიმა ის 100 მანეთით და მიუსაჯა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა პირობით.

„საქმროვმა“ უნდა გადაიხადოს „საცოლეს“ სასარგებლოთ 100 მანეთი.

ზ—.

მადლობა საბჭოთა მთავრობას

თბილისის ებრაელობა უსაზღვროდ აღტაცებულია იმ ფაქტით, რომ მთავრობამ ანგარიში გაუწია საქართველოს ებრაელთა კულტურულ-ეკონომიურ ფრონტზე შექმნილ პირობებს და გამოჰყო სპეციალური კომისია მათი პირობების გასაუმჯობესებლად. დიდი ხნის განმავლობაში საქართველოს ებრაელები ჩაგარდნილი იყო აუტანელ მდგომარეობაში; დღემდე მას არავინ გამოსჩენია მზრუნველი. დღეს კი საბჭოთა ხელისუფლება დაინტერესდა ჩვენი პირობებით და შეუდგა ჩვენთვის ზრუნვას, რისთვისაც გიძღვნით გულითად მადლობას. ჩვენ შევძლებთ დაუმტკიცოთ ხელისუფლებას, რომ შეგვეძლია მშრომელთა ქვეყნისათვის ნაყოფიერი მუშაობა; ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ მალე მოეღება ბოლო ჩვენს მძიმე ეკონომიურ მდგომარეობას და მასთან ერთად უახლოეს ხანში საკუთრად ჩვენთვის გაიხსნება შრომის სკოლები, სადაც სხვა საგნებთან ერთად ჩვენი ბავშვები შესძლებენ ებრაული ენისა და ისტორიის შესწავლას.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას, გაუმარჯოს მის მეთაურებს, გაუმარჯოს საქართველოს მთავრობას.

თბილისის ებრაელთა დავალებით: **დავით ბახანოვი, შალომ აბჯანოვი, აბრამ ბუჯიაშვილი, იდელ კაპილოთი, აბნერ მამისთვალოვი, ივხიზკიელ ჯინხაშვილი. ფაშა კრიხელი მამაოს იოსებაშვილი, ბესალელ დავიდაშვილი და ეფრაიმ ქუჩუხიშვილი.**

ქრონიკა

დახმარება ზაჰესს

საკავშირო ფინანსთა სახ. კომისარიატმა 1925—26 საბიუჯეტო წლის ასიგნობების ანგარიშში ზაჰესს გადასცა 1,300,000 მან.

თბილისის აღმასკომში

— **საბინაო ამხ-ბები.** თბილისში ამჟამად ითვლება 192 საბინაო-საიჯარო ამხანაგობა.

— **ბრძოლა ნიაღვრის წინააღმდეგ** ქ. სატყეო კულტურის სექცია ამ დღეებში დაასრულებს მოსკოვის ქუჩის თავიდან სომხის ბაზრამდე თხრილის გაყვანას ნიაღვრისაგან ხეების დასაცავად.

ჯანმრთელობის კომისარიატში

— **გადამდებ სნეულებებთან** საბრძოლველად ჯანმრთელობის კომისარიატმა 25—26 წლისათვის გადასდო 150,000 მან.

— **ჯანმრთელობის კომისარიატთან** ეწყობა ჯანსახკომის კოლეგია, რომელშიაც შევა გლეხების წარმომადგენელი.

სოც. დაზღვევის სამმართველოში

— **პენსია მასწავლებლებს.** სოც. დაზღვევის სამმართველომ დანიშნა წელთა დამსახურების მიხედვით მასწავლებელთა პენსიაზე ჩამრიცხავი კომისია.

— **სოცდაზღვევის კამპანია** მთელ რესპუბლიკაში დაიწყება დეკემბრის პირველ რიცხვებიდან.

სახალხო ჯანმრთელობა

— **ოქტომბრის განმავლობაში** მთელ საქართველოში გადამდებ სნეულებებით ავათ გახდა 21 ათასი კაცი.

— **წყალით მკურნალობა.** თბ. აღმასკომის ჯანმრთ. განყოფილებამ დაადგინა მოაწყოს წყალით სამკურნალო (ბალნეოლოგიური სადგური).

დაზღვევა სალაროში

— **იმ უმუშევრებს,** რომლებსაც აქვთ წიგნაკი № 3501-დან 5 000-მდე, დღეს მიეცემათ ნოემბრის თვის დახმარება.

— **დაზღვევა სალაროს** ოქტომბერში შემოუვიდა წარმოება-დაწესებულებებისაგან მუშა-მოსამსახურეთა დასაზღვევი 221.936 მან.

კრებები და მოხსენებები

— **კ. კაპანელის მოხსენება.** პარასკევს, 4 დეკემბერს, სახელმწ. კონსერვატორიის დარბაზში კონსტანტინე კაპანელი წაიკითხავს მოხსენებას: „ჰამლეტის პრობლემა“ (ინტელექტუალიზმის ტრაგედია).

— **იურიდიულ საზოგადოებაში.** დღეს, საღამოს 8 საათზე, იუსტიციის სახალხო კომისარი ამხ. ი. მ. ვარძიელი წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „რევოლიუციონური კანონიერება“.

სხვადასხვა

— **„ალექსანდრე თუ დიმიტრი ყაზბეგი“.** იბეჭდება და ახლო მომავალში გამოვა მიხ. ზანდუკელის ახალი გამოკვლევა „ალექსანდრე თუ დიმიტრი ყაზბეგი“?

— **ჩაუბარებელი დეპეშები.** ერევნიდან—კარაპეტიანს, მინ. ვოდიდან—პელიკანოვს, ბათომიდან—პაპისოვს, მაჩია ნიდან—ნაცვლიშვილს, ბათომიდან—გრიგორიანს, პოლტავიდან—მარდიევს, ნიკოლაევსკიდან—პარამონოვს, განჯიდან—კარგანოვს, მუხიანიდან—ნუცუბიძეს, ნახჩევანიდან—ც. დ. კ., ასტრახანიდან—კინიშევს, კრასნოდარიდან—დავიდენკოს, კახულიდან—სოკოლოვსკის, ლენინგრადიდან—ელეცკის, ზუგდიდიდან—ათელაევას, ბაქოდან—მირიმანოვს, კამალუდან—ედიგარიანცს, აგდაშიდან—შამილოვს, კმრიდან—ჩიჩუას, მოსკოვიდან—ეივოზორს.

შემთხვევები

— **თავის დაღრჩობის განზრახვით** 24 ნოემბ. ვერის ხიდთან მტკვარში გადავარდა ანტონინა ჩირგანკო-ჩარუპსკაია, რომელიც გადარჩენილი იქნა დაღრჩობას.

— **ცეცხლის წაკიდება.** სოფ. გომბორ-ს მცხოვრებ ვასილ სპირიდონოვმა ცეცხლი წაუკიდა გიორგი ქინქარაულის წისქვილს. დამნაშავე შეიპყრეს.

— **ქურდობა.** 24 ნოემბ. ნიკოლოზის ქუჩა № 114 გაქურდეს ივგენია ისრაელიანცის ბინა. წაღებულია 500 მან. ნივთები.

— ამავე დღეს პლეხ. პრ. № 141 გაქურდეს ემილ ფრანცკეს ბინა.

— ამავე ნოემბრის ღამით გაქურდეს სოფ. სართიჭალის ერკოპის მაღაზია.

— 24 ნოემბ. ბნელი რიგში № 31 გაქურდეს ისმაილ ალიევის მაღაზია.

ამავე დღეს კახეთის ქ. № 38 ბაკში ვანო კუნელაურს მოპარეს 200 მან. ეჭვით შეიპყრეს ვინმე ვაშაძე.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა.

„ჰუგენოტები“.

მეიერბერის პოპულიარულმა ოპერამ დღეს სრულებელთა საუკეთესო შემადგენლობამ დიდძალი ხალხი მიიზიდა თეატრში და შექმნა აღფრთოვანებული განწყობილება. ოპერა „ჰუგენოტები“, რომელიც წარმოადგენს ფრანგული სკოლის დიდ ოპერების ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს, რომელიც დიდი ხნით განმტკიცებული იყო გასული საუკუნის პირველ ნახევარში საოპერო ხელოვნების დარგში და რომელმაც დიდი გავლენა იქონია უკანასკნელი პერიოდის საოპერო შემოქმედებაზე,—იპყრობს აუდიტორიის ყურადღებას თავისი ინდივიდუალური მუსიკალური სილამაზით, მაგრამ საზოგადოების მთელი ყურადღება მიიქციეს უფრო მეტად მთავარ პარტიების—რაულის და ვალენტინას შემსრულებლებმა.

ეჭვს გარეშეა, რომ კიპარენკოს მშვენიერი ხმა აქვს, მაგრამ მსახიობი თავისი დრამატიული ტენორის ამპლუას პარტიების შესრულების დროს ანგარიშს არ უწევს პარტიების ლირიულ ხასიათს მხარეებს და ამით არღვევს შესრულების და შთაბეჭდილების სისრულეს: მაგალითად, მრთალი შთაბეჭდილება დასტოვა რაულის პირველი საუცხოვო რომანსის შესრულებამ. მე-4 აქტის თავიდან ბოლომდე ლირიკა და კანტილენა, რაც უსათუოდ გამოყოფილი უნდა იყოს. იგივე ითქმის უკანასკნელი აქტის დუეტის შესახებ. დრამატიული ადგილები საუცხოოდ იყო შესრულებული. სცენიური მხარე ყოველგან ვერ არის კარგი: პირველი აქტი არ უნდა იქნეს ჩატარებული ასე სასოწარკვეთილებით,—აქ უფრო სევდაა, ვინემ უიმედობა. კარგია მე-4-ე აქტის სცენა. გარეგნობა არ წააგავს მშვენიერ ფრანგ ახალგაზრდას.

საუცხოვოდ ისმის რუდენკოს ხმა ვალენტინას უძნელეს პარტიაში. შესრულება ვოკალური მხრით უნაკლოდ სცნებოდა, რომ უფრო მტკიცე ყოფილიყო ტონალობა (ხმის ავება დუეტში მარსელთან და აგრეთვე რაულთან). მშვენიერია მსახიობი ქალის გრიმი, მთელი სცენიური თამაში—განწყობილების შეცვლა მოქმედების შინაარსის მიხედვით.

ვენაძე (გრაფი დე-ნევერი) ძალიან კარგი იყო. მსახიობი ძალიან დაკვირვებით ასრულებს ნევერის პარტიას.

ყოვლად უნაკლოთ, როგორც ტეხნიკური, ისე მუსიკალური მხრით, ასრულებს დედოფლის მარგარიტას პარტიას პოპოვა. მისი სიმღერა ტეხნიკური სისრულით შეიძლება შევადაროთ კოლორატურულ პარტიების მსოფლიო შემსრულებელთა სიმღერას.

მარსელი—სუხოდოლსკი, პირველი გამოსვლა მართალია. მაგრამ მხედრული სიმღერა კარგად იყო შესრულებული. კარგია აგრეთვე დუეტიც.

ვერ დასძლია გრაფ დე-სენბრის როლი ილინმა. მან არ უნდა დაივიწყოს სენ-ბრაი ისტორიული პიროვნებაა, ჰუგენოტებისადმი მტრულად განწყობილი კარის კაცი, ერთგული დამცველი ეკატერინე მედიჩის, რომელმაც გამოიწვია ბართლომეს ღამის სისხლისმღვრელი ტრაგედია. შეთქმულების სცენა ჩატარებული უნდა იქნეს უფრო სტილიური ტონით, ზედმეტი დაუდგრომლობის და ჟესტების გარეშე.

კარგია ცაგარელი. მომღერალმა მშვენივრად შეასრულა 1 აქტის ძნელი კავატინა.

ივანე ფალიაშვილს ორკესტრის აკომპანიმენტი მიჰყავს საუცხოვო ნიუანსებით განსაკუთრებით კარგია ანსამბლი, მხოლოდ დიდ სცენაში—„ხმლების კურთხევა“—ის იღებს ჩქარ ტემპს და ზედმეტად აძლიერებს ორკესტრს (ფინალში). ეს ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს ანსამბლის ვოკალურ შესრულებაზე.

ბალეტი ლამაზად იყო დადგმული. გუნდი მოქმედებაში წინანდებურად არ ღებულობს მონაწილეობას.

არ შეიძლება ასე დაიდგას მინიონების ცეკვა მარგარიტას სასახლეში.

ვ. ბ.

გ. სუნდუკიანცის ხსოვნისათვის

სომეხ ხელოვანთა სახლის „ჰაიარტუნ“-ის საბჭომ კვირას, ნოემბრის 22-ს, მოიწვია კრება, რომელსაც დაესწრენ ქართული, სომხური და რუსული თეატრების წარმომადგენლები, აგრეთვე პრესის თანამშრომლები. კრების მიზანს შეადგენდა—გამოერკვიათ საკითხი ცნობილ დრამატურგის გ. სუნდუკიანცის დაბადებიდან 100 წლის შესრულების აღსანიშნავი წარმოდგენის მოწყობა ამორჩეული. საგანგებო კომისია, რომელსაც დაევალება სადღესასწაულო წარმოდგენის მოწყობა. კომისიაში არჩეულნი არიან: ი. ჯედევანიშვილი, ერზიკიანი, კ. მარჯანიშვილი, კაპანაკიანი, ს. ქურიძე, გ. შარბაბჩიანი, ალექსანდროვი. კომისიის საპატიო წევრებათ არჩეულ იქნენ: რესპუბლიკის სახალხო მსახიობი ვ. აბაშიძე და სომეხთა დამსახურებული მსახიობი ტერდავითიანი.

საქ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაში.

კვირას, 29 ნოემბერს, დღის 11 საათზე ხელოვნების სასახლეში (მაჩაბელის ქუჩა № 13) შესდგება თბილისის პროლეტარულ მწერალთა (ქართული სექცია) საერთო კრება. საინფორმაციო მოხსენება სრულიად საკავშირო ასოციაციის გამგეობისაგან მიღებულ ცნობების თანახმად და მიმდინარე საქმეები.

კონცერტი

დღეს, საღამოს 8 საათზე, განათლების მუშაკთა სახლში გაიმართება კონცერტი. მონაწილეობენ: ქუმსიაშვილი, ანდღულაძე, ცირეკიძე, თოიძე-აფხაიძისა.

— **საქართველოს მწერალთა** ყრილობა შესდგება 29 ნოემბერს.

— **სახელმწიფო კონსერვატორიის** საჭიროებისათვის განათლების კომისარიატმა გადასდო 6.000 მან.

— **ოპერის თეატრში** დღეს წარმოდგენილი იქნება „სოფლის პატიოსნება“ და „ჯამბაზები“.

— **რუსთაველის თეატრში** დღეს პირველად წარმოდგენილი იქნება „ლისაბონის ტუსაღები“.

— **კინო არფასტო, აპოლო და სოლეიში** დღეიდან აჩვენებენ ახალ სურათს „ნიშანი ზერო“.

— **კონსერვატორიის** დარბაზში დღეს გაიმართება მუსიკალურ ტეხნიკუმის საღამო.

წერილები სოფლიდან

მეტი სისასტიკე საქონლის ჭირთან ბრძოლაში

საქონლის ჭირმა საკმაოდ ფართედ გაიდგა ფეხი აღმოსავლეთ საქართველოს მთელ რიგ მაზრებში. გაზაფხულიდან დაწყებული გლეხის მეურნეობის ეს თავზარდამცემი სენი თანდათან ვითარდება. ის სოფლიდან სოფელში ადვილად გადადის და ამნაირად მუსრს ავლებს გლეხის მარჩენალს, მის შემოსავლის ცოცხალ წყაროს—მსხვილ ოთხფეხ საქონელს.

ამჟამად ყველაზე უფრო დაავადებულ მაზრებათ გამოცხადებულია ბორჩალოს, თბილისის, ახალქალაქის და თელავის მაზრები. აღმოსავლეთიდან ჭირი დასავლეთით მიიქანება და, თუ მის მსვლელობას დროზე არ მოეღო ბოლო, შესაძლებელია ამ განმახადგურებელმა სენმა სურამის ქედიც გადალახოს იმერეთ-გურია-სამეგრელოშიაც შეიჭრას.

რა არის მიზეზი, რომ საქონლის ჭირი ასე უვნებლად დითარეშობს ჩვენს სოფლებში და მისი მოსპობა ამდენი ხნის განმავლობაში შეუძლებელი შეიქნა? ჩვენ ვიცით, რომ მიწათმოქმედების კომისარიატი მას ებრძვის მთელი შესაძლებლობით, რომელიც კი მის განკარგულებაში მოიპოება. ბოლო ხანებში მთავრობის დადგენილებით ცენტრში საგანგებო კომისიაც კი შესდგა რქოსან საქონლის ჭირთან საბრძოლველად. ამ დადგენილების თანახმად ასეთივე კომისიები უნდა დაარსდეს მაზრებშიაც. ამრიგად საქონლის ჭირთან ბრძოლის საკითხი მიჩნეულია დამკვრელ და გადაუდებელ ამოცანად.

მაგრამ ამასთანავე აღსანიშნავია ერთი გარემოება. იმ ენერგიულ ბრძოლას და ფართე ღონისძიებებს, რომელსაც მიმართავს ცენტრი გლეხობის გამანადგურებელ სენის აღმოსაფხვრელად, წინ ეღობება ადგილობრივ ხელისუფლების ერთგვარი ლიბერალობა ამ ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარების დროს. ეს გარემოება მეტად დამახასიათებელია ადგილობრივ ხელისუფლების ზოგიერთ წარმომადგენელთა მუშაობისათვის, რომელთაც პარტიისა და სახელმწიფოს ახალი კურსი თავისებურათ გაუგიათ.

მაგალითად ცნობილია, რომ საქონლის ჭირთან ბრძოლაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დაავადებულ რაიონების დაკეტვას და სნეულ საქონლის სხვა რაიონებში არ გაშვებას. აქ საჭიროა უსასტიკესი ზომების მიღება, რომ მცირე ბოროტებასთან შერიგებით, რომელიც გამოწვეული იქნება ამ დაკეტვით, თავიდან აცილებული იქნას უფრო დიდი ბოროტება. ჩვენს ამხანაგებს ზოგიერთჯერ ეს სოფლის თავისუფლების შეზღუდვათ მიაჩნიათ და გამოდიან რა ერთი კუთხის დღევანდელ ინტერესებიდან, ანაცვალებენ მას სხვა რაიონების და მთელი მაზრის კეთილდღეობას.

მაგალითისათვის ვღებულობთ დიღომის თემს, რომელიც რამდენიმე ვერსის მანძილითაა თბილისიდან დაშორებული. საქონლის ჭირი ამ თემშიაც მძვინვარებს. გლეხები დაავადებულ საქონელს ჩუმად აპარებენ ქალაქისაკენ, რომ აქ ხორცათ, ან ტყავათ მაინც გაასაღონ. თბილისში თავს იყრის მთელი მისი გარშემო მდებარე მაზრების საქონელი. აქ მათ ეყრება სნეულება და განახლებული ჭირი ქალაქიდან უკან უბრუნდება სოფელს სხვადასხვა მიმართულებით. მართალია დიღომის ადმინისტრაცია მთელი ძალღონით ებრძვის დაავადებულ საქონლის ქალაქში გაპარებას, მაგრამ ეს ბრძოლა სანახევროდ უნაყოფოა, რადგან ასეთივე გაფაციცებით და სიფხიზლით არ ეკიდება მას ახლო მდებარე რაიონის ადმინისტრაცია და თბილისის მილიცია. საქონლის გაპარება კი გზამოვლით და სხვა თემებში გადაყვანით ხდება.

გაზაფხულიდან დღემდი ჭირმა ბევრი ზიანი მიაყენა ჩვენს სოფლებს. დროა მას გადამწყვეტი ბრძოლა გამოეცხადოს. ახალი კურსი სოფლად მუშაობაში აქ არა თუ შემაფერხებელ, ხელისშემწყობ საშუალებათ უნდა გადაიქცეს. ადმინისტრატიულ ღონისძიებებთან ერთად უნდა ამოძრავდეს ყველა დაინტერესებულ სოფლების საზოგადოებრივი ორგანიზაციები, უნდა ჩატარებულ იქნას ფართე ვეტერინალური პროპაგანდა, სადაც საქონლის ჭირის საკითხები განსაკუთრებით უნდა იქნას გაშუქებული.

მაგარი ხელი და საზოგადოებრივი ინიციატივა, შეიძლება არსად ისე საჭირო არ იყოს, როგორც გლეხის მეურნეობის ამ დამაქცევარ მოვლენის წინააღმდეგ.

გულშემატკივარი.

წამების გზა

(გურია)

ვფიქრობ, რომ ამაზე მეტ წამებას, რასაც კაცი ნახავს ჩოხატაურ-საჯევახოს გზაზე მოგზაურობის დროს, ვერადროს ვერც ერთ მგზავრობაში ის ვერ შეეყრება.

მართალია თბილისელი ამხანაგების ენერგიული მუშაობით ამ გზის ერთი ნაწილი სახელდობრ „საყორნია“ გაკეთდა, მაგრამ სანაცვლოდ მთელ ჩვიდმეტ ვერსზე კვლავ საშინლად აოხრებულია გზები და დანგრეული ხიდები.

ოზურგეთის სამაზრო აღმასკომს ჯერ ერთი ნაბიჯიც კი არ გადაუდგამს ამ გზაზედ მუშაობის დაწყებისათვის და არც რაიმე თვითმოქმედებას იჩენენ ამ მხრივ ახლო მდებარე თემები. ჩოხატაურის, კოხნარის და საჯავახოს თემის აღმასკომებს თითქოს პირობა მიუციათ ერთიმეორესათვის: ამ გზის შესახებ ხმა არ ამოვიღოთო. თუ ასეთი მდგომარეობა კიდევ გაგრძელდა 2—3 თვეში—ამ გზაზედ მიმოსვლა სამუდამოთ შესწყდება და ეს კი იმას გვიქადის, რომ გურია-იმერეთის 18 თემი კარჩაკეტილი დარჩება.

დროა ამ საქმის შესახებ იზრუნონ თემის აღმასკომებმა. ხალხი უეჭველად მიიღებს თავის თავზე შრომას. საჭიროა მხოლოდ ინიციატორი და ამ საქმის ინიციატივა კი ხელთ უნდა აიღოს ჩოხატაურის აღმასკომმა.

ბ. შანიძე.

ნაცნობ სოფელში

(დ. ხარაგოული)

მატარებლის გაორთქლილ ფანჯრიდან ვათვალიერებ ნაცნობ ადგილებს... აი, ჩემი ბავშვობის სოფელიც, რომელზეაც არა ერთხელ ჩამომივლია საფქვავით ზურგზე. ნაცნობი მთები, ხევ-ხუევები, ტყე-მინდვრები სიამოვნებას იწვევენ გულში. ორთქმავლის საყვირის ხმა ისმის... მახვილი თვალი მატარებლის მსწრაფლ სრბოლაში მაინც ყველაფერს იჭერს. უცებ რონოდა შეინძრა... ზედ ფანჯარასთან გაირბინა ისრის სანათმა... მატარებელმა სვლა შეანელა, ერთი ისეთი დაიჭყივლა, რომ მის ხმას დიდხანს იმეორებდენ ახლო მთები, და დადგა.

ხარაგოული... ჩემთვის კარგად ცნობილი.. სიყმაწვილის აკვანი... მშობლიური კუთხე... სად წავიდოდი ქალაქიდან—სოფლად, თუ არა აქ. მრავალ დროების მოწამე, იგი თავის „ჩხერის ციხით“ მიუვალი იყო გარეშე მტრისათვის. ამავე დროს პურმარილით და გულ-ღიად უხვდებოდა იგი ყოველ ერთგულს და ძველ „სამხედრო-იმერეთის გზაზე“ მიმავალ მშვიდ ქარავნებს, სანამ ჯერ კიდევ ტეხნიკის სიტყვამ—ორთქმავლის კივილმა არ აცნობა მთის ფერდობებზე გაშენებულ სოფლებს ახალი ძალა, ახალი სიო, სანამ ამ ხმამ არ შეარხია აქიურთა მიძინებული მყუდროება...

მთების კალთებში ვიწროთ ჩაწოლილა ეს გრძნეული დაბა... გიჟმაჟი ფრინველი, ჩხერიმელის შესართავთან და ორივე კუთხით შემოსალტული მთები არ აძლევენ დაბას საშუალებას ფართოდ გაშალოს ფრთები და თავისუფლად ამოისუნთქოს.

ხიდები?!—ხის ბარჯგებზე გადებული საცალფეხო ხიდები?!... მათ ხომ ყოველ წყალდიდობაზე უხდებოდათ გასეირნება შავიზღვისაკენ.

უხიდობით მოწყვეტილი იყო ხარაგოული, უმეტეს, შემოდგომაში, რკინისგზის კოხტა სადგურებს და მის მჩქეფარე ანკარა წყაროს. მაგრამ, ეს იყო წინათ.

დღეს მედგარ ბურჯებზე რკინის მოაჯირებით აშენებულმა ლამაზმა ხიდმა, რომელიც გაიხსნა დიდი ოქტომბრის 8 წლის თავზე, ხარაგოულის დაბა სამუდამოთ დაუკავშირა რკინისგზას. თავისუფლების ხიდმა არქივს ჩააბარა ყოველგვარი სიძველე. ადიდებული ჩხერიმელა ვეღარ შესძლებს რკინის ჩონჩხიან ხიდის გარღვევას.

ტონკა.

წერილებიდან

ს. კაცხი (შორ. მ.)

დაგვიმშენით ღირსეული მოადგილე. მაისის პირველ რიცხვებიდან აქ მსახურობდა ექიმის თანაშემწეთ ამხ. გიორგი ქავთარაძე, რომელიც ამ დღეებში სხვაგან გადაიყვანეს. თავის აქ ყოფნის დროს ამხ. ქავთარაძემ დიდი სიყვარული დაიმსახურა გლეხებში. ის თავის პირდაპირ მოვალეობის გარდა ხშირად კითხულობდა ლექციებს ჰიგიენასა და სანიტარიაზე. იმდენად მაზრა მის მოადგილეთ ასეთივე ენერგიულ და საზოგადოების ინტერესით გამსჭვალულ მუშაკს გამოგვიგზავნის

ნ. მოდებაძე.

საგარეჯო (გარე-კახეთი).

სამზადისი დაიწყო. ჩვენი თემი უკვე შეუდგა საარჩევნო სამზადისს. 21 ნოემბერს შესდგა საბჭოს მოაადგილრიცხოვანი ყრილობა, სადაც საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა ამხ. ბურჯანაძე. გლეხები მხურვალე მონაწილეობას იღებდენ კამათში. ყრილობამ მოიწონა აღმასკომის მუშაობა.

გ. გარსიაშვილი.

საგარეჯო.

— **გლეხების გასათვითცნობიერებლათ.** თემკომის დავალებით ერთ-ერთ მასწავლებელს დაევალა ხმა-მაღლა წაუკითხოს გლეხებს ჟურნალ-გაზეთები და შესაფერი ახსნა-განმარტება მისცეს მათ წაკითხულის შესახებ. ს. საგარეჯოში ასეთი სახის კულტმუშაობას ჯერ ადგილი არ ჰქონია.

თ. თ—ძე.

მანგლისი

სასადილოა თუ სამიკიტნო. აქაურ წითელ სასადილოში ქეიფი და დროს ტარება ჩვეულებრივი მოვლენაა. ხშირათ ქორწილიდან მაყრეულიც შემოივლის ხოლმე დაფითა და ზურნით. მ ვილობიანი მოქალაქეები გაურბიან ასეთ სასადილოში მისვლას. ვინ უნდა მიაქციოს ამას ყურადღება?

გულადი.

ალგეთი (თბილ. მ.).

ძველი ყაიდის მილიციონერი. ჩვენი რაიონის მილიციაში მსახურობს ვინმე ლევანტი მამულაძე. მან ამასწინათ დაუზოგველათ სცემა უდანაშაულო კომკავშირელ ზურაბ ბექაურს. მას ამხანაგებს კი დიდის ცინებით გამასპინძლდა. რა უნდა საბჭოთა მილიციაში ასეთ თავხედ თანამშრომელს?

გლეხიშვილი.

საბურთალო (თბილ. მ.).

ცხვარს ყვავილი გაუჩნდა. აქ მოსახლეობს 37 მეკომური თათრობა, რომლებიც მესაქონლეობას მისდევენ. მათ ცხვრებს გაუჩნდა უსაშინელესი სენი ყვავილი, რომელიც განსაკუთრებით საშიშარია ზამთრის პირობებში საჭიროა ეხლავე იქნას მიღებული ავათმყოფობის საწინააღმდეგო ზომები.

შ. ნ—ლი.

სოფლის ქრონიკა

— **შეღავათი.** დუშეთის აღმასკომმა დაადგინა მისცეს შეღავათი სასოფლო-სამეურნეო გადასახადში ახალ-სოფლის გლეხობას.

— **ქუთაისის** და ოზურგეთის მაზრების ინვალიდების არტელები გაერთიანდენ.

— **გორის** მაზრაში აღრიცხულ იქნა ყრუ-მუნჯები მათთვის საქიმო დახმარების აღმოსაჩენათ.

— **ოზურგეთში** არსებულმა ინვალიდთა არტელმა თავის უზრუნველყოფაზე აიყვანა 10 ინვალიდი.

იურიდიული რჩევა-დახმარება

განქორწინების შესახებ

კითხვა

1922 წლიდან 1924 წლამდის მე ვცხოვრობდი კანონიერ შეუღლებით ჩემ ქმართან ს. ქორიძესთან. მსახურობდა ქ. თელავში. მე მყავდა ორი შვილი. 1294 წ. ზაფხულში მე წავედი ჩემ სამშობლოში. ერთი თვის შემდეგ ქმარიც უნდა წამოსულიყო ჩვენ უკან დასაბრუნებლად წარსულ წლის აგვისტოს, მაგრამ მას არ მისცეს შვებულება და ის წავიდა სოფლად სამუშაოდ იქ შეუყვარდა ერთი თავადის ქალი, კახეთში კარგად ცნობილი, და მას აღუთქვა ცოლად შერთვა და როდესაც მე დავბრუნდი, მან ის ქალი სახლში დამხვდერა და თავისი ცოლშვილი კი გადაგვეყარა ქუჩაში ულუკმაპუროდ. არავითარი დახმარება ჩვენთვის მას არ მოუცია. თუმცა აუტანელი იყო ჩემთვის, მაგრამ მე სხვა გზა არ მქონდა, უფროსი ბავშვი მე არ მომშორდა და უმცროსი კი მივეცი მას. მე ამის გამო დაავადმყოფდი და მუშაობაც ვერ შევძელი. ვარ ღარიბი, ნათესავები არ მყავს; ვარ უმუშევარი. ჩემი ქმარი კი ისევ კარგად მოეწყო სამსახურში და ჩვენ კი აუტანელ მდგომარეობაში ვიმყოფებით.

გთხოვთ, რჩევა-დარიგებას. მსურს კანონიერი განქორწინება და ბავშვისათვის საზრდო. როგორ მოვიქცე და ვის მივმართო.

გ. ლობჟანიძე

პასუხი

თანახმად დეკრეტი № 28-ის მუხ. 87 და 88-ის თქვენ გაქვთ სრული უფლება მოითხოვოთ სახალხო სასამართლოს წესით კანონიერი განქორწინება. ამისათვის კი თქვენ უნდა შეიტანოთ თქვენი ბინადრობის მიხედვით სახალხო სასამართლოში სათანადო განცხადება.

გაქვთ აგრეთვე უფლება როგორც შრომის უუნაროკლებულს, უმწეოთ და მცირე წლოვან ბავშვის პატრონს (ქმარს მოსთხოვოთ სარჩო-საბადებელი თქვენი და თქვენი ბავშვისათვის (იხ. იქავე მუხ. 96 და 97).

კანონიერია თუ არა გლეხების ასეთი მოქმედება

კითხვა

ზემოხეთის თემში და საერთოდ გურიაში, აქა-იქ აქვს ადგილი მიწის ყიდვა-გაყიდვას, რაც თანდათან ინტენსიურ ხასიათს ღებულობს. გთხოვთ, მომცეთ განმარტება არის თუ არა რაიმე ახალი დეკრეტი გამოცემული, რომელიც შესაძლებლად ხდის მიწის ყიდვა-გაყიდვას.

გლეხი ორკეხპირელი.

პასუხი

მიწა-წყალი და ტყე სახელმწიფო მნიშვნელობისა—ითვლება სახელმწიფოს საკუთრებად (იხ. მიწის კოდექსი მუხ. 2) და მისი ყიდვა-გაყიდვა ამავე კოდექსის მუხ. 25-ისა სასტიკად აკრძალულია; ამ მუხლის დამრღვევნი ჰკარგავენ მათ სარგებლობაში მყოფ მიწას და იქნებიან მიცემული პასუხისგებაში. სისხლის სამართლის წესით აღნიშნულ დებულებაში არ ყოფილა შეტანილი არავითარი ცვლილება და არც შეიძლება რაიმე ცვლილების შეტანა.

ბინის ქირის შესახებ

კითხვა.

ანიევის ქუჩაზე სახლი № 13-ში მიჭირავს ერთი ოთახი, სამზარეულო და „სარაია“-თი. ოთახი არის სივრცით 25 კვად. არშინი და სამზარეულო 25 კვად. არშინი. ბინა ბნელია და ნოტიო. ვარ სახალხო კვების კავშირის (წიგ. № 4206) წევრი, ცოლშვილიანი. სახლის პატრონი მთხოვს თვიურად 10 მანეთს. მე არა მაქვს ამის გადახდის საშუალება. ვმსახურობ ტრამვაის წარმოებაში კონდუქტორის თანამდებობაზე, თვიურად ვღებულობ ჯამაგირს მე-6-ე ხარისხით ორმოც მანეთს, სარჩენი მყავს 5 სული.

გთხოვთ განმიმარტოთ კანონის ძალით რამდენი უნდა ვიხადო ბინის ქირად.

სევერიანე კანტალიანი.

პასუხი

ბინის ქირად თვიურად იხდით თითოეულ კვადრატიულ არშინზე, ორი კაპეიკის რაოდენობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მადლობა

სენაკის მაზრის 1-ლი ილორის შვიდწლედის სააღმშენებლო კომისია უღიდეს მადლობას უცხადებს საბჭოთა კავშირის ცაკის მდივანს ამხ. აბელ ენუქიძეს, რომლის განკარგულებით საბჭოთა კავშირის ცაკის საფინანსო-საანგარიშო განყოფილებამ სკოლის შენობის ხარჯების დასაფარავად გადმოგვიგზავნა 1000 მან.

ამ დახმარებამ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია მშრომელ გლეხობაში და ჩვენც საშუალება მოგვეცა შევუდგომოდით საქმეს.

სააღმშენებლო კომისია.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-3-ე რაიკომი იტყობინება, რომ პარასკევს, 27 ნოემბერს საღამოს 6 საათზე რაიკომის ბინაზე შესდგება მესამე რაიონის სადელეგატო კრება ყველა ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს წინადადება ეძლევა გამოცხადდენ სადელეგატო კრებაზე მათი ანკეტების გასარჩევად:

კანდიდატების გადაყვანა პარტიის წევრებად

შაფათავა რაფიელ, გიორგაძე ტარასი, შიპიკინა მარია, კუმაშვილი ადამ, სადალაშვილი არშაკ, მაისურაძე ივანე, თოდაძე სილიბისტრო, ბარხაბაშვილი სარქის, მირუაშვილი ბაგრატ, ნონიკაშვილი გიორგი, ნონიკაშვილი სერგო, ირემაშვილი პეტრე, ნადირაშვილი ალექსანდრე, ბუოკაძე ვლადიმერ, მისკჭიანი კარაპეტ, ცირკვავა სერაპიონ, კოვალენკო ათანასე, ტუღდიანი სერობ, სევოიანი ზურაბ, თუშურიშვილი ეკატერინე.

პარტიაში მიღება

ტურაშოვი ივანე, ხაჩიკიანი არამ, ბალდასაროვი არამი, ამბარცუმიანი არტამ, კაკნაძე ნიკოლოზ, კანდაუჯიანი არამ, ჩახრაგია ერმილე, აგაევი ზულფუგარ, კაკაურიძე იასონ, კლევცოვი ანდრია, ბალდასაროვი ავეტის, კირაკოსოვი გიორგი, ჩილინკაროვა არტემ, აგამიროვი არტემ, არუთიუნოვი მკრტიჩ, გეორკიანი ვართან, არუთიუნიანი მარკარ, სუკიასიან მირზა, თუმანოვი ზურაბ, მკრტიჩიანი დავით, ჩარკვიანი იონა, შარაძაშვილი ზაქარია, გვაზავა გრიგოლ, ღლონტი დავით, ნადირაშვილი ივანე, ჩუბრუკიძე ნიკოლოზ, ნოზაძე ლუკა, კალანდაძე შალვა, ირემაშვილი დავით, ეგიაზაროვი სოლომონ, რიზაევა ასმარ, მამედოვი კაჟარ, [illegible]აზუტი გასპარ, ხანაზმედოვა საკინა, გურგენიძე ალექსანდრე, მარტიროსოვი არამ, კუმალიანი ოლღა, გუკაიანი არუსიაკ, დავიდიანი ერვანდ, დოვმაშინი სრბუი, კირაკოსიანი ხაჩატურ, ეგოიანი ვიქტორია, ოსიკაშვილი ივანე, კაკალოვი აბელი, ტოდატიანი კარაპეტ, რაზმაძე ივანე, კობერიძე ბესარიონ, გასპაროვი მისაკ, მანსუროვი ამრაფ, ხაჩატურიანი არსაკ, ნერსესოვი პეტროს, იზმაილოვი მიხეილ, დიაჩკოვი ალექსი, გრიდნევი სიმონ, სილეცკი იაკობ, ერემეევი ივანე, სონომიცინი ივანე, ბურლაკოვი ალექსი, გოტოლია ალექსანდრე, აუმალი ვერა, საპკოვა მართა. სოლომონიანი იაკობ, აბრამოვი შაავონი, ფედინი ბორის, გუპალოვი სტეფანე, ფილიპოვი სერგო, მალხაზიანი პარუირი, ჩალუმბოვა ბარბალე, შელიკიანი აიკანუშ, სახაშვილი სოლომონ, აბრამიანი არუტიუნ, ჯალალიანი გარეგინ, ქინქლაძე ათანასე, გამყრელიძე ნიკოლოზ, ყურულაშვილი გიორგი, კავარიანი მისაკ, ბახაბადე იუსუფ.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომი აცხადებს, რომ პარასკევს, 27 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, რაიკომის შენობაში (პლეხანოვის პროსპ. 96 შესდგება არსრაიკომის № ათასეულის სამხედრო ორგანიზატორებით თათბირი.

სავალდებულოა ყველა სამხედრო ორგანიზატორების დასწრება დაუგვიანებლად.

მდივანი—ფანცულაია.

ათასეულის უფროსი—ქობულაშვილი.

— საქართველოს ახალგაზრდათა ლენინ. კომკავშირის თბილისის კომიტეტი აცხადებს, რომ დღეს, 26 ნოემბერს, დღის 1 საათზე, შესდგება საქართველოს ახალგაზრდათა ლენინ. კომკავშირის თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო კოლეგიის სხდომა.

სავალდებულოა საორგანიზაციო კოლეგიის ყველა წევრების და ქვემოდ დასახელებულ კანდიდატების დასწრება დაუგვიანებლად: 1. კიტოაშვილი, 2. კავტიშვილი, 3. არუტიუნოვი, 4. ჩიჩუა, 5. ტერ-მკრაპოვი, 6. ელიბეგაშვილი, 7 ზამანოვი, 8. ჩიხლაური, 9. გუსევი, 10. ჩაია, 11. საათიანი, 12. გულიანი, 13. ხაჩატურიან, 14. მარკაროვი, 15. თარხნიანი, 16. ტაგიევა, 17. თომაია, 18. მირველაშვილი, 19. ტიჯიევი, 20. კოლოტიძე, 21. სანდუხჯიანი, 22. მიკირტუმიანი.

— დღეს, 26 ნოემბერს, დილის 10 საათზე, თბილისის კომიტეტის ბინაზე შესდგება საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის სარევიზიო კომისიის სხდომა.

სავალდებულოა შემდეგი ამხანაგების დასწრება: კირვალიძე, კოჩეტკოვი, ტრდატიანი, იოსელევიჩი, მედვედევი, ათაბეკოვი, ფ[illegible]რიაშვილი.

— დღეს, 26 ნოემბერს, დილის 9 საათზე ამხ. სუხიშვილის კაბინეტში (თბილისის აღმასკომში) შესდგება საბინაო კომისიის სხდომა.

სავალდებულოა კომისიის ყველა წევრების დასწრება.

— საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის აღრიცხვა-განაწილების განყოფილება სთხოვს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდენ თბილისის კომიტეტის აღრიცხვა-განაწილების განყოფილებაში ამხ. ჩარკვიანთან.

1. სურგულაძე უფროსი, 2. ლევ[illegible]რაშვილი არსენ, 3. ლევანიძე ვასილ, 4. შონგირია ვარლამ და 5 სიმონავა როჟდენ.

— დღეს, 26 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე, ამხ. ორჯონიკიძის სახელობის კლუბში (დიდუბის ქუჩაზე, კომკავშირის პირველ რაიკომის კლუბის გვერდზე), იხსნება გაფართოებული პლენუმი საქ. ა. ლ. კ. კ. ცეკასა თბილისის საქალაქო ორგანიზაციის აქტივისტებთან ერთად. დღის წესრიგში სდგას ამხ. ამატუნის მოხსენება რ. ა. ლ. კ. კ. ც. კ. პლენუმის შედეგების შესახებ.

ს. ა. ლ. კ. კ. ც. კ. მდივანი: დარახველიძე.

— „წერკუმსი“-ს მე-3-ე რაიონული საბჭო იტყობინება, რომ შაბათს, 28 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, მესამე რაიონის პარტ. კლუბის ბინაზე შესდგება რაიონულ საბჭოს სხდომა „წერკუმს“-ის უჯრედთა ბიუროების წევრების თანადასწრებით. დღის წესრიგი: 1. „წერკუმსი“-ს ცენტრალურ საბჭოს მოხსენება, 2. საინსტრუქციო მოხსენება „წერკუმსი“-ს უჯრედთა მუშაობის შესახებ. 3 დელეგატების არჩევა „წერკუმსი“-ს სრულიად საქართველოს ყრილობისათვის. 4. მიმდინარე საქმეები.

სავალდებულოა „წერკუმსი“-ს უჯრედთა ბიუროების რაისაბჭოს წევრთა დასწრება.

— საქართველოს კომპარტიის ცკას საღ. განმანაწ. განყ. წინადადებას აძლევს ამხ. მიხეილ ბახტაძეს გამოცხადდეს 26 ნოემბერს, ცკას სააღრიცხვო განმანაწილებელ განყოფილებაში.

განცხადებები

დღეს, 26 ნოემბერს, [illegible] ეკლესიაში გადახდილი იქნება ექვსი თვის თავის წირვა და პანაშვიდი

გრიგოლ (გრიშა)

ქელბაქიანის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ღრმა მწუხარებაში მყოფნი მშობლები და ძმები ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ.

თბილისის კომუნალურ ბანკის

განცხადებაში, რომელიც იყო დაბეჭდილი გაზ. „კომუნისტ“-ში 25 ნოემბერს 1925 წ. № 271 (1426), შეპარულია შემდეგი შეცდომები

სვეტი	მორიგი №	დაბეჭდილია:	უნდა იყოს:
1	1	„ვალი 221 მან. 81 კ.“	„ვალი 221 მან. 80 კ.“
1	9	გამოშვებულია ბოლოს	„ვადა-გადაცილებული გადასახადი 453 მან. 27 კ.“
2	21	„შიმკოფ“	„შიმშ[illegible]“
5	92	არ არის გარკვევით	„2660 მან.“
6	121	ბოლოს „133 მან. 32 კ.“	„133 მან. 10 კ.“
7	140	ბოლოს „34 კ.“	„36 კ.“
7	148	„დასიმონოვის ქ.	„დასიმონოვის მოედანზე“
8	163	406 მან. 0[illegible] კ.“	„[illegible]06 მან. 22 კ.“
8	165	არ არის გარკვევით	„ვ[illegible] 03 მან.“
8	175	არ არის გარკვევით	„გად. სახ. 48 მან. 12 კ.“
8	177	არ არის გარკვევით	„1101 მან.“

ნ. 312—1—1

საიპოთეკო განყოფილება

აპოლო არტისტო სოლეი

პრემიერა „მეჟრაბპომ-რუს“-ის გამოცემა

„Закройщик из Торжка“

მთავარ როლში იგორ ილინსკი. სიმებიანი ორკესტრი რომანოვსკის ხელმძღვანელობით.

იშვიათი სურათი

ნიშანი Z ზერო

მთავარ როლში დუგლას ფერბენკს. გაძლიერებული სიმებიანი ორკესტრები.

სოლეიში—რეისნერის ხელმძღვანელობით, არტისტოში—ბელსკის ხელმძღვანელობით. სოლისტი—იაკობ გროდსკი.

0-8 ნ. 254

„კინო-გაზეთი“
16 სექტემბრის ნომერში სწერს
„როდესაც
დუგლას ფერბენკს
შეეკითხნენ, რომელია თქვენი
საუკეთესო სურათი, მან უპასუხა: ვფიქრობ, რომ

ნიშანი Z ზერო

დღეს და ყოველდღე
„ნიშანი ზერო“
აჩვენებენ
კინო-თეატრებში
არტისტო და სოლეიში

ყველამ უნდა ნახოს კინემატოგრაფიის ეს იშვიათი მიღწევა

1—1 ნ. 310

რუსთაველის თეატრი

დღეს 26 ნოემბერს

პრემიერა

მიწის ძვრა

(ლისაბონის ლუსალები) პ. კაკაბაძის
მხატვარი ირ. გამრეკელი
დადგმა დ. ანთაძის ორკესტრი მუს. საზოგადოების
რეჟისორი ა. პატარიძე.

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 26 ნოემბერს

1. სოფლის პატიოსნება პანკრატოვას, ხლოჟინსკის და სხვ. მონაწილეობით.

2. ჯამბაზები კაპარენკოს მონაწილეობით

პარასკევს, 27 ნოემბერს
პირველად ამ სეზონში
მელო და კოტე
ოპერა ვ. დოლიძისა

შაბათს, 28 ნოემბერს
კარმენ

3—1 ნ. 306

ხელისმომწერლებმა [illegible]
უნდა მიმართონ
„კომუნისტი“-ს მთავარ კანტორას
რუსთაველის პრ. № 24 ტელეფონი № 10—49.

მატარებლების მიმოსვლის ცხრილის შეცვლა

კახეთის გზაზე

ამიერ-კავკასიის რკინისგზათა სამმართველო აცხადებს, რომ მგზავრებისათვის მოხერხებული პირობების შესაქმნელად სამგზავრო-საბარგო მატარებლები №№ 21 და 22 თბილისსა და წნორის წყალს შორის

იხსნება 26 ნოემბრიდან

ამავე რიცხვიდან თბილისი—თელავი—წნორის წყალის ხაზზე

ინიშნება ყოველდღიური პირდაპირი მატარებლები

№ 11 | 12. მატარებელი თბილისიდან გადის დილის 8 საათზე; გურჯაანში მიდის 13 საათ. 58 წუთ. თელავში გადის 14 საათ. 25 წუთ. წნორის წყალში 14 საათ. 40 წუთ. თელავში მიდის 16 საათზე, წნორის-წყალში 19 საათ. 30 წუთი. თბილისში მოდის დილის 5 საათზე მოსკოვის დროით. მატარებელში არის მაგარი საჯდომი ადილები.

ნ. 303 2—1

საქართ. სახელმწიფო

გამომცემლობა

ამით აცხადებს, რომ წიგნის საწყობში (რუსთაველის პროსპ. № 11 შესავალი ეზოდან)

გაიყიდება

საჯარო ვაჭრობით

ძველი წიგნები ფუთობით

საჯარო ვაჭრობა დანიშნულია 27 ნოემბერს 11 საათ. 3 საათ.

ნ. 308 1—1.

„ზაკავტოპრომტორგ“-ის

„Закавтопромторг“-а

თბილისის განყოფილება აცხადებს

ავტომობილების მიმოსვლის საზამთრო ცხრილს

თბილის—კავკავის ხაზზე

დუშეთში შესვლით (გარდა სამშაბათისა და პარასკევისა) გამოსვლა ყოველდღე დილის 8 საათზე.
უკან—ყოველ დღე დილის 8 საათზე თბილის—კოჯორი—მანგლისის ხაზზე:
სამშაბათობით და პარასკეობით დილის 8 საათზე
უკან—მანგლისიდან იმავე დღეებში დღის 1 საათზე და 30 წუთზე.

ბილეთების გაყიდვა და ცნობების მიღება ყოველ დღე დილის 7 საათზე. თბილისში თავისუფლების მოედანი (ყოფ. ქარვასლა). მანგლისში—ფოსტის კანტორასთან. კავკავში—სასტუმრო „ევროპა“-ში.

2—1 ნ. 281

ამიერ-კავკასიის რკინისგზათა ჯანმრთელობის სამმართველო იწვევს სამსახურში

სანიტარულ ინჟენერ-ჰიდროტეხნიკოსს

განცხადებასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნეს ვრცელი სამეცნიერო ნაშრომი, თუ ასეთი აქვს განცხადების შემომტანს.

პირობების გაგება პირადათ შეიძლება სამმართველოში (პლეხანოვის ქ. № 142).

12-დან დღის 1 საათამდე.

ნ. 304 2—1

ქალ. ქუთაისში

გაზ. „კომუნისტ“-ზე

ხელისმოწერა

ამა წლის დეკემბრის 1-დან მიიღება მხოლოდ კონტრაგენტ

მინა ტყაბლაძესთან

0—2

„კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა

თბილისის დამზღვევი კასა

ამით აუწყებს ყველა წარმოება დაწესებულებებს, ორგანიზაციებს და კერძო პირებს, რომლებიც სარგებლობდენ მეეზოვეებას, შინაურ მოსამსახურეების და აღმშენებელთა მუშების დაქირავებითი შრომით, რომ სოცდაზღვევის საპროცენტო ანარიცხები ხსენებულ პირებზე 26 ნოემბრიდან ა | წ. უშუალოთ შემოტანილი უნდა იქნეს თბილისის დამზღვევ კასის „ერთეულთა“ ბიუროში, რომელიც მოთავსებულია ვოლოდარსკის ქ. № 1 (ყოფ. მადათოვის ქ.).

მანდატები და ყოველგვარი მოწმობები, რომელიც გაცემული იყო თბილისის დამზღვევ კასის მიერ 26 ნოემბრამდე ა | წ. ზემოთ ხსენებულ პირებისაგან სოცდაზღვევის საპროცენტო ანარიცხების მოკრების შესახებ უნდა ჩაითვალოს გაუქმებულად.

გამგეობის თავმჯდომარის მოადგ. არჩვაძე

საფ. განყ. გამგე მაშკევიჩი

ნ. 311-3—1

საქმეთა მმართველი საბაშვილი

შრ. სახ. კომი-არ. არსებულ უმუშევართა კოლექტივი

უმუშ. მოზ. სახლი ამზადებს კაცის და ქალის სხვადასხვა ფეხსაცმელებს, სხვადასხვა ავეჯეულობას (შიფონის შკაფებს, სკამებს მაგიდებს, შირმებს, და სხვა) უწნავს ვენურ სკამებს, საჯდომებს გერმანული კამიშით, ამზადებას სხვადასხვა გვარ ჩემოდნებს ტირიფის წნელისა, ამზადებს ფეჩებს და ყოველივე თუნუქის ნაწარმოებს, აგრეთვე მუშავდება ყოფილი ადელხანოვის ფირმის წაღები. შეკვეთა ხდება ყოველივე ზემოთხსენებულ საქონლისა დაკლებულ ფასებში და თავის დროზე

საქონელი გაიცემა ბითუმათაც

მისამართი მე-5 უბანი რკინის შესახვევი № 6.

№ 624—1—1

თბილისის შრომის სახალხო სასამართლოს

აღმსრულებელი ლევან არღუთინსკი აცხადებს, რომ 28 ნოემბერს 1925 წ. დღის 2 საათზე გაიყიდება საჯარო ვაჭრობით მოძრავი ქონება, რომელიც ეკუთვნის გარდაცვლებულ იოსებ ტერ-დანიელიანცს, რომელიც იმყოფება ალექსანდროვის ქუჩ. № 31 (მე-9 მილიც. უბანი) და შეიცავს სახლის ავეჯეულობას ე. ი. სასადილო მაგიდა, დივან-კრესლოები, ტანისამოსის და სხვა შკაფები, ფარდაგები და სხვადასხვა. აღმშენებელთა კავშირის და მუშების პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად, თანახმად თბილისის შრომის სახალხო სასამართლოს მიერ 13 მარტს 1925 წ. № 947 გაცემულ აღმასრულებელი ფურცლისა. აწერილი ქონება შეფასებულია 123 მან. რა შეფასებიდანაც დაიწყება საჯარო ვაჭრობა. გაყიდვა მოხდება ადგილობრივ ზემონაჩვენებ მისამართზე, სადაც შეიძლება საქონლის გასინჯვა ვაჭრობის დღეს.

1—1 619

სასამართლოს აღმსრულებელი არღუთინსკი.

გარე-უბნის სასამართლოს აღმსრულებელი კ. ოდიშარია

აცხადებს, რომ 30 ნოემბერს 1925 წ. საათის, 1 ს. წყნეთში საჯარო ვაჭრობით გაყიდის გოლა ელიზბარაშვილის მოძრავ ქონებას, ცხვრებს და შინაურ ავეჯეულობას, შეფასებულს 359 მან. დასაკმაყოფილებლად ბაქრაძეებისა, ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან.

1—1 616

ხარაგოულელების კრება

კვირას, 29 ნოემბერს დღის 11 საათზე წითელ პატარა თეატრში (რუსთაველის თეატრის პირდაპირ) შესდგება

ხარაგოულის რაიონის (შორაპნის მაზრა) მკვიდრთა კრება,

რომელზედაც განხილულ იქნება ხარაგოულის რაიონის საჭირბოროტო საკითხები. კრებაზე მოწვეული არიან მოლითის, ხუნევის, ამაშუკეთის, ლაშე-ლეერკის, კიცხის, ხარაგოულის და ლელეან მარელისის თემების მკვიდრნი, თბილისში მყოფნი მუშა-მოსამსახურენი.

კრების მომწვევი საინიციატივო ბიურო.

ნ. 309 1—1.

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

სხივებით რენტგენი დიარსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელოსნო

ნერვიულ დაავადებით ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

9205 25—

ექიმი თოდაძე

ქირურგიული და უროლოგიური ავადმყოფობანი (თირკმლები-ბუშტი, შარდის ბუშტი, შარდსადინარი, მამაკაცის სქესობრივი უძლურება,—მკურნალობა გაახალგაზრდავების თანამედროვე მეთოდებით და სხვ.), ცისტოსკოპია, ურეთროსკოპია, პიელოგრაფია.

დილის 8—9 საათ., საღამოს 4—6 სათამ. ბელგიის ქუჩა № 1.

ექიმი კ. გ. ვართანოვი

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.

მიღება დილით 8—9 საათამდე საღამოს 5—7 საათამდე.

სურამის ქუჩა № 9, სადგურის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს მახლობლად.

ტომსკის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი

დ. ე. პაპიტაშვილი

იღებს ავადმყოფთ შინაგან სნეულ. ყოველ დღე საღამოს 5—7 საათამდე.

კრილოვის ქ. № 8. 625 25—1

დოქტორი გ. მეგრაბიანი

ფილტვების, გულის და ციების წამლობა ხელოვნური მთის მზით, სპნეიმოტორაქსით და ტუბერკულინბით, რენტგენის, და სინათლის, ელექტრონის სამკურნალო კაბინეტში—იღებს 9—1 საათ. დილ, 5—8 საღ. ბებუთოვის ქუჩა, № 23.

ექიმი ვ. ს. არღუტინსკი

ელისაბედის ქუჩა, 53.

ყურის, ყელის და ცხვირის ავადმყოფობა.

მიღება საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. 25—1

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი

ვენერიული და კანის ავადმყოფობანი.

მიღება დილის 9 საათიდან 11 საათამდე და საღამოს 4—6 საათამდე, ქალები—დღის 1—2 საათამდე.

საპიერის ქ. №35 (ყოფ. კადეტთა კორპუსის უკან). 25—1

დაბრუნდა

ექიმი ზანდუკელი

შინაგან და ნერვიულ ავადმყ. ელექტრონის კაბინეთი.

ავადმყ. მიღება საღ. 6—7 საათ. ლენინის (ოლღას ქ. № 49) ტელ 4—82

ექიმი ი. ი. ჭეიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულ. დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფ. მიღება დილის 8—9 საათ. და საღ. 6—7 ს. კამოს ქუჩ. № 72 (ყოფილი დიდი მთავრის).

მედიცინის დოქტორი

ა. ა. მოხსა

დაბრუნდა და განაახლა მიღება. მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობანი

მიღება დილის 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღისა. კამოს ქ. № 17, ზემო სართული ყოფ. დიდი მთავრის ქ., ვორონცოვის ხიდის მახლობლად). 25—1

ექიმი შუხმანი

ვენერიული და შარდ-სასქესო ორგანოების ავადმყოფობანი.

მიღება ქალებისათვის 2—3 საათამდე, მამაკაცებისათვის—საღამოს 5—7 საათამდე.

ელისაბედის ქ. 89. (ქსენიევის ქუჩის პირდაპირ).

კბილის ექიმი

ფ. თ. რატიან თუხარელისა

კბილის და ღრძილის ავადმყოფობა ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 საათ. ბარიატინის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ).

ექიმი გ. მ. ფხალაძე

კანისა და ვენერიული სნეულებან

(სიფილისი „606“—„914“)

ავადმყოფების მიღება: კაცების—დილით 7—8 საათ.—საღამოთი 7—9 საათ. ქალებისა—საღამოთი 6—7 საათ. მისამართი: მოსკოვის ქ. № 4, ყოფ. კაბინეტი რეზო მახაბლისა (ზემმელის აფთიაქის პირდაპირ.

ექიმი ა. ს. ფუხ-ირტელი

მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბოკ-მონ[illegible]).

ხარდა სექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების, ბუასილის სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

ექიმი გ. ნ. მაგაკიანი

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი

კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობის სპეციალური ექიმობა.

მიღება საღამოს 5—7 საათამდი. ბებუთოვის ქ. № 38.

ექიმი ი. დ. თოფურიძე

პლიხინის ქუჩა (ყოფილი ნიკოლოზ.) № 33.

იღებს ავადმყოფებს

კანის, სიფილისი და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის.

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი

შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი

მიღება ავადმყოფ. დილით 8-ნახ.—9 ნახ. საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე.

სომხის ბაზარი, № 3. ერევნის მოედნიდან მეორე სახლი. 25—1

ექიმი ნ. გ. ახვერდოვი

დაბრუნდა გერმანიიდან და განაახლა ავადმყოფების მიღება ქალურ ავადმყოფობასა და მეანობაში, სინათლით მკურნალობა.

ავადმყოფების მიღება დილით 9—11 საათამდე, საღამოთი 4—7 საათამდე, ყოველ-დღე ვერის დაღმართი № 15

ექიმი ი. ი. გერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა. დილით 9—12 საათ. საღამოთი 5—8 საათ.

ქალებისთვის 12—1 საათ

ასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი № 8.

ქიმიურ-ბაქტერიოლოგ. კაბინეტი

ექიმ ნ. პ. ფალიაშვილის

მიიღებს ყოველგვარ მედიკურ ანალიზებს შარდის სისხლის, ნახველის და სხვა; ვასერმანის რეაქცია (ათამანგზე, ბიზრედკოსი (ქლეგზე) და სხვა; ანალიზებს მიიღებს მთელი დღე. პირადათ საღამო 5—7 საათ. ბელინსკის ქუჩა; ბაქრაძის შესახვ. (ყოფ. აგურის) № 10. 25—1

დავკარგე მატრიკული № 426 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტ. აგრო ნომიულ ფაკულტ. სტუდ. ლევან ჯაფარიძეს სახელზე, ბ. გ. 617 1—1

დავკარგე კოოპერატივის წიგნაკი № 19931 გიორგი კაცაშვილის სახელზე, ბ. გ. 618 1—1

დავკარგე სოფელ ქვემო-გომის სკოლის შენობის სააღმშენებლო კომიტეტის შემოწირულების წიგნაკი № 15, ალექსანდრე ცინცაძეს სახელზე, ბ. გ. 615 1—1

დავკარგე თბილისის კომუნალური ბანკის სენაკის განყოფილებიდან მიღებული მე-3-ე გამოშვების ერთი აქცია, დრ. მოწმობა № 215 და თამასუქი 400 მანეთიანი ხელმოწერილი ლადო ქვანჭას მიერ ივანე შელიას სახელზე, ბ. გ. 621 1—1

დავკარგე აღმშენებელთა კავშირის საწევრო წიგნაკი № 605 დავით მეხიგულაშვილის სახელზე, ბ. გ. 620 1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა № 347 მიხა ბეგლიარის ძე მიქაიას სახელზე, ბ. გ. 622 1—1

დავკარგე პირადი სააღრიცხვო წიგნაკი № 788 (ფორმა № 4) ივანე მატითაშვილის სახელზე, ბ. გ. 623 1—1

დავკარგე ფოსტის სატრანსპორტო კავშირის წიგნაკი № 300 და დამზღვევი სალაროს წიგნაკი № 544 ვასო ქადეიშვილის სახელზე, ბ. გ. 627 1—1

დავკარგე პირადი წიგნაკი № 205 ბიქტორ გოგინავას სახელზე, ბ. გ. 627 1—1

დავკარგე პირადი წიგნაკი ფორმა № 4, პირადობის მოწმობა № 288 8 და კავშირის წიგნაკი № 1687 ალექსანდრე კაპელის სახელზე, ბ. გ. 627 1—1